

178
1965/3.



საბჭოთა სამართალი

საქართველოს ენციკლოპედიის გამომცემლობა

1964

5

საბჭოთა სამართალი

N^o 5

სექტემბერი-ოქტომბერი

1964 წელი

ბამოცემის XI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შინაარსი

ი. ავაზაშვილი — საერთაშორისო პროლეტარიატის მეტროპოლიზ ორგანიზაცია	3
გ. ტყემულიაძე — პირობითი მსჯავრის ზოგიერთი საკითხი	13
ა. გაბიანი — დანაშაულის შესწავლის მეთოდის საკითხისათვის	22

დისკუსია, პოლემიკა, რეპლიკა

ვ. ლორია — საზოგადოებრივი წესრიგის ცნების საკითხისათვის	28
ზ. ახვლედიანი — კრედიტით საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება	37
შ. მგელაძე — შემნახველი საღაროების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ	43
ა. ხარიტონაშვილი — მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლება	49
ქ. თოფურაძე — მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ	53

საერთაშორისო თემაზე

ლ. ალექსიძე — კვიბროსის პრობლემის ზოგიერთი იურიდიული ასპექტი	61
ოფიციალური მასალა	68

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ვ. კუდრიავცევი — ფუნდამენტალური ნაშრომი მიზეზობრიობის საკითხებზე საბჭოთა სსრ-ის სამართალში	80
გ. ნადარეშივილი — წიგნი ქართველი მთიელების სამართლის ისტორიის საკითხებზე	84
არბიტრაჟის პრაქტიკა	87
სასამართლო პრაქტიკა	91
ნეკროლოგი	95

9469





СОДЕРЖАНИЕ

И. Авазашвили — Боевая организация международного пролетариата	3
Г. Ткешелидзе — Некоторые вопросы условного осуждения	13
А. Габiani — К вопросу о методике изучения преступности	22

ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

В. Лория — К вопросу о понятии общественного порядка	28
З. Ахвледiani — Договор розничной купли-продажи в кредит	37
Ш. Мгеладзе — О правовом положении сберегательных касс	43
А. Харитонашвили — Условно-досрочное освобождение осужденных	49
М. Топуридзе — О социальном обеспечении трудящихся	53

НА МЕЖДУНАРОДНЫЕ ТЕМЫ

Л. Алексидзе — Некоторые юридические аспекты Кипрской проблемы	61
Официальный материал	68

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. Кудрявцев — Фундаментальный труд о вопросах причинности в советском уголовном праве	80
Г. Надареишвили — Книга по истории права грузинских горцев	84
Практика арбитража	87
Судебная практика	91
Некролог	95


შვკ. № 3201
ტირაჟი 4.800
შე 02927

სარედაქციო კოლეგია
თ. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 19/XI-64 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 8/II-65 წ. ანაწყოების ზომა 7x12; ქაღალდის ზომა 70x108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ბოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.



საერთაშორისო პროლეტარიატის მებრძოლი ოკპანიზაცია

დოკ. ილ. ავაჯაშვილი

შესრულდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაერთიანების ასი წლის-თავი. საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა.

ერთი საუკუნის წინათ, 1864 წლის 28 სექტემბერს სენტ-მარტინსჰოლში (ლონდონი) ინგლისისა და საფრანგეთის მუშების ინიციატივით გაიმართა მუშათა დიდი საერთაშორისო კრება, რომელსაც მუშათა კლასის გამოჩენილი ბელადი კ. მარქსი ესწრებოდა. ერთი წლით ადრე, 1863 წლის ივლისში გაიმართა ინგლისისა და საფრანგეთის მუშების მასობრივი კრება, რომელიც წარმოადგენდა პროტესტს კრაკოვის (პოლონეთი) აჯანყების სისხლში ჩახშობის წინააღმდეგ. კრებამ წამოაყენა მოთხოვნა, რათა პოლონეთს მისცემოდა დამოუკიდებლობა.

ყოველივე ეს საბაბი გახდა შემდგომი მოლაპარაკებისა საერთაშორისო მუშათა გაერთიანების საკითხებზე.

ოთხი თვის შემდეგ ამ აქტიდან ინგლისის პროფკავშირების იმდროინდელმა გამოჩენილმა მოღვაწემ ჯორჯ ოჯერმა შეადგინა ადრესი საფრანგეთის მუშებისადმი და მოუწოდა, რათა სხვადასხვა ქვეყნების მუშები გაერთიანებულიყვნენ და ერთობლივი ძალით ებრძოლათ ჩაგვრის წინააღმდეგ.


საფრანგეთის მუშებმა შეადგინეს პასუხი და ადრესის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ იგი გაგზავნეს ლონდონში. საფრანგეთის მუშების პასუხის მიღება გახდა სენტ-მარტინსჰოლში მუშათა საერთაშორისო კრების მოწვევის მთავარი მიზეზი.

კრება მრავალრიცხოვანი იყო, მას ესწრებოდა ინგლისის მრავალი მუშა, სხვადასხვა ქვეყნების ემიგრანტები. კრებას თავმჯდომარეობდა პროფესორი ე. ს. ბიზლი. კრებამ მოისმინა ინგლისის მუშების ადრესი და საფრანგეთის მუშების პასუხიც. ადრესში ნათქვამია: დე, შედგეს საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, პოლონეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელთა სურვილია ითანამშრომლონ ერთად კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მოვიწვიოთ კონგრესები, განვიხილოთ ისეთი ძირეული საკითხები, რომლებზეც დამოკიდებულია ხალხებს შორის მშვიდობა.¹

საფრანგეთის მუშების პასუხი კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა, იგი აღფრთოვანებული დარჩა იმ პროლეტარული ინტერნაციონალური სულისკვეთებით, რომლითაც თავიდან ბოლომდე ხასიათდებოდა საფრანგეთის მუშების პასუხი. ფრანგებს აუცილებლად მიაჩნდათ ყველა ქვეყნის მუშების გაერთიანება ერთ მებრძოლ ორგანიზაციად. მათ წინადადება შეიტანეს, რათა ინტერნაციონალის „შტაბ-რეზიდენცია“ ლონდონში ყოფილიყო, დროებით დაწესებულიყო ნებაყოფლობით პრინციპზე საწევრო, მუშათა ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას სათავეში ჩადგომოდა ცენტრალური კომიტეტი, ხოლო ევროპის ყველა სახელმწიფოს დედაქალაქებში მისი ქვეკომიტეტები.

გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, მუშათა მოძრაობის გაერთიანების აუცილებლობა თავისუფლებისათვის

¹ უ. ზ. ფოსტერი, „История трех Интернационалов, გვ. 42.




ბრძოლაში, სენტ-მარტინსჰოლის კრებამ მიიღო საფრანგეთის მუშათა წინააღმდეგობის ბეზი და დაადგინეს მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის — პირველი ინტერნაციონალის დაარსება. კრებამ აირჩია გენერალური კომიტეტი, ანუ საბჭო 21 წევრის შემადგენლობით, რომელსაც უფლება მიეცა საჭიროების მიხედვით კოორტაციის წესით შეეყვანა ახალი წევრები, მის შემადგენლობაში შევიდა მარქსი.

1864 წლის ოქტომბერში გაიმართა გენერალური კომიტეტის რამდენიმე სხდომა, რომელმაც გადაწყვიტა მსოფლიო მუშათა კლასის საჭირობოროტო საკითხები.

ახალ ორგანიზაციას უწოდეს მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა („მტრ“).

პირველმა ინტერნაციონალმა საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი მებრძოლი პარტიების შექმნას ევროპაში და ამერიკაში.

საერთაშორისო მუშათა მებრძოლი ორგანიზაცია არ შეიძლებოდა უცებ და შემთხვევით წარმოშობილიყო. მისი შექმნა განაპირობა იმ დიდმა მოვლენებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში. სწორედ წინა ეპოქაში ქონდა ადგილი ბურჟუაზიულ რევოლუციათა სერიას (XVII საუკუნის ნახევარში ინგლისში, XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიისა და სხვა ქვეყნებში), რომლებმაც დაამსხვრიეს ფეოდალური ურთიერთობა და გააბატონეს კაპიტალიზმი. ბურჟუაზიის გამარჯვებას კი ის დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან წარმოშვა და გაამრავლა სამრეწველო პროლეტარიატი, ბიძგი მისცა მის შემდგომ განვითარებას, რომელიც გადაიქცა ბურჟუაზიის მესაფლავე კლასად. პროლეტარიატმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, პირველი ინტერნაციონალის დაარსებამდე უკვე გმირული ფურცლები ჩაწერა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და მწვავედებოდა კლასთა ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, პროლეტარიატი მრავალრიცხოვანი და სულ უფრო და უფრო ორგანიზებული ხდებოდა, მეტი სიძლიერით გამოდიოდა პოლიტიკური მოღვაწეობის არენაზე. საკმარისია მოვიგონოთ საფრანგეთის მუშების მძლავრი აჯანყება, ინგლისის მუშათა კლასის დიდი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ცნობილია ჩარტიზმის სახელწოდებით, სილეზიის (გერმანია) ფეიქართა აჯანყება, საფრანგეთსა და გერმანიაში 1848 წლის რევოლუციებში მუშათა კლასის შეიარაღებული აჯანყება ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ყოველივე ამას არ შეეძლო არ მოეხდინა მძლავრი გავლენა საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე, მუშათა იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე, არ შეეძლო ბიძგი არ მიეცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაერთიანებისაკენ. რაც მთავარია ამ ეპოქას ეკუთვნის მარქსიზმის, როგორც ყველაზე მოწინავე მეცნიერების, აღმოცენება. იგი წარმოადგენდა დიდ რევოლუციურ გადატრიალებას აზროვნებაში. ეს მარქსისა და ენგელსის დიდი ისტორიული მნიშვნელობის დამსახურებაა. მარქსი და ენგელსი არ კმაყოფილდებოდნენ მარტო თეორიული მუშაობით, ისინი ამასთან ერთად ეწეოდნენ პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობასაც. აღმოაჩინეს რა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები და განჭვრიტეს რა მუშათა კლასის განვითარებისა და კლასთა ბრძოლის ტენდენციები, პერსპექტივები, მარქსმა და ენგელსმა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნის გზაზე. მათ ასეთ პირველ ნაბიჯს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაერთიანების გზაზე მიეკუთვნება „კომუნისტთა კავშირის“ შექმნა



1847 წლის ნოემბერ-დეკემბერში. „კომუნისტთა კავშირის“ კონგრესმა მიიღო წესდება და განიხილა საკითხი პროგრამის შედგენის შესახებ. კონგრესმა დაავალა მარქსსა და ენგელსს „კომუნისტთა კავშირის“ პროგრამის შედგენა. 1847 წლის დეკემბერსა და 1848 წლის იანვარში პროგრამა შედგენილ იქნა და გამოქვეყნდა იმავე წლის თებერვალში სახელწოდებით — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. იგი წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გახდა მთელი მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის პროგრამა. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ასეთი იყო მოწოდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანებისაკენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მანიფესტში ნათლად არის ნაჩვენები თუ როგორ უნდა იბრძოლოს მუშათა კლასმა თავისი ინტერესების დასაცავად კაპიტალიზმის დროს, როგორ უნდა მოსპოს კაპიტალისტური ექსპლოატატორული წყობილება, ზოგადად მოხაზულია თუ როგორ უნდა აშენდეს ახალი სოციალისტური საზოგადოება.

1848 წლის რევოლუციების დამარცხების შემდეგ თითქმის პირველი ინტერნაციონალის დაარსებამდე ეს პერიოდი აღინიშნა პოლიტიკური რეაქციითა და რევოლუციური ბრძოლის ერთგვარი შესუსტებით.


ბურჟუაზიამ დევნა დაუწყო რევოლუციონერებს, მათ წინააღმდეგ მიმართავდა უხეშ ზომებს, ცილისწამებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 1852 წელს ორგანიზებული კელნის პროცესი ხელმძღვანელ-კომუნისტებისა, რომლებსაც ცილისწამებლური ბრალდება წაუყენეს და მათი რევოლუციური მოღვაწეობა თავისუფლებისათვის სახელმწიფო დალატად მიიჩნიეს.

თუმცა პოლიტიკური რეაქციის პერიოდში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება სწრაფად წავიდა წინ, მაგრამ მან მაინც მნიშვნელოვნად არ გააუმჯობესა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა. მუშათა კლასი ისევ საშინელ სიღატაკეში იმყოფებოდა.

მარქსი წერდა: „ყველა ამ ქვეყნებში 1848 წლიდან ადგილი ჰქონდა მრეწველობის გაუგონარ განვითარებას და იმპორტისა და ექსპორტის წარმოუდგენელ გაფართოებას. ყველა ამ ქვეყნებში „სიმდიდრისა და ძლიერების ზრდა, რომელიც მქონებელი კლასებითაა შემოფარგლული“, მართლაც „დამათრობელი“ იყო. ყველა ამ ქვეყნებში, ისე როგორც ინგლისში, მუშათა კლასის მხოლოდ უმცირესობის რეალურმა ხელფასმა აიწია ცოტაოდენად მაღლა, მაშინ როდესაც უმრავლეს შემთხვევაში ხელფასის ნომინალური აწევა სრულიადაც არ მოასწავებდა რეალური კეთილდღეობის გადიდებას“¹.

პოლიტიკური რეაქციისა და სამრეწველო აყვავების პერიოდში სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა სოციალური განსხვავება, მწვავედებოდა სოციალური წინააღმდეგობები. ამ პერიოდში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა პროფკავშირების ორგანიზაციების ქსელის ვაფართოება. ინგლისში, საფრანგეთში. გერმანიაშიც მუშებმა დაიწყეს პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნა და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასში გაიზარდა ინტერნაციონალური ტენდენციები, მისწრაფება გაერთიანებისა და ერთობლივი ბრძოლისაკენ. ჯერ კიდევ 1845 წელს ლონდონში ინგლისის მებრძოლთა ჯგუფმა და ევროპის ემიგრანტებმა შექმნეს ორგანიზაცია „ძმური

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“, ტომი I, 1950 წ., გვ. 429.



დემოკრატები“. ამ ორგანიზაციის პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ მიწა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით შეადგენს ყველა ხალხის ერთობლივ საკუთრებას. ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდნენ მარქსი და ენგელსიც. „ძმური დემოკრატები“ წარმოადგენდა ინტერნაციონალისტურ ორგანიზაციას, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მუშათა რევოლუციურ ბრძოლებში ევროპის კონტინენტზე. მან შეიმუშავა „ძმური დემოკრატების“ ორგანიზაციული ფორმები, სხვადასხვა ქვეყნისათვის დაარსეს მდივნების თანამდებობები.

ეს ორგანიზაცია დაიშალა პოლიტიკური რეაქციის პერიოდში. 1855 წლიდან ინგლისში მოღვაწეობდა მეორე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „საერთაშორისო კომიტეტი“ (საერთაშორისო ასოციაცია); ამ ორგანიზაციამაც დააწესა მდივნების თანამდებობები სხვადასხვა ქვეყნისათვის. მძლავრი იყო ინტერნაციონალური ტენდენციები საფრანგეთის მუშებშიც. 1856 წელს საფრანგეთის მუშების დელეგაცია ეწვია ლონდონს წინადადებით: საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლის წარმოების მიზნით შეიქმნას მუშათა საერთაშორისო კავშირი. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციების ბრძოლის მთავარ ასპექტს წარმოადგენდა აქტიური მხარდაჭერა მოძრაობისათვის, რომელიც გაიშალა ზანგების მონობის წინააღმდეგ ბრიტანეთის იმპერიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის მთელ პერიოდში ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნის მუშები სისტემატურად აწყობდნენ მასობრივ დემონსტრაციებს მონობის წინააღმდეგ, თანაგრძნობას უცხადებდნენ მათ, ვინც სისხლს ღვრიდა იმისათვის, რომ მონობა მოსპობილიყო. მარქსი წერდა, რომ შეერთებულმა შტატებმა სამუდამოდ უნდა დაიმახსოვრონ, რომ უკიდურეს შემთხვევაში ინგლისის მუშათა კლასს კონფლიქტის მთელი დროის განმავლობაში მისი დასაწყისიდან ბოლომდე არასდროს არ მიუტოვებია ისინი.

სწორედ ამ პერიოდში გაიშალა აგრეთვე პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ეროვნულ-რევოლუციურ განმათავისუფლებელი ბრძოლა. მუშათა კლასი სულ უფრო და უფრო შეგნებული, თავის კლასობრივი ინტერესებით გამსჭვალული და ორგანიზებული ხდებოდა. 1860 წელს ლონდონში დაარსდა ტრედ-უნაიონების ლონდონის საბჭო, ჩამოყალიბდა პროფკავშირები სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში, გერმანიაში დაიწყო ჩამოყალიბება პირველმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. 1863 წელს ლაშალის ხელმძღვანელობით საფრანგეთში შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაცია ზრულიად გერმანიის მუშათა კავშირი, ავგუსტ ბებელმა და ვილჰელმ ლიბკნეხტმა აქტიური კომუნისტური პრობაგანდა გაშალეს, რომელიც დასრულდა 1869 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნით. 1863 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებშიც დაიწყო პროფკავშირების შექმნა და მათი ქსელის ფართოდ გაშლა. 1860-1862 წ.წ. გაიშალა მუშების მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. იფეთქა ირლანდიელების მძლავრმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ინგლისელ დამპყრობლების წინააღმდეგ, მასობრივი ხასიათი მიიღო ბრძოლამ გერმანიის გაერთიანებისა და დემოკრატიზაციისათვის, 1859 წელს იფეთქა იტალიელების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა რევოლუციურმა ომმა ავსტრიის წინააღმდეგ, რევოლუციურმა ომმა იტალიაში გარიბალდის ხელმძღვანელობით, მძლავრი განმათავისუფლებელი რევოლუციური ბრძოლა აბოზოქრდა რუსეთში, 1863 წელს იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ პოლონეთში, რომლის მთა-

ვარ მიზანს შეადგენდა პოლონეთის დამოუკიდებლობის მოპოვება. ყოველივე ამან მძლავრი ბიძგი მისცა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობას მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში. სწორედ ამ მძლავრი რევოლუციური აბოზობქრების პერიოდში წარმოიშვა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა — პირველი ინტერნაციონალი.

პირველი ინტერნაციონალის სული და გული, მისი მუშაობის მთავარი წარმმართველი იდეურად და ორგანიზაციულად იყვნენ მარქსი და ენგელსი, რომლებმაც 1-ლი ინტერნაციონალის შექმნის დროისათვის „შემუშავეს მეცნიერული კომუნისმის თეორიის საფუძვლები, დაასაბუთეს მუშათა კლასის ისტორიული როლი. მათ დაამტკიცეს, რომ სწორედ მუშათა კლასია გადამწყვეტი რევოლუციური ძალა, რომელსაც ძალუძს დაახლოს კაპიტალისტური წყობილება, მიაღწიოს საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას იმ გზით, რომ ამ მიზნის მისაღწევად თავის გარშემო გააერთიანოს ყველა მშრომელი და ჩაგრული“.¹

მარქსმა დაწერა პირველი ინტერნაციონალის დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები: „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის დამფუძნებელი მანიფესტი“, წესდება, რომლებიც დაამტკიცა გენერალურმა საბჭომ 1864 წლის ნოემბერში და სხვ.

ინტერნაციონალის ამ და სხვა დოკუმენტებში არის ნაჩვენები ის გზა, ბრძოლის ის საშუალებები და მეთოდები, რომელთა შემწეობით პროლეტარიატმა უნდა დაამხოს კაპიტალიზმი და დაამყაროს თავისი ძალაუფლება. „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის დამფუძნებელ მანიფესტში“ მარქსმა ანალიზი გაუკეთა 1848 წლების რევოლუციიდან განვლილ ეპოქას პირველი ინტერნაციონალის დაარსებამდე და გამოიტანა ფრიად შესანიშნავი დასკვნა: „არც მანქანების გაუმჯობესებას, არც მეცნიერების გამოყენებას წარმოებაში, არც კავშირთა ერთობის საშუალებათა გაუმჯობესებას, არც ახალ კოლონიებს, არც ემიგრაციას, არც ახალ ბაზრებს, არც თავისუფალ ვაჭრობას, არც ყველა ამას ერთად აღებულს, არ ძალუძს მშრომელი მასების სილატაკის მოსპობა, ახლანდელ ყალბ საფუძვლეზე შრომის საწარმოო ძალების ყოველი ახალი განვითარება აუცილებლად აღრმავებს სოციალურ განსხვავებებს და ამწვავებს სოციალურ წინააღმდეგობებს“.²

მარქსის ეს შესანიშნავი დასკვნა, რომელიც ასახულია პირველი ინტერნაციონალის დოკუმენტებში, როგორც სახელმძღვანელო დებულება, დღესაც მახვილს ღრმად გულში იმ ვაი-სოციალისტებს, კაპიტალიზმის ლაჩიებს, ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამცველებს, რომლებიც „ამტკიცებენ“, რომ თითქოს კაპიტალიზმმა განიცადა ტრანსფორმაცია, გადაიზარდა იგი „სახალხო კაპიტალიზმად“, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მთელი ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლება.

მუშათა საერთაშორისო დამფუძნებელ მანიფესტში მარქსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული ეკონომისტები, ბურჟუაზიული იდეოლოგები, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ კოოპერაციულ შრომას კაპიტალიზმის პირობებში. მარქსი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში კოოპერაციული შრომა ვერასოდეს ვერ შეაფერხებს კაპიტალისტური მონოპოლიის გიგან-

¹ პირველი ინტერნაციონალის ასი წლისთავი, თეზისები, გაზ. „კომუნისტი“, 1964 წ. 12 სექტემბერი.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“, ტ. 1, 1950 წ. გვ. 423.

ტურ ზრდას, შესამჩნევადაც ვერ შეამსუბუქებს სიდატაკის ტვირთს, ვიდრე კოოპერაციული შრომა ცალკეულ მუშათა ვიწრო წრით იფარგლება. „მშრომელთა მასის გათავისუფლებისათვის საჭიროა კოოპერაციული შრომა საერთო ნაციონალური მასშტაბით განვითარდეს და, მათთანამე, საერთო ნაციონალური სახსრებით გაზრდილ იქნეს“, მაგრამ არა მემამულეებისა და კაპიტალისტების წყობილების პირობებში, რადგან ისინი არა თუ ხელს შეუწყობენ მათ განვითარებას, არამედ ყოველგვარ დაბრკოლებას შეუქმნიან მუშათა გათავისუფლებას, „ამიტომ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა მუშათა კლასის დიადი ამოცანა გახდა“¹.

პირველი ინტერნაციონალის წესდება მიღებულ იქნა 1871 წლის სექტემბერში მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ლონდონის კონფერენციასზე, რომელსაც საფუძვლად დაედო „დროებითი წესდება“, შედგენილი მარქსის მიერ 1864 წელს. წესდებაში, მის ზოგად ნაწილში, განსაზღვრულია პოლიტიკური და ორგანიზაციული ხასიათის ამოცანები. მასში ნათქვამია, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება მოპოვებულ უნდა იქნას ბრძოლით თვით მუშათა კლასის მიერ, რომელმაც საბოლოო ანგარიშში უნდა მოსპოს კლასობრივი ბატონობა, რომ ეკონომიურ განთავისუფლებას უნდა დაუქვემდებარდეს ყოველი პოლიტიკური მოძრაობა, როგორც საშუალება. მარქსი და ენგელსი, ისე როგორც შემდგომში ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკური პარტია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ პოლიტიკურ ბრძოლას, ბრძოლას ხელისუფლებისათვის, როგორც უმნიშვნელოვანეს წინაპირობას და მძლავრ საშუალებას მუშათა კლასის მოსახლეობის ყველა ჩაგრული ფენების ეკონომიური განთავისუფლებისათვის. მაგრამ „ყოველგვარი ცდა ამ დიადი მიზნის მისაღწევად დღემდე მარცხით თავდება სოლიდარობის ნაკლებობის გამო თვითეული ქვეყნის შრომის სხვადასხვა დარგის მუშებს შორის და ძმური კავშირის არარსებობის გამო სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასებს შორის“².

შემდეგ, წესდებაში ნათლად არის ჩამოყალიბებული მუშათა საერთაშორისო ასოციაციის ორგანიზაციული პრინციპები. წესდებაში ნათქვამია, რომ „ასოციაცია დაარსებულ იქნა კავშირის და საერთო მუშაობის ცენტრის შესაქმნელად სხვადასხვა მუშათა საზოგადოებებს შორის, რომელნიც სხვადასხვა ქვეყანაში არსებობენ და მიისწრაფიან ერთი და იმავე მიზნისაკენ, სახელდობრ მუშათა კლასის დაცვისა, განვითარებისა და სრული განთავისუფლებისაკენ“³.

მარქსს, ენგელსს, მუშათა პირველი საერთაშორისო ასოციაციის, მისი გენერალური საბჭოს მონაწილეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ „თავის ბრძოლაში მქონებელ კლასთა გაერთიანებული ძალაუფლების წინააღმდეგ პროლეტარიატს შეუძლია იმოქმედოს, როგორც კლასმა მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ჩამოაყალიბებს თავის განსაკუთრებულ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც დაპირისპირებულ იქნება მქონებელ კლასთა მიერ შექმნილ ყველა ძველ პარტიისადმი“⁴.


პირველი ინტერნაციონალი ეყრდნობოდა სხვადასხვა ქვეყნებში უკვე არსებულ მუშათა ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ინტერნაციონალის

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“, ტ 1, 1950 წ. გვ. 433.

² იქვე, გვ. 435.

³ იქვე, გვ. 436.

⁴ იქვე, გვ. 438.



სექციებს და ერთიანდებოდნენ ეროვნული მასშტაბით ფედერაციებში, რომლებსაც სათავეში ედგნენ ფედერაციული საბჭოები. მუშათა საერთაშორისო ასოციაციის (1-ლი ინტერნაციონალის) გენერალური საბჭო ირჩევდა გენერალურ მდივანს, მდივან-კორესპონდენტს სხვადასხვა ქვეყნებისათვის.

თავისი არსებობის მანძილზე პირველმა ინტერნაციონალმა ჩაატარა ხუთი კონგრესი (1866, 1867, 1868, 1869 და 1872 წლებში). ყველა კონგრესებზე და კონგრესიდან კონგრესამდე მარქსსა და ენგელსს მოუხდათ ყველა ოპორტუნისტულად განწყობილ ელემენტებისა და ჯგუფების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის წარმოება — ლასალისა და ლასალიანელების, პრუდონისა და პრუდონისტების, ბაკუნინისა და ბაკუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც იფარგლებოდნენ ვიწრო პროფესიონალური საკითხებით და ძირშივე უარყოფდნენ პოლიტიკური საკითხების განხილვას, პოლიტიკურ ბრძოლას. ოპორტუნისტები ჯემარტი რევოლუციონერების წინააღმდეგ არა მარტო კონგრესიდან კონგრესამდე, არამედ კონგრესებზეც გამოდიოდნენ თავიანთი საკუთარი, ანტირევოლუციური პლატფორმებით, მაგ., პირველ კონგრესზე (1866 წ.—ქ. ქენევაში) პრუდონისტები მოვიდნენ წვრილბურჟუაზიული რეფორმისტული პროგრამით, რომელიც უარყოფდა მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას, გაფიცვების ორგანიზაციას. თუმცა მარქსს არ ჰქონდა შესაძლებლობა კონგრესს დასწრებოდა, მაგრამ მან შეადგინა „ინსტრუქცია დროებითი ცენტრალური საბჭოს დელეგატებს ცალკე საკითხების მიხედვით“. დისკუსიის შემდეგ კონგრესმა მიიღო მარქსის მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა 8 საათიანი სამუშაო დღის გატარებას კანონმდებლობით, ბავშვებისა და მოზარდებისათვის შრომის განსაკუთრებულ ორგანიზაციას, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდებოდა საყოველთაო-სავალდებულო და პროფესიონალურ სწავლებას, არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას, მუდმივი ჯარის ლიკვიდაციას და საყოველთაო-სახალხო შეიარაღებას. განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა საკითხი პროფკავშირების შესახებ. რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პროფკავშირები უნდა აყენებდნენ თავიანთ მთავარ ამოცანად მუშათა კლასის არულ გათავისუფლებას.

კოოპერაციის შესახებ მარქსი მიუთითებდა მის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, რომელიც დაარწმუნებდა მუშათა კლასს შრომის სოციალისტურად გარდაქმნის შესაძლებლობაში მხოლოდ იმ პირობით თუ პროლეტარიატი დაეუფლებოდა ხელისუფლებას და დაამყარებდა თავის ბატონობას, პროლეტარიატის დიქტატურას.

მარქსი და ენგელსი პირველ ინტერნაციონალში დაუცხრომლად ამხელდნენ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს, გამოდნენ კლასობრივი პრინციპების შეცვლას ანტაგონისტური კლასების თანამშრომლობის იდეებით, დაუნდობლად ამხელდნენ ინგლისის ტრედ-უნიონისტთა ლიდერების, ლასალისა და მათი მომხრეების რეფორმატულ ილუზიებს იმის შესახებ, რომ თითქოს შესაძლებელია კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდა, მისი „გაუმჯობესება“ და თანდათანობით გარდაქმნა სოციალიზმად.

პირველი ინტერნაციონალის ყურადღების ცენტრში იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები. მარქსი და ენგელსი ამ საკითხს იხილავდნენ პროლეტარული რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე და მასთან მჭიდრო კავშირში. როცა ირლანდიაში იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, პირველი ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ დაუ-

ყოველივე განიხილა ეს საკითხი, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო. მარქსი და ენგელსი დაუნდობლად ამხელდნენ ტრედ-უნიონისტთა ლიდერების თაორტუნიზმს და ცდილობდნენ მიეღოთ თანხმობა ინგლისის მუშათა კლასისაგან ირლანდიის დამოუკიდებლობის შესახებ, რადგან ირლანდიის საკითხის ასეთი გადაწყვეტა იმ ისტორიულ პირობებში სავსებით შეესაბამებოდა თვით ინგლისის მუშათა რევოლუციური განვითარების ინტერესებს. ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსისა და ენგელსის პოლიტიკამ ირლანდიის საკითხში მოგვცა უდიდესი, დღემდე უზარმაზარი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ექცეოდეს მხაგვრელი ერების პროლეტარიატი, ეროვნულ მოძრაობებს“¹.

პირველი ინტერნაციონალი თანმიმდევრულად იცავდა კლასობრივ პრინციპს, შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას კაპიტალიზმის დამსობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, ამასთან ერთად მან მოგვცა მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები ომისა და მშვიდობისადმი დამოკიდებულების საკითხებში. მარქსი და ენგელსი გულმოდგინედ ამუშაებდნენ ამ საკითხებს და პროლეტარიატს მისცეს შესანიშნავი სახელმძღვანელო დებულებები. მარქსი და ენგელსი, შემდგომ ლენინი ყოველთვის ითვალისწინებდნენ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის ბრძოლის საკითხებში. მარქსი წერდა, რომ აჯანყება სიგიჟე იქნებოდა იქ, სადაც მშვიდობიანი აგიტაცია უფრო სწრაფად და საიმედო გზით მიგვიყვანდა მიზნამდე².

საფრანგეთ-პრუსიის ომის პერიოდში მარქსი ასწავლიდა საფრანგეთის მუშებს, რათა უდროოდ არ მოეწყობა აჯანყება, მაგრამ როცა 1871 წ. 18 მარტს აჯანყება ფაქტი გახდა, მარქსი და ენგელსი მხურვალედ მიესალმნენ მუშათა მასების რევოლუციურ ინიციატივას, განუმარტავდნენ მსოფლიო პროლეტარიატს პარიზის კომუნის ჭეშმარიტ აზრს, მოუწოდებდნენ სოლიდარობა გამოეჩინათ კომუნარების მიმართ, დახმარებოდნენ მათ მორალურად და მატერიალურად.

მარქსი მუშათა კლასის წარმომადგენლების გაყვანას პარლამენტში უბრალო საქმედ როდი მიიჩნევდა, მაგრამ ამასთან ერთად დასძენდა, რომ საჭიროა ნამდვილი ადამიანების არჩევა, ადამიანების, რომლებიც ყოველთვის იღგებოდნენ პროლეტარიატის ინტერესების სადარაჯოზე.

პირველი ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესმა (1868 წ.) მიუთითა, რომ სახელმწიფოებს შორის ომის შემთხვევაში პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს მის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვების გამოცხადებისა და სხვა მსგავსი საშუალებებით. გრძელი დეკლარაციები და მყვირალა ფრაზები ამ შემთხვევაში, მიუთითებდა მარქსი, არაფრის მთქმელია. რეზოლუცია უბრალოდ უნდა აღნიშნავდეს, რომ მუშათა კლასი ჯერ კიდევ არასაკმარისად არის ორგანიზებული იმისათვის, რომ გადამწყვეტი ვაგლენა მოახდინოს მოვლენათა მსვლელობაზე, რომ კონგრესი მუშათა კლასის სახელით პროტესტს აცხადებს და ამხელს ომის ინიციატორებს³. მარქსსა და ენგელსს კარგად ესმოდათ, რომ ომის მთელი სიმძიმე აწვება მუშათა კლასს, ართმევს მათ არა მარტო არსებობის საშუალებას, ანადგურებს საწარმოო ძალებს, არამედ აიძულებს კიდევ სისხლი დაღვარონ ერთი მეორესთან უაზრო ბრძოლაში.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20. გამ. 4, გვ. 543.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 17, გვ. 635.

³ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 25, გვ. 528—529.

მშვიდობის პრინციპის, ომის საწინააღმდეგო პოლიტიკის ერთგულია დღესაც საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიები, რომლებიც თანმიმდევრულად იბრძვიან მათ წინააღმდეგ, ვინც ფარულად თუ აშკარად ეწევა ომის პროპაგანდას.

პირველმა ინტერნაციონალმა თავისი არსებობის პირველ წლებიდანვე დიდი გავლენა მოახდინა მუშათა და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. რუსეთიდან ევროპაში გადახვეწილი პოლიტემიგრანტები დიდი ყურადღებით ეცნობოდნენ პირველი ინტერნაციონალის, მარქსისა და ენგელსის რევოლუციურ მოღვაწეობას, მათი ზეგავლენით 1870 წლის დასაწყისისათვის უნეველად შეიქმნა პირველი ინტერნაციონალის რუსული სექცია, რომლის ორგანიზატორები ვალდებულებას დებულვოდნენ, რათა გაეწიათ ინტერნაციონალის პრინციპების ყოველმხრივი აქტიური პროპაგანდა რუს მუშებში და ებრძოლათ მათი გაერთიანებისათვის. ცნობილია, რომ რუსეთის პირველი მუშათა ორგანიზაციების (1874 და 1878 წ. წ.) ხელმძღვანელები პირველ ინტერნაციონალთან იყვნენ დაკავშირებული და მათ პროგრამებსაც პირველი ინტერნაციონალის გავლენა ემჩნეოდა.

პირველი ინტერნაციონალის დაარსების ასი წლისთავი მსოფლიოს მუშათა კლასების, იმპერიალისტების მიერ დაჩაგრული ხალხების ღირსშესანიშნავი დღესასწაულია.

მარქსმა და ენგელსმა, შეიმუშავეს რა რევოლუციური თეორია და განსაზღვრეს რა რევოლუციური მუშათა მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის პრინციპები, შეაიარაღეს მსოფლიო მუშათა კლასი, დაჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლის მძლავრი იდეურ-პოლიტიკური იარაღით.

პირველი ინტერნაციონალის იდეები, სახელმძღვანელო დებულებები, რომლებიც მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს დღესაც კოცნობენ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში და წარმატებით ხორციელდება სოციალიზმის სისტემის ქვეყნებში.

პირველი ინტერნაციონალის განუხრელი დევიზი იყო მუშათა კლასის ინტერნაციონალური ერთიანობა მის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ექსპლოატატორების წინააღმდეგ. „წარსულის გამოცილება გვასწავლა, — წერდა მარქსი პირველი ინტერნაციონალის დამფუძნებელ მანიფესტში, — რომ უგულებელმყოფელი დამოკიდებულება ძმური კავშირისადმი, რომელიც უნდა არსებობდეს სხვადასხვა ქვეყნების მუშათა შორის და აღაზნებდეს მტკიცედ დაუჭირონ მხარი ერთმანეთს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ისჯება მათი გათიშული ღონისძიებების საერთო დამარცხებით“¹.

პირველი ინტერნაციონალის საპროგრამო დოკუმენტები გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მან მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალიზმის ყველა გამოვლინებას. ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციური ორგანიზაციები მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ პირველი მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის მდიდარი გამოცდილებით თავიანთ რევოლუციურ მოღვაწეობაში.

პირველმა ინტერნაციონალმა 10 წელი იარსება. თავის არსებობის მანძილზე მან უდიდესი როლი შეასრულა მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში, მან მძლავრი ბიძგი მისცა კომუნისტური მოძრაობის გაშლას ყველა

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 16, გვ. 10—11.

ქვეყანაში. „კომუნის წყალობით, — სწერდა ენგელსი ზორგეს, — ინტერნაციონალი ევროპაში მორალურ ძალად იქცა“¹. მარქსი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ „ვითარებანი, მოვლენათა აუცილებელი განვითარება . . . თვითონვე იზრუნებენ ინტერნაციონალის აღდგენაზე გაუმჯობესებული ფორმით“².

თუმცა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა აღდგენილი იქნა 1889 წელს მეორე ინტერნაციონალის სახით, რომლის საქმიანობაზე ენგელსის ხელმძღვანელობის პერიოდში გავლენა მოახდინა პირველი ინტერნაციონალის ტრადიციებმა, მაგრამ ენგელსის სიკვდილის შემდეგ მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს ოპორტუნისტებმა, რეფორმისტებმა, რომლებმაც გააყალბეს ინტერნაციონალის რევოლუციური დადგენილებები, თავს ესხმოდნენ მარქსიზმს და მუშათა მოძრაობა შეეცადნენ დაემორჩილებინათ ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის.

პირველი ინტერნაციონალის რევოლუციური, კომუნისტური ტრადიციების ჭეშმარიტი მემკვიდრე და განმგრძობი III კომუნისტური ინტერნაციონალი გახდა, რომლის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი ვ. ი. ლენინი იყო. პირველი ინტერნაციონალი, წერდა ვ. ი. ლენინი, „დაუვიწყარია, ის მარადიულია მუშათა ბრძოლის ისტორიაში თავისი განთავისუფლებისათვის. მან საძირკველი ჩაუყარა მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის იმ შენობას, რომლის აშენების ბედნიერება ახლა ჩვენ წილად გვხვდა“³.

კომინტერნმა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით შეაკავშირა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მოწინავე რევოლუციური ელემენტები, მძლავრი ბიძგი მისცა კომუნისტური მოძრაობის შემდგომ განვითარებას, კომუნისტური და მუშათა რევოლუციური პარტიების შექმნას, რის შედეგად სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და იქცა მსოფლიო სისტემად. ვ. ი. ლენინი, ისე, როგორც მარქსი და ენგელსი, ასწავლიდა მსოფლიო მუშათა კლასს, რომ მისი წარმატება თავისუფლებისათვის ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ ყველა ქვეყნის მუშების ურღვევ ძმურ ინტერნაციონალურ ერთობაშია.

ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც ერთგულნი არიან I და III ინტერნაციონალის ტრადიციებისადმი, ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან წინ, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „ჩრეული წერილები“, 1949 წ. გვ. 316—317.

² იქვე, გვ. 314.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, გვ. 274.

პირობითი მსჯავრის ზოგნიკითი საკითხი

პ. ტყეშელაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1. პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების გარკვევისათვის საჭიროა ორი არსებითი საკითხის გადაწყვეტა: ჯერ ერთი, დასადგენია, არის თუ არა იგი სასჯელი, და მეორე, თუ პირობითი მსჯავრი სასჯელი არაა, მაშინ რაში გამოიხატება მისი სამართლებრივი ხასიათი.

საძიებელ საკითხს პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, თუმცა ზოგიერთი კრიმინალისტი მას მხოლოდ თეორიულ პლანში განიხილავს.

ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება გამოვავლინოთ ე. წ. განაჩენთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის მაგალითზე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი). დავუშვათ, პირს ერთი დანაშაულისათვის დაენიშნა გამასწორებელი სამუშაოები ერთი წლით. ამის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის კიდევ მეორე დანაშაულში, რომელიც მას პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაუდენია. ამ უკანასკნელი დანაშაულისათვის სასამართლომ პირს გადაუწყვიტა პირობით თავისუფლების აღკვეთა. თუ პირობით მსჯავრს სასჯელად წარმოვიდგენთ, მაშინ სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებისას უპირობო გამასწორებელი სამუშაოები, როგორც უფრო მკაცრი სასჯელი, ნთქავენ უფრო ნაკლებად მკაცრ სასჯელს — პირობით თავისუფლების აღკვეთას.

პირიქით, თუ პირობით მსჯავრს სასჯელად არ ჩავთვლით, მაშინ სასჯელი იქნება ის ღონისძიება, რომელიც პირობით დანიშნა (მოცემულ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა). ამის გამო განსახილველ მაგალითში საბოლოო სასჯელად დანიშნება უფრო მძიმე სასჯელი — პირობით თავისუფლების აღკვეთა, რამდენადაც ეს უკანასკნელი, თუნდაც პირობით დანიშნული, უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე გამასწორებელი სამუშაოები.

ამრიგად, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების სხვადასხვანაირ გაგებას შესაბამისად სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.

ის კრიმინალისტები (მ. გელფერი, ფ. რანიში და სხვ.), რომლებიც პირობით მსჯავრს სასჯელის თავისებურ სახედ განიხილავენ, ძირითადად იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, რომ იგი, როგორც განსაკუთრებული ფსიქოლოგიური სასჯელი, თავისთავად შეიცავს ტანჯვის ელემენტებს. ამას იწვევს სასამართლოს განაჩენი, რომლითაც პირობითი მსჯავრი ინიშნება და რომელიც უარყოფითად აფასებს სამართალში მიცემულის პიროვნებას, მის დანაშაულებრივ ქმედობას. ასეთ შეფასებას ყოველთვის თან ახლავს პირის ერთგვარი სულიერი ტანჯვა. გარდა ამისა, თავისთავად პირობითი მსჯავრიც შეიცავს ტანჯვის ელემენტებს. ეს არის სასჯელის აღსრულების შესაძლებლობა, რომლითაც პირობითი მსჯავრი ხასიათდება („დამოკლეს მახვილი“). ასეთ შემთხვევაში სასჯელისათვის დამახასიათებელი ტანჯვა იმაში გამოიხატება, რომ აქაც ხდება პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის შეზღუდვა.

ამ მოსაზრებათა ავტორებს შეუძლებელია შევედავოთ იმაში, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ხასიათდება მსჯავრდებულის გაკიცხვითა და მისი მოქმედების უარყოფითი შეფასებით. მაგრამ გამამტყუნებელი განაჩენი ჯერ კიდევ

არ ნიშნავს სასჯელის აღსრულებას. თავისთავად რომ ასეთი განაჩენი დასჯილობა გვეცნო, მაშინ საკმარისი იქნებოდა დაგვეკიცხა, დაგვეგმო დამნაშავე და აღარ დაგვენიშნა გარკვეული სასჯელი. უფრო მეტიც, ზედმეტი აღმოჩნდებოდა სასჯელთა სისტემა, რომელსაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს.

ასევე არ შეიძლება უმართებულოდ ვცნოთ ის აზრი, რომ პირობით მსჯავრს თავისთავად ტანჯვის ელემენტი თან ახლავს. მაგრამ ტანჯვა, როგორც ფსიქოლოგიური განცდა, ახასიათებს სხვა სამართლებრივ მოვლენებსაც, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მათ სასჯელს ვერ ვუწოდებთ. განა სულიერი მღელვარება, ტანჯვა არ ახასიათებს პირს, როდესაც მას დანაშაულში ეჭვმიტანილობის გამო დააკავებენ ანდა როდესაც მას ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ? მაგრამ, ასეთ პირს არავინ არ მიიჩნევს დასჯილად სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით.

პირობითი მსჯავრისათვის დამახასიათებელი მუქარა პრინციპში არაფრით განსხვავდება მუქარისაგან, რომელსაც საერთოდ სისხლის სამართლის კანონი შეიცავს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მუქარის მოცულობასა და მის ინტენსიობაშია; პირობითი მსჯავრის დროს მუქარის აღრესატი კონკრეტულად უკვე ცნობილია, ხოლო სისხლის სამართლის კანონის მუქარას ასეთი კონკრეტული მიმართულება არა აქვს; იგი ყველას ემუქრება. ბუნებრივია, არც ერთ ამ შემთხვევაში სასჯელის მუქარა სასჯელი არაა.

აღნიშნულიდან ნათელი ხდება, რომ სასჯელის მოხდის მუქარა, რითაც პირობითი მსჯავრი ხასიათდება და თვით სასჯელი თუმცა ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ, მაგრამ იდენტურნი არ არიან.

პირობითი მსჯავრის სასჯელად ცნობის მიზნით ერთგვარად სხვა გზას დადგა ვ. იაკუბსონი. მისი შეხედულებით, დასჯისა და აღზრდის ამოცანები საერთოა სასჯელის ყველა სახისათვის. რაც შეეხება პირობით მსჯავრს, იგი არ ხასიათდება დასჯადობის ელემენტით.

„ამრიგად, — წერს იაკუბსონი, — პირობითი მსჯავრის ბუნების საკითხი უნდა გადაწყდეს იმ აზრით, რომ პირობითი მსჯავრი სასჯელია. პირობით თავისუფლების აღკვეთისას ან იძულებითი სამუშაოების მისჯისას სასამართლო იყენებს სასჯელის ღონისძიებას, მაგრამ ამასთან სისხლის სამართლებრივი რეპრესიიდან მატერიალური ფორმით აძევებს დასჯადობის ელემენტს (თავისუფლების აღკვეთა, იძულებითი სამუშაოების რეალური აღსრულება). პირობითი მსჯავრის დროს ბრალეულის მიმართ ბრალდებისა და მსჯავრდების ფაქტი გამოიხატება მხოლოდ მორალურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში...“¹

როგორც ცნობილია, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტი შესრულების. სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ (საქართველოს სსრ სს კოდექსის 22-ე მუხლი).

ამრიგად, სასჯელის მიზნები ასე წარმოგვიდგება: ა) მსჯავრდებულის გამოწვრთვა და აღზრდა, ბ) მსჯავრდებულის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის

¹ В. Р. Якубсон, Уголовноправовая природа условного осуждения („Известия Ан СССР. Отделение экономики и права, 1945, № 6, стр. 25).

აცდენა, გ) სხვა პირთა მხრივ ახალ დანაშაულთა ჩადენის აცდენა. ეს მიზნები ხორციელდება დასჯის საშუალებით. სასჯელის ცნებაში მისი მიზნები და დასჯადობის მომენტი ორგანულ მთლიანობაშია. ერთ-ერთის გარეშე სასჯელი აღარ გვექნება. თავისთავად მოსაზრება, რომ პირობითი მსჯავრი აღმზრდელობითი ღონისძიებაა, არსებითად სწორია. მაგრამ მხოლოდ ამის გამო პირობითი მსჯავრი სასჯელად არ ჩაითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელად უნდა გვეცნო არა მარტო პირობითი მსჯავრი, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემით და აგრეთვე დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემაც. ისინიც ზომ აღმზრდელობითი ღონისძიებებია!

სასჯელის დანიშვნისას მსჯავრდებულის გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მიზნები ხორციელდება დასჯის საშუალებით. ეს უკანასკნელი არ ახასიათებს პირობით მსჯავრს. ღონისძიება, რომელსაც დასჯის მომენტი არ ახლავს, სასჯელი აღარაა.

თუ პირობითი მსჯავრი სასჯელი არაა, მაშ რაში უნდა ვეძებოთ ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება?

საბჭოთა კრიმინალისტიკის მეორე ნაწილი (მ. ისაევი, ა. გერცენზონი და სხვ.) პირობით მსჯავრს სასჯელად არ ცნობს, მაგრამ მას განაჩენის (სასჯელის) აღსრულების გადადებად თვლის.

პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების ასეთი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ საბოლოოდ ყველა შემთხვევაში პირობითად დანიშნული სასჯელი სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი. ამით კი ქრება განსხვავება პირობით მსჯავრსა და განაჩენის აღსრულების გადადების იმ შემთხვევებს შორის, რომლებიც საბჭოთა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლი და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი).

განაჩენის აღსრულების გადადებისას კანონმდებელი სულ სხვა მიზნებით ხელმძღვანელობს, ვიდრე პირობითი მსჯავრის დანიშვნის დროს. პირველ შემთხვევაში კანონმდებლის მიზანია გადადოს განაჩენის აღსრულება უფრო გვიანი ხანისათვის, რამდენადაც მისი დაუყოვნებლივ აღსრულება სერიოზულ ზიანს მიუყენებდა მსჯავრდებულს ან მის ოჯახს და სხვ.

პირობითი მსჯავრის მიზანი კი იმაშია, რომ მსჯავრდებული გამოსწორდეს სასჯელის რეალური აღსრულების გარეშე. სწორედ ამ მიზნით დგინდება გამოსაცდელი ვადა, რომლის გასვლის შემდეგ, უკეთუ იგი არ ჩაიდენს სხვა, არა ნაკლებ მძიმე ან ერთგვაროვან დანაშაულს, თავისუფლდება პირობით დანიშნული სასჯელისაგან და ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ¹.

ამრიგად, პირობითი მსჯავრი არ წარმოადგენს განაჩენის აღსრულების გადადებას.

დასასრულ, მ. შარგოროდსკისა და ი. ტკაჩევსკის შეხედულებით პირობითი მსჯავრი განაჩენის აღსრულების თავისებურ წესს წარმოადგენს.

ამ შეხედულებაში მიგნებული არაა პირობითი მსჯავრის, როგორც სისხლის-სამართლებრივი ინსტიტუტის, სპეციფიკა. მასში საძიებელი საკითხის მხოლოდ პროცესუალური მომენტია წინწამოწეული. თუ ამ შეხედულებას მივიღებთ, მ-

¹ იხ. Ю. М. Ткачевский, Условное осуждение (Сб. „Применение наказания по советскому уголовному праву, Изд.-во Московского Университета, 1958, стр. 254).

შინ სასჯელი უნდა განსაზღვრულიყო როგორც გამამტყუნებელი განაჩენის ჩვეულებრივი (არა განსაკუთრებული) აღსრულების წესი. ასეთი განსაზღვრება თავისთავად სწორი იქნებოდა, მაგრამ ვერ ახსნიდა სასჯელის მატერიალურ სისხლისამართლებრივ ბუნებას.

ჩვენი შეხედულებით, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების არასწორი განმარტება მნიშვნელოვნად პირობადებულია ამ სამართლებრივი ტერმინის არასწორი შერჩევით. ტერმინი „პირობითი მსჯავრი“ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მისი გამოყენებისას პირს არ კიცხავენ, მსჯავრს არ ადებენ.

სინამდვილეში პირობითი მსჯავრის, ისე როგორც სასჯელის, დანიშნისათვის აუცილებელია პირის ბრალეულად ცნობა განსაზღვრული დანაშაულის ჩადენისათვის. სასამართლოს აქაც გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ვაკიცხვის, მსჯავრდების ფაქტი ეჭვს არ ბადებს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის მიხედვით „სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ სასჯელი პირობით არ იქნეს გამოყენებული დამნაშავეს მიმართ“. ამ მუხლის მოტანილი ტექსტიდან ჩანს, რომ პირობითი მსჯავრის დროს პირი არ იხდის სასჯელს, რომ სასჯელის აღსრულება ამ დროს პირობით გადაიდება. თუ იმ ვარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ პირობითი მსჯავრი მოხსენიებული არაა სასჯელთა სისტემაში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლი)¹, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ღონისძიება სასჯელი არაა და მისი იურიდიული ბუნება გამოიხატება დამნაშავეს სასჯელის მოხდისაგან პირობით გათავისუფლებას.

წინამდებარე წერილის დასაწყისში პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობის ჩვენებისათვის მოტანილი იყო დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშნვის მაგალითი. ვინაიდან პირობითი მსჯავრი სასჯელი არ არის, ამიტომ თუ დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი ერთი დანაშაულისათვის დაინიშნა გამასწორებელი სამუშაოები ერთი წლით, ხოლო მეორე დანაშაულისათვის — პირობით თავისუფლების აღკვეთა ორი წლით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებისას საბოლოო სასჯელად უნდა დაინიშნოს პირობით თავისუფლების აღკვეთა. ეს ნათელიცაა; თავისუფლების აღკვეთა, თუნდაც პირობით დანიშნული, უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე გამასწორებელი სამუშაოები.

შემდეგ, პირობითი მსჯავრისა და სისხლისამართლებრივი სასჯელების სიმძიმის შედარებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სასჯელი, რომელიც პირობითად დაინიშნა და სხვა სათანადო სასჯელი. თუ ამ დებულებით ვისარგებლებთ, მაშინ პირობით თავისუფლების აღკვეთა უფრო მძიმე სასჯელად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე უფრო ნაკლები ვადით პირობით თავისუფლების აღკვეთა, პირობით ან უპირობოთ გამასწორებელი სამუშაოები, გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვნა, საზოგადოებრივი ვაკიცხვა.

გარდა ამისა, გამასწორებელი სამუშაოები, რომელიც პირობითაა განსაზღ-

¹ ერთადერთ შემთხვევას, როდესაც პირობითი მსჯავრი სასჯელთა სისტემაში იყო მოხსენიებული, წარმოადგენდა რსფსრ 1922 წ. სსსხლის სასამართლის კოდექსის 32-ე მუხლის „გ“ პუნქტი. პირობითი მსჯავრი სასჯელად იყო გათვალისწინებული ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის 82-ე მუხლში.

ვრული, უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე უფრო ნაკლები ვადით უპირობო გამასწორებელი სამუშაოები, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვნა და საზოგადოებრივი გაკიცხვა.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის ძალით პირობითი მსჯავრის დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ ისეთი დანაშაულებრივი ქმედობისათვის, რომლისთვისაც სასჯელად გადაწყვეტილია თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაოები.

სასამართლო პრაქტიკაში პირობით მსჯავრს ძირითადად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას იყენებენ. ამის ახსნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. პირობითი მსჯავრის ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ შემთხვევით დამნაშავე არ იქნას იზოლირებული საზოგადოებისაგან.

გამასწორებელ სამუშაოთა მისჯისას კი პირს თავისუფლება არ აღეკვეთება. უფრო მეტიც, სამუშაო ადგილას გამასწორებელ სამუშაოთა დანიშვნისას მსჯავრდებული იმავე კოლექტივში რჩება, რომელშიც იგი მსჯავრდებამდე მუშაობდა. ეს კი შესაძლებლობას უქმნის საზოგადოებრიობას ეფექტურ ღონისძიებებს მიმართოს მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის.

მაგრამ პრინციპში პირობითი მსჯავრის დანიშვნა გამასწორებელ სამუშაოთა დანიშვნისას უსათუოდ მიზანშეწონილია. სასჯელის ამ სახეობის პირობითად დანიშვნის აკრძალვა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დოგმატიკური იურიდიული თვალსაზრისით ერთ გარკვეულ შეუსაბამობას წარმოშობდა. ამის შესახებ მართებულად მიუთითა პროფ. პ. ლუბლინსკიმ¹.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად პირობითი მსჯავრის დანიშვნის დროს არ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი, გარდა ჯარიმისა.

რუსთავის სახალხო სასამართლოს 1962 წ. 2 ოქტომბრის განაჩენით მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 94-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მ.-ს 186-ე მუხლით დაენიშნა საერთო წესით გამასწორებელი სამუშაოები ერთი წლით, ხელფასიდან 10%-ის დაქვითვით, ხოლო 94-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ექვსი თვით. საბოლოოდ მ.-ს მოსახდელოდ დაენიშნება ეს უკანასკნელი სასჯელი. სასამართლომ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ მ. პირველად იყო სამართალში მიცემული, კმაყოფიანად ყავს მცირეწლოვანი ბავშვი, არის ფეხმძიმედ და მ.-სათვის დანიშნული სასჯელი პირობითად ჩათვალა ორი წლის გამოსაცდელი ვადით. ამასთან სასამართლომ მ.—ს აუკრძალა სავაჭრო და საზოგადოებრივ კვების საწარმოებში მუშაობა 3 წლის ვადით.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში სასამართლოს უფლება არ ქონდა მ.—სათვის დაენიშნა აღნიშნული დამატებითი სასჯელი. თუ სასამართლოს ამ სასჯელის დანიშვნა მიზანშეწონილად მიაჩნდა, მაშინ ხელი უნდა აეღო პირობითი მსჯავრის დანიშვნაზე.

3. როგორც ცნობილია, სისხლისსამართლებრივი სასჯელის დანიშვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგინდება სუბიექტის ბრალი განსაზღვრუ-

¹ П. И. Люблинский, Условное осуждение в иностранном и советском праве. Изд.-во „Право и жизнь“, М. 1924, стр. 70.

ლი დანაშაულის ჩადენაში. ეს დასტურდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები საერთოა სასჯელისა და პირობითი მსჯავრისათვის: თუ პირის ქმედებაში დადგენილი არ არის განსაზღვრული დანაშაულის ნიშნები, მაშინ, ნათელია, არც სასჯელისა და არც პირობითი მსჯავრის დანიშვნა არ შეიძლება, უფრო მეტიც, პირი არ შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიეცეს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1963 წ. 10 ივნისს ზედწესით განიხილა ა.ს.—საქმე.

ა. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წ. 15 ოქტომბრის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. ეს სასჯელი მას პირობითად ჩაეთვალა და გამოსაცდელი ვადა განესაზღვრა ერთი წლით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წ. 21 ნოემბრის განჩინებით აღნიშნული განაჩენი ძალაში დარჩა.

ა.—ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მან დაარღვია სახლის მშენებლობის პროექტი, კერძოდ, ნაცვლად 50 მ² ერთსართულიანი სახლისა ააგო 100 მ² ორსართულიანი სახლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის დისპოზიცია არ ითვალაშინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სახლის მშენებლობის პროექტის დარღვევისათვის. ეს საკითხი სამოქალაქო წესით უნდა გადაწყდეს. ამიტომ პრეზიდიუმმა გააუქმა ა.ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი და განჩინება და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო საქმე წარმოებით მოსპო.

პირობითი მსჯავრის დანიშვნა შეუძლებელია მაშინ, როდესაც გასულია გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის სათანადო ვადა. ეს გარემოება რატომღაც მხედველობიდან გამოიჩინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს თავის 1963 წ. 23 აპრილის დადგენილებაში.

ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წ. 11 ივლისის განაჩენით ა.—ს დანაშაული შემდეგში გამოიხატა. ა. 1958 წ. 14 იანვარს ლამის 2 საათზე საკუთარი ავტომანქანა „პობედით“ ქუთაისიდან ცაგერისაკენ მიდიოდა. მასთან ერთად მგზავრობდა ხ. ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად ავტომანქანა დაცურდა და თხრილში გადავარდა. ამან გამოიწვია ხ.—ს სიკვდილი, ხოლო ა. მძიმედ დაზიანდა.

სახალხო სასამართლომ ა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წ. 18 მარტის ბრძანებულების „მოძრაობის წესების და ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-3 მუხლის საფუძველზე მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით.

პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ თუმცა განაჩენის გამოტანიდან 5 წელი გავიდა, მაგრამ მისი აღსრულება ვერ მოხერხდა, რადგან ა.—ს ჯანმრთელობა მძიმე მდგომარეობაშია. ამის გამო პრეზიდიუმმა დანიშნული სასჯელი პირობითად ცნო ორი წლის გამოსაცდელი ვადით.

პრეზიდენტს არ ქონდა უფლება ა.—სათვის პირობითი მსჯავრი დაენიშნა; სახალხო სასამართლოს განაჩენის გამოტანიდან გასული იყო 5 წელი, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის ძალით გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დანიშნული იყო თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ორი წლისა, არ შეიძლება მოყვანილი იქნეს სისრულეში, თუ იგი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან აღსრულებული არ იყო სამი წლის განმავლობაში. ა.—ს მიმართ განაჩენი კი აღსრულებული არ ყოფილა ხუთი წლის განმავლობაში. ნათელია, ამის შემდეგ პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელი იყო.

რაკი იმ დასკვნამდე მივდივით, რომ კანონით გათვალისწინებულ პირობებში ქმედობის კვალიფიკაცია თანაბრად აუცილებელია როგორც სასჯელის, ისე პირობითი მსჯავრის დანიშვნისას, მათ შორის განსხვავების საფუძვლები უნდა ვეძებოთ სასჯელის ინდივიდუალიზაციის სტადიაში.

პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, ხელმძღვანელობს რა სიცივლისტური მართლშეგნებით, ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავეს პიროვნებას და საქმის გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

რასაკვირველია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასეთი ინდივიდუალიზაცია პირობითი მსჯავრის დროსაც ხორციელდება, რადგან გამამტყუნებელ განაჩენში თავდაპირველად განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთის ან გამასწორებელ სამუშაოთა კონკრეტული ზომა, ხოლო შემდეგ პირობითი მსჯავრი გამოსაცდელ ვადაზე კონკრეტული მითითებით. მართლაც, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის ძალით პირობითი მსჯავრის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს საქმის გარემოებებს და დამნაშავეს პიროვნებას.

თუ საერთოდ სასჯელის ინდივიდუალიზაცია აუცილებელი პირობაა სწორი და მიზანშეწონილი სასჯელის დანიშვნისათვის, ეს მითუმეტეს ითქმის პირობითი მსჯავრის მიმართ.

როგორც აღინიშნა, პირობითი მსჯავრის დანიშვნისათვის სასამართლომ უნდა შეათვალოს: 1) საქმის გარემოებები (ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და 2) ბრალდებულის პიროვნება.

იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ სწორად დანიშნა თუ არა სასამართლომ პირობითი მსჯავრი და გარდა ამისა, არ შესუსტდეს სისხლის სამართლის კანონის ზოგად გამაფრთხილებელი მნიშვნელობა, აუცილებელია განაჩენში აღინიშნოს პირობითი მსჯავრის დადების მოტივები (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლი).

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტმა ზედწესით 1963 წ. 28 აპრილს განიხილა ფ. —ს საქმე. პრეზიდენტმა ცილისწამება არ ცნო დადასტურებულად და ამიტომ ვ. —ს ბრალდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით მოუხსნა. რაც შეეხება ფ. —ს ბრალდებას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილით, პრეზიდენტმა ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა 6 თვით) პირობითად მიიჩნია, მაგრამ ფ. —სათვის პირობით-



თი მსჯავრის დანიშვნის საფუძველად არავითარ კონკრეტულ გარემოებაზე და მიუთითა და მხოლოდ აღნიშნა, რომ „ფს — საპატიმროში გაგზავნა მიზანშეუწონელია“. სინამდვილეში სსსრ-ის მოხდის მიზანშეუწონლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი განიხილავს როგორც დასკვნას, რომელიც საქმის გარემოებებისა და დამნაშავეს პიროვნების შეფასების საფუძველზე კეთდება. ამ წინამძღვრების გარეშე ასეთი მიზანშეუწონლობა დაუსაბუთებელი რჩება.

4. გამოსაცდელი ვადა პირობითი მსჯავრის შემადგენელ და არსებით ნაწილს წარმოადგენს. თუ ამ ვადის განმავლობაში პირობით მსჯავრდებული არ ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს, მაშინ ითვლება, რომ პირმა გაუძლო გამოცდას და ამიტომ განაჩენი ძალადაკარგულად ითვლება. თუ, პირიქით, სუბიექტი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს,¹ მაშინ გამოიყენება სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამების პრინციპი.

ახალმა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ მეტად ეფექტური ღონისძიებები გაითვალისწინა გამოსაცდელ ვადაში პირობით მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის. კერძოდ, 1958 წლის „საფუძველების“ 38-ე მუხლის საფუძველზე მშრომელთა კოლექტივის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შუამდგომლობით და კანონით გათვალისწინებული სხვა პირობების არსებობისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მათ პირობით მსჯავრდებულის გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მოვალეობა. 38-ე მუხლის დედაზრის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებმა კიდევ უფრო გააფართოვეს პირობით მსჯავრდებულთან შესაფერისი აღმზრდელობითი მუშაობის განხორციელების შესაძლებლობა. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს უფლება აქვს დააკისროს აღნიშნული მოვალეობა მშრომელთა კოლექტივებს (ან ცალკე პირებს) მაშინაც, როდესაც მათ ასეთი შუამდგომლობა არ აღუძრავთ, მაგრამ აქაც აუცილებელია, რომ კოლექტივი თანახმა იყოს შეასრულოს ეს მოვალეობა.

ნათელია, კოლექტივის შუამდგომლობას დამნაშავესათვის პირობითი მსჯავრის დადებისა და პირობით მსჯავრდებულის ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. მაგრამ არ შეიძლება ასეთ შუამდგომლობას იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა მივაწიროთ, რომ შეუფასებლად დაეტოვოთ კანონში გათვალისწინებული სხვა პირობები. მართლაც, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი ავალებს სასამართლოს, რომ კოლექტივის შუამდგომლობასთან ერთად გაითვალისწინოს საქმის გარემოებები და დამნაშავეს პიროვნება.

პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების განხორციელებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული დადგენილებები გამოსაცდელი ვადის შემცირების შესახებ. კერძოდ, რსფსრ.

¹ ასეთ დანაშაულთა განსაზღვრებას შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 3 დეკემბრის დადგენილება „ახალი ერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის პრაქტიკის შესახებ“ („Бюллетен Верховного Суда СССР“, 1962, № 6, стр. 14).

უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლები პირობითი მსჯავრის შესახებ აწესებენ, რომ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციისა ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების მოვალეობა, სასამართლოს შეუძლია შეამციროს გამოსაცდელი ვადა. ამასთან, ასეთ შუამდგომლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გამოსაცდელი ვადა სანახევროდ მაინც იქნება გასული. ლიტვის სსრ და ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები ასეთ შემთხვევაში უშვებენ არა მარტო გამოსაცდელი ვადის შემცირებას, არამედ საერთოდ გამოსაცდელი ვადის გაუქმებასაც.

აღნიშნული დებულება გათვალისწინებული არ არის საქართველოს სსრ, უზბეკეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებში. ჩვენი შეხედულებით, მიზანშეწონილი და ლოგიკური იქნებოდა აღნიშნული დადგენილების გათვალისწინება ამ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშიც, თუ კანონმდებელი გასაგები მიზეზების გამო უშვებს სასჯელისაგან უპირობო ან პირობით ვ ა დ ა მ დ ე გათავისუფლებას ანდა, აგრეთვე, საზოგადოებრივი ორგანიზაციის შუამდგომლობით პირისაგან ნასამართლობის მოხსნას, მითუმეტეს, ასეთი შეღავათი პირობით მსჯავრდებულზეც უნდა გავრცელდეს.

არცერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი არ აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მშრომელთა კოლექტივზე გადაცემული პირობით მსჯავრდებული ჯიუტად არ ასრულებს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებას, არ სურს პატიოსნად იმართოს, მოკლედ რომ ვთქვათ, ამკარად უგულვებელყოფს მშრომელთა კოლექტივის ზემოქმედებას. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა.

ჩვენ საესებით მისაღებად მიგვაჩნია ნ. სავინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში უფლება მიეცეს მშრომელთა კოლექტივს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შუამდგომლობით მიმართოს და თხოვოს სასამართლოს, რათა გაათავისუფლონ პირობით მსჯავრდებულთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოვალეობისაგან¹.

თუ სასამართლო ასეთ შუამდგომლობას სწორად მიიჩნევს, მაშინ ბრალდებულისათვის პირობითი მსჯავრის უსაფუძვლო დანიშვნის მოტივით საქმე უნდა გადაისინჯოს ზედამხედველობის წესით. ცხადია, ასეთი შუამდგომლობა დეტალურად უნდა იყოს მოტივირებული².

ასეთი ნორმის დაწესებას ზოგად გამაფრთხილებელი მნიშვნელობაც ექნება, რადგან პირობით მსჯავრდებულს ეცოდინება, რომ თუ იგი არ შეასრულებს სათანადო საზოგადოებრივ მოვალეობებს, რეალურად მოიხდის დანიშნულ სასჯელს.

¹ იხ. Н. Ф. Савин, Условное осуждение и роль общественности в перевоспитании и исправлении осужденных. Автореферат кандидатской диссертации, 1963, стр. 16.

² ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ უფლებას აძლევენ მშრომელთა კოლექტივს იშუამდგომლოს მოუხსნან სასჯელია მოხდისაგან პირობით ვადამდე ვახთ ვისუფლებულის მიმართ აღმზრდელობითი მუშაობის მოვალეობა, თუამ პირმა არ გაბრტლ მისი ნდობა (იხ. იაგ. კალიხინის ს. ოლქო სასამართლოს პოეზიდიუმის 1962 წ. 26 მარტის განჩინება კ. — საქმეზე „Бюллетень Верховного Суда РСФСР“, 1962, № 8, стр. 16).

დანაშაულობის შესწავლის მეთოდის საკითხისათვის

ა. ბაზინი

დანაშაულობის ლიკვიდაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც საბჭოთა ხალხის წინაშე დასახა სკკპ XXII ყრილობამ და პარტიის ახალმა პროგრამამ. ამ ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელია დანაშაულობისა და მისი მიზეზების შესწავლა, დანაშაულის პიროვნების შესწავლა და ამის საფუძველზე დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემის სრულყოფა. სსრ კავშირში დანაშაულობის შესწავლასა და მის თავიდან აცილებას ახორციელებენ როგორც იურიდიული სამეცნიერო დაწესებულებები, ისე სასამართლოს, პროკურატურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პრაქტიკული მუშაკები და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

დანაშაულობა რთული სოციალური მოვლენაა. მისი შესწავლა და თავიდან აცილება უნდა ხორციელდებოდეს სპეციალური მეთოდის გამოყენებით. იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილი იქნება ეს მეთოდიკა, დამოკიდებულია მიღწევები დანაშაულობის ლიკვიდაციის საქმეში. როდესაც ვლაპარაკობთ დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების მეთოდის შესახებ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ერთის მხრივ დანაშაულობის შესწავლის მეთოდიკა, ხოლო მეორეს მხრივ მისი თავიდან აცილების მეთოდიკა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულობის შესწავლა და თავიდან აცილება ერთ მთლიან პრობლემას წარმოადგენს, მეთოდის თვალსაზრისით ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან. ამ წერილში ჩვენ შევეხებით მხოლოდ დანაშაულობის შესწავლის მეთოდის საკითხებს.

დანაშაულობის შესწავლის მეთოდიკა სამ ძირითად მხარეს გულისხმობს: 1) დანაშაულობის შესწავლის სტადიებს, 2) დანაშაულობის შესწავლის ხერხებს და 3) დანაშაულობის შესწავლის წყაროებს. ეს სამი მხარე ურთიერთდამოკიდებულებაში იძლევა დანაშაულობის შესწავლის მეთოდისა.

* * *

საჭიროა განვასხვავოთ დანაშაულობის შესწავლის ორი ძირითადი სტადია: 1) დანაშაულობის მდგომარეობისა და დინამიკის შესწავლა და 2) დანაშაულობის მიზეზების შესწავლა. დანაშაულობის შესწავლას ამ თანამიმდევრობით პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან, გვეცოდინება რა დანაშაულობის მდგომარეობა და მოძრაობა დროის გარკვეულ მონაკვეთში, საშუალება გვძლევა ამ მონაცემებზე დაყრდნობით უფრო რაციონალურად წარვმართოთ დანაშაულობის მიზეზების შესწავლა, მაგალითად, ყურადღება გავამახვილოთ იმ დანაშაულებებზე, რომლებიც უფრო გავრცელებულია, უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ ის ობიექტები, სადაც დანაშაულობა უფრო ხშირია და სხვა.

დანაშაულობის მიზეზების შესწავლა შეიძლება თავის მხრივ ორნაირ-
 თად ნაწილად დაეყოთ: 1) ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავ-
 ლა, მაგალითად, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიზეზების
 შესწავლა, სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა
 მიზეზების შესწავლა და სხვა და 2) სხვადასხვა ჯგუფის დამნაშავეთა პი-
 როვნების შესწავლა, მაგალითად არასრულწლოვან დამნაშავეთა პიროვ-
 ნების შესწავლა, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების პიროვნების
 შესწავლა და სხვა. იმ მასალის სათანადო დამუშავებისა და განზოგადების
 შედეგად, რომელიც მიღებულია ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების
 შესწავლისა და დამნაშავეთა გარკვეული ჯგუფების პიროვნების შესწავლის
 გზით, შეიძლება ჩამოყალიბდეს სწორი წარმოდგენა დანაშაულობის მიზეზე-
 ბის შესახებ.

დანაშაულობის შესწავლისას საბჭოთა კრიმინოლოგია დღეისათვის იყე-
 ნებს ორ ხერხს: 1) სტატისტიკური მასალების შესწავლას და 2) შერჩევით
 ანკეტურ გამოკვლევას.

სტატისტიკურ მასალებში იგულისხმება უპირველეს ყოვლისა სისხლის
 სამართლის სტატისტიკის მონაცემები. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებუ-
 ლი აგრეთვე ეკონომიური, დემოგრაფიული და სოციალ-კულტურული სტა-
 ტისტიკის მასალები.

შერჩევითი გამოკვლევა უნდა წარმოებდეს ამისათვის სპეციალურად შე-
 დგენილი ანკეტების შევსების, სათანადო დამუშავებისა და მიღებული შედე-
 გების განზოგადების გზით. დამნაშავეთა ცალკეული ჯგუფების პიროვნების
 შესწავლისას, გარდა ანკეტური გამოკვლევისა, მიზანშეწონილია გამოყენებულ
 იქნას დამნაშავეს პიროვნებაზე ფსიქოლოგიური დაკვირვება მისი ფაქიკის
 თავისებურებათა გამოკვლევის მიზნით. ზემოთ ჩამოთვლილი ხერხები, გარდა
 ფსიქოლოგიური დაკვირვებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას დანაშაულო-
 ბის შესწავლის ორივე სტადიაზე, მაგრამ მათ არათანაბარი მნიშვნელობა აქვთ
 პირველი და მეორე სტადიისათვის.

დანაშაულობის შესწავლის წყაროები შეიძლება მრავალგვარი იყოს,
 მაგრამ მიუხედავად ამისა მათში შეიძლება გამოეყოთ ოთხი ძირითადი წყა-
 რო, რომლებიდანაც მიიღება ინფორმაციის უდიდესი ნაწილი. დანაშაულო-
 ბის შესწავლის ამ წყაროებს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

* * *

დანაშაულობის მდგომარეობის და დინამიკის შესწავლა ძირითადად სის-
 ხლის სამართლის სტატისტიკის მასალების შეგროვების, დამუშავების და
 განზოგადების მეშვეობით სწარმოებს, რაც კეთდება სხვადასხვა უწყებათა
 (სასამართლო, პროკურატურა, მილიცია, შრომა-გამასწორებელი დაწესებუ-
 ლებები), სტატისტიკური მასალების კრიტიკული ურთიერთშეჯერების ზოთ.
 უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა უწყებათა სტატისტიკური მასალები ხშირ
 შემთხვევაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, რაც იმითაა
 გამოწვეული, რომ ისინი ეხებიან დანაშაულობასთან ბრძოლის სხვადასხვა
 სტადიებს, ამიტომ სწორად ვერ ასახავენ ჩაღწილ დანაშაულთა საერთო რაო-
 დენობას და დინამიკას. ყველაზე უფრო უახლოვდება სინამდვილეს შოკლე-
 ვის და საგამომძიებლო ორგანოთა სტატისტიკური მასალები დანაშაულის
 ჩაღწენის ფაქტების შესახებ. უფრო ნაკლები სიზუსტისაა საგამომძიებლო ორ-

განოთა მასალები იმ საქმეების რაოდენობის შესახებ, რომელთა შედეგად საბრალდებო დასკვნები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გარკვეული ნაწილი გაუხსნელი რჩება ან წარმოებით ისაბობა. ეს განსაკუთრებით ეხება სისხლის სამართლის საქმეებს მცირემნიშვნელოვან დანაშაულთა შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი გადაეცემა ამხანაგურ სასამართლოებს განსახილველად ან დამნაშავე გადაეცემა კოლექტივს აღსაზრდელად. კიდევ უფრო ნაკლები სიზუსტით ასახავს დანაშაულთა საერთო რაოდენობას სასამართლო სტატისტიკის მასალები იმ საქმეთა შესახებ, რომელთა მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, რადგან ასეთი განაჩენი სასამართლოს გამოაქვს არა ყველა სამართალში მიცემულის მიმართ; და შრომა-გამასწორებელ დაწესებულებათა სტატისტიკური მასალები თავისუფლებადკვეთილთა შესახებ, რადგან ბრალდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს სასამართლო უსჯის ისეთ სასჯელებს, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული¹.

მეორეს მხრივ, საუწყებო სტატისტიკური მასალები ხშირ შემთხვევებში არ მოიცავენ საკმარის ცნობებს იმისათვის, რათა მათ საფუძველზე შესაძლებელი იყოს დანაშაულობისა და მისი მიზეზების ღრმა მეცნიერული შესწავლა. განსაკუთრებით ძნელია ამ მასალებზე დაყრდნობით დანაშაულის ცალკეულ სახეობათა მიზეზების შესწავლა. ამავე დროს სხვადასხვა უწყებები, რომლებიც აწარმოებენ დანაშაულობის აღრიცხვას, არ მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებულად, რის გამოც მონაცემები, რომლებიც ასახულია ამ უწყებათა სტატისტიკურ მასალებში, არაერთგვაროვანია. ამიტომ დანაშაულობის მდგომარეობისა და დინამიკის შესწავლისას საჭიროა ყველა ამ სტატისტიკური მონაცემების კრიტიკული ურთიერთშედარება.

სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალების საფუძველზე დანაშაულობის დინამიკის შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ცვლილებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რადგან ახალი კანონის გამოცემამ ან რომელიმე სისხლის სამართლის კანონის გაუქმებამ შეიძლება მოახდინოს საგრძნობი ზეგავლენა სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალებზე და შეგვიქმნას მცდარი წარმოდგენა დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესახებ.²

გარდა სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალების შესწავლისა, დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესასწავლად აუცილებელია გამოყენებულ იქნას მეორე ხერხი, სახელდობრ დანაშაულობის სპეციალური შერჩევითი გამოკვლევა. ამ გზით შეივსება სისხლის სამართლის სტატისტიკის ხარვეზები და შეისწავლება ისეთი საკითხები, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა საუწყებო სტატისტიკაში.

* * *

დანაშაულობის მიზეზების შესწავლა ხორციელდება დანაშაულთა ცალკეული კატეგორიების მიზეზების შესწავლისა და დამნაშავეთა გარკვეული ჯგუფების პიროვნების შესწავლის გზით. ამ შესწავლის მიზანია იმ კონკრეტ-

¹ Б. С. Утевский, Об организации и методике изучения преступности и преступника, „Советское государство и пр. в. с.“, 1959, № 11, გვ. 64.

² А. А. Герцензон, Методика изучения преступности, Выпуск 1. М., 1958, გვ. 17.

ტული მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ სახის დანაშაულთა ჩადენას. ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავლის ძირითად ხერხს წარმოადგენს მათი შერჩევითი გამოკვლევა, რაც სპეციალური ანკეტების შევსებისა და დამუშავების გზით ხორციელდება. ანკეტები შეიძლება მრავალგვარი იყოს და მოიცავდეს საკითხთა მეტად ფართო წრეს. მიზანშეწონილია ისეთი ანკეტებით სარგებლობა, რომლებიც ეხებიან როგორც დანაშაულს, ისე დამნაშავის პიროვნებას. ცალკეული დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების შესასწავლი ანკეტები ძირითადად დგება: 1) სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე, 2) თავისუფლებადაკვეთილის პირადი საქმის მასალების საფუძველზე, 3) მსჯავრდებულთან პირადი საუბრის დროს, 4) მისი საცხოვრებელი ადგილის გამოკვლევისას, 5) მისი სამუშაო ადგილის გამოკვლევისას.¹ ამ გზით მოპოვებული მასალა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ის კონკრეტული მიზეზები და პირობები, რომლებმაც მოცემული პიროვნება მიიყვანეს დანაშაულამდე, რაც გააადვილებს მის მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციას, დამნაშავეთა გარკვეული ჯგუფისადმი მის მიკუთვნებას, თავისუფლების აღკვეთის რეჟიმის განსაზღვრას და სხვა. მეორეს მხრივ, დანაშაულისა და დამნაშავის დამახასიათებელი ცნობები ღიდი რაოდენობით ანკეტების სტატისტიკური დამუშავებისა და განზოგადების შედეგად საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ან ბაღებენ გარკვეული სახის დანაშაულს.² ასეთი ანკეტები შეიძლება შეიცავდნენ მრავალ სხვადასხვა სახის ცნობას დანაშაულისა და დამნაშავის შესახებ, როგორცაა დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, დანაშაულის ჩადენის თარიღი, საშუალება, ხერხი, დანაშაულის განვითარების სტადია, თანამონაწილეობა, დამნაშავის სქესი, ასაკი, განათლების და კულტურის დონე, ინტერესთა წრე, ოჯახური მდგომარეობა და სხვა.


ღრეისათვის არსებობს მრავალი ასეთი ანკეტა, რომლებიც სხვადასხვა დროს შედგენილ იქნა კრიმინალისტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების სექტორში, დანაშაულობის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემსწავლელ საკავშირო ინსტიტუტში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში.³ იმ გარემოებამ, რომ ანკეტების შემუშავების საქმეს ხელი მოკიდა რამდენიმე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებამ, შექმნა გარკვეული უხერხულობა, რადგან სხვადასხვა დაწესებულებათა ანკეტები ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომ ამ ანკეტებიდან მიღებული მასალები გარკვეულ ნაწილში ურთიერთშედარებისათვის გამოუსადეგარია. იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ეს უხერხულობა, მიზანშეწონილია დანაშაულობის შემსწავლელ დაწესებულებათა მიერ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის კოორდინირება.⁴

¹ А. А. Герцензон, Вопросы изучения преступности, Выпуск 1, М., 1958, гл. 20.

² იქვე, გვ. 20—21.

³ რამდენიმე ასეთი ანკეტა მოცემულია პროფ. ა. ა. გერცენზონის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.

⁴ Б. С. Утевский, Об организации и методике изучения преступности и преступника, „Советское государство и право“, 1959, № 11, гл. 64.




დანაშაულობის მიზეზების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სტატისტიკური მასალების შესწავლა და განზოგადება. აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის დიდი მნიშვნელობა, რაც აქვს სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალების შედარებას ეკონომიური, დემოგრაფიული, სოციალ-კულტურული სტატისტიკის მასალებთან. მაგალითად, ხულიგნობის მრუდისა და მოსახლეობის მიერ ალკოჰოლის გამოყენების მრუდის ურთიერთშედარებას შეუძლია თვალსაჩინო გახადოს კავშირი ალკოჰოლიზმსა და ხულიგნობას შორის.¹

დამნაშავის პიროვნების შესწავლისას, გარდა ზემოთ განხილული ანკეტური გამოკვლევისა, მიზანშეწონილია ჩატარდეს სპეციალური ფსიქოლოგიური დაკვირვებები მსჯავრდებულის ფსიქიკური თვისებების დასადგენად.

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქიკური თვისებების შესწავლის საკითხს უყურადღებოდ ტოვებდა მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც პიროვნების ანტისაზოგადოებრივი ქცევის მიზეზების ახსნის საქმეში ამ პირის ფსიქიკური თვისებების შესწავლას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.² დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიური შესწავლის მეშვეობით შეიძლება გარკვეულ იქნას დამნაშავის პიროვნების ისეთი თვისებები, როგორცაა ტემპერამენტი, ინტელექტი, ნებელობა, უმადლესი ნერვიული მოქმედების ტიპი და სხვა. ამგვარ შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა ისეთი ჯგუფების შესწავლისას, როგორცაა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, ალკოჰოლიკები, არასრულწლოვანები და სხვა.

ამრიგად, დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა სტადიებზე დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა ხერხებს არათანაბარი მნიშვნელობა აქვთ. იმისათვის, რათა ნათელი გახდეს დანაშაულობის შესწავლის სტადიებისა და ხერხების ურთიერთდამოკიდებულება, იგი შეიძლება გამოიხატოს შემდეგ სქემაში:

* * *



საკუთრადღებოა საკითხი დანაშაულობის შესწავლის წყაროების შესახებ, რადგან ენერჯის მინიმალური ხარჯით მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიღება დანაშაულობის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად განვსაზღვრავთ ინფორმაციის შესაძლებელ წყაროებს და ამ წყაროების ხვედრით წონას დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა სტადიებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეისათვის დანაშაულობის შესწავლისას ძირითადად ოთხი წყაროთი

სარგებლობენ. ეს წყაროებია: 1) სხვადასხვა სახის ოფიციალური სტატისტიკური მასალები, 2) სხვადასხვა უწყებათა ოფიციალური დოკუმენტები დანაშაუ-

¹ А. А. Гецензон, Вопросы изучения преступности, Выпуск 1. М., 1958, стр. 18.
² А. Е. Сахаров, О личности преступника и причинах преступности в СССР, М., 1961, стр. 172—196.

საქართველოს
სამართლებრივი

ლებრივ ქმედობათა და დამნაშავეის პიროვნების შესახებ, როგორცაა სისხლის სამართლის საქმე, თავისუფლებააღკვეთილის პირადი საქმე და სხვა, 3) თვით დამნაშავე, 4) მისი ახლობლები (ოჯახის წევრები, მეზობლები, თანამშრომლები და სხვა). თითოეული ეს წყარო შეიძლება უფრო დეტალიზებულ იქნას.


ოფიციალური სტატისტიკური მასალები, (სისხლის სამართლის, ეკონომიური, დემოგრაფიული, სოციალ-კულტურული სტატისტიკა), წარმოადგენენ დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესწავლის ძირითად წყაროს. ამავე დროს მათ აქვთ გარკვეული მნიშვნელობა ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავლის დროს. ოფიციალური საუწყებო დოკუმენტები დანაშაულებრივი ქმედობისა და დამნაშავეის შესახებ კი, პირიქით, წარმოადგენენ ცალკეული სახის დანაშაულთა მიზეზების შესწავლის ძირითად წყაროს და დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესწავლის უამატებით წყაროს. ეს იმით მტკიცდება, რომ ანკეტები, რომელთა მეშვეობითაც სწარმოებს შერჩევითი გამოკვლევა, ძირითადად დგება სისხლის სამართლის საქმიდან და თავისუფლებააღკვეთილის პირადი საქმიდან აღებული მონაცემების საფუძველზე.

მიზანშეწონილი იქნებოდა დანაშაულობის შესწავლის ორი დანარჩენი წყაროს, ე. ი. თვით დამნაშავეის და მისი ახლობლების ცალკე გამოკვლევა, რადგან ისინი, როგორც დანაშაულობის შესწავლის წყაროები, ისეთი საერთო ნიშნებით ხასიათდებიან, რაც მათ ანსხვავებს პირველი ორი წყაროსაგან. ინფორმაცია, მიღებული თვით დამნაშავეისაგან და მისი ახლობლებისაგან სუბიექტურ ხასიათს ატარებს, ამიტომ განსაკუთრებულ შემოწმებასა და კრიტიკულ შეფასებას საჭიროებს. ეს ცნობები შეიძლება არ შეესაბამებოდნენ სინამდვილეს სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგალითად, შეიძლება მათ იტყუონ, ვერ აღადგინონ მესხიერებაში ზოგიერთი ფაქტი, მცდარი შეფასება მისცენ ზოგ ფაქტს ან მოვლენას და სხვა. ამ ორი წყაროდან მიღებული ინფორმაცია ისეთი ხასიათისაა, რომ ხშირ შემთხვევაში მისი სისწორის შემოწმება შეუძლებელია.

ინფორმაცია, როგორც დამნაშავეისაგან, ისე მისი ახლობლებისაგან მიიღება პირადი საუბრის დროს და ფიქსირდება სპეციალურ ანკეტებში ან შერეული ანკეტების შესაბამის თავებში. დამნაშავე და მისი ახლობლები წარმოადგენენ ინფორმაციის წყაროს არსებითად დანაშაულობის შესწავლის მეორე სტადიაზე.

დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა სტადიაზე დანაშაულობის შესწავლის სხვადასხვა წყაროების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი სქემა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ შემომოყვანილი მოსაზრებები დანაშაულობის შესწავლის მეთოდის შესახებ საორიენტაციო ხასიათს ატარებენ. ისინი შემდგომ გაღრმავებასა და დაზუსტებას საჭიროებენ, რაც უნდა ეყრდნობოდეს გამოცდილების შემდგომ დაგროვებას დანაშაულობის შესწავლის საქმეში.



საზოგადოებრივი წესრიგის ცნების საკითხისათვის

3. ლორია

საზოგადოებრივი წესრიგის ცნების განმარტებას დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში უკანასკნელ ხანს მომხდარი ცვლილებების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების როლი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. მშრომელთა დებუტატების ადგილობრივ საბჭოებს მიეცათ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ თუ ასეთი დარღვევისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოები და თუ ასეთ გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობა გამოწვეულია ადგილობრივი პირობებით.

საზოგადოებრივი წესრიგის საერთო რესპუბლიკური კანონმდებლობა მთლიანად ვერ არეგულირებს ამ სფეროში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ამიტომ იგი არ გამორიცხავს ადგილობრივი აქტების არსებობას ამ საკითხზე. ამის გამო არ შეიძლება დავეთანხმოთ რ. ფ. ვასილევს, რომელიც მოითხოვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას მხოლოდ ერთიანი რესპუბლიკური აქტების მიღებით.¹ იგი კრიტიკულად ეკიდება საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას დროებითი ხასიათი ჰქონდეს, კერძოდ, მოქმედებდეს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების ძალაში ყოფნის მანძილზე, ე. ი. 2 წელიწადს. მაგრამ ამ ორი წლის მანძილზე შესაძლებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხში ბევრი რამ შეიცვალოს ადგილობრივი მასშტაბით. თუ საბჭოს გადაწყვეტილებას ვადა ვაუვიდა, საჭიროა მისი განახლება ან ახალი აქტის მიღება. გარდა ამისა, ვასილევის მოსაზრება გამორიცხავს კანონით დაწესებულ შესაძლებლობას — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს ვათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი თავისებურებანი.

საზოგადოებრივი წესრიგის ცნების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“, სადაც აღნიშნულია: „...ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობენ პიროვნებები, რომლებიც არ იცავენ საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებს, მთვრალ მდგომარეობაში გამოდიან საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, ჩადიან ხულიგნურ მოქმედებებს და სხვა გადაცდომებს, თავიანთი უღირსი საქციელით ასეთი პიროვნებები ხელს უშლიან საბჭოთა ადამიანებს მშვიდად იცხოვრონ და იშრომონ“.²

აქ ჩამოთვლილი დარღვევები, რასაკვირველია, საზოგადოებრივი წესრიგის

¹ კრებული Вопросы административного права на современном этапе, Госюриздат, 1963 г., стр. 96.

² Справочник партийного работника, вып. 3, Госполитиздат, 1961 г., стр. 577.

დარღვევად არის მიჩნეული. კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა წარმოადგენს მთვრალ მდგომარეობაში გამოხატულ მხოლოდ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში და არა სხვაგან, ხოლო სულიერული მოქმედებები, ამ ცნებიდან გამომდინარე, როგორც წესი, ხდება ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე სხვა გადაცდომებზე. უნდა ვივთხისხმოთ, რომ ეს გადაცდომებიც საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილი დარღვევებია. ეს გამომდინარეობს დადგენილების შემდგომი ტექსტის შინაარსიდანაც.

მაშასადამე, საზოგადოებრივი წესრიგი — ეს არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სამართლებრივი ნორმებითა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებით მოწესრიგებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა გამიჯვნას სხვა სახის დარღვევებისაგან იძლევა ახალი კანონი ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულება გამოყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ისეთი სახის დარღვევისაგან, როგორიცაა: მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის წესების დარღვევა; სანჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესების, აგრეთვე კარანტინის წესების დარღვევა; საპასპორტო სისტემის წესების დარღვევა; ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ამ სახის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევა; სახანძრო უშიშროების წესების დარღვევა და სხვ. თუ განვიხილავთ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ, შევამჩნევთ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები განსხვავდებიან მთელ რიგ სხვა დარღვევებისაგან. კერძოდ, აღნიშნული კანონმდებლობით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გამოყოფილია ადგილობრივი საბჭოების მიერ ისეთი საკითხების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დარღვევისაგან, როგორიცაა: თევზჭერის წესები, ნადირობის წესები (რსფსრ), საცხოვრებელი ფონდის კეთილმოწყობა და დაცვა (რსფსრ, უსსრ, ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ), ვაჭრობის წესები (რსფსრ, უსსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ), სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის წესები (საქართველოს სსრ, ლიტვის სსრ), პარკებში, ბაღებში, ბულვარებში, ტროტუარებზე, ქუჩებში, სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფა (ლიტვის სსრ, აზერბაიჯანის სსრ), ქუჩების, ტროტუარებისა და სახურავების გაწმენდა თოვლისაგან (ბელორუსიის სსრ) და სხვ.

ზემოაღნიშნული საკითხები, რასაკვირველია, ეხება საზოგადოებრივი წესრიგის სფეროსაც. მაგრამ მათი დარღვევა მოსალოდნელია არა მარტო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, არამედ სხვაგანაც. კანონმდებელი სწორად იქცევა, როცა გამოყოფს ასეთ ადგილებში მომხდარ დარღვევებს სხვაგან მომხდარ მსგავსი დარღვევებისაგან, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა არ იქნება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც დარღვევის სხვადასხვა ადგილი იწვევს სხვადასხვა შედეგებს და მათზე რეაგირების ფორმებიც სხვადასხვაა. მაგალითად, საზოგადოებრივ ადგილებში უნებართვო ადგილას თამბაქოს წევა (სახანძრო წესების დარღვევა) იწვევს მილიციის ორგანოებისაგან ან ადმინისტრაციული კომისიისგან სათანადო ადმინისტრაციულ ზემოქმედებას, ხო-

ლო იგივე ქმედობა ფეთქებად საამქროებში ექვემდებარება განსახილველად სახანძრო უსაფრთხოების ორგანოებს, რომლებიც ასეთ დარღვევებზე სთანადო რეაგირებას ახდენენ.

ამ ახალ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გარდა მოხსენებულია ისეთი სახის დარღვევებიც, რომელთა ჩადენა მხოლოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეიძლება. მაგალითად ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევა, ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისაგან არ გაწმენდა, პარკებში, ბაღებში, ბულვარებში, ტროტუარებზე, ქუჩებში სისუფთავისა და წესრიგის დაუცველობა, ვაჭრობის წესების შეუსრულებლობა და სხვა. კანონმდებლის მიერ საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ცალკეული სახეების მოხსენიება უნდა აიხსნას იმით, რომ მას სურს ხაზი გაუსვას საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევებს შორის აღნიშნული სახის დარღვევებს. ასეთი ტენდენცია ახასიათებს ადგილობრივი საბჭოების კანონმდებლობასაც, რაც შეიძლება გამართლებულ იქნეს იმით, რომ საზოგადოებრივი წესრიგის ზოგიერთი სახის დარღვევა განსაკუთრებით საზიანოა და საჭიროა მისი ხაზის გასმა, ყურადღების გამახვილება. მაგალითად, მშრომელთა დებუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს 1964 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ქალაქის საზოგადოებრივ ადგილებში: თეატრებში, კინოთეატრებში, კლუბებში, პარკებში, ტრამვაებში, ტროლეიბუსებსა და ქუჩებში ბავშვები და მოზარდები ვალდებულნი არიან მკაცრად დაცვან საზოგადოებრივი წესრიგი, „მოსწავლეთა წესები“, აგრეთვე ქუჩაში მოძრაობისა და საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობის წესები“.¹

რასაკვირველია, ქუჩაში მოძრაობისა და საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევა,—ეს იგივე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაა. მაგრამ გადაწყვეტილებაში ამას ხაზი გასმული აქვს იმის გამო, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდი თაობის მიერ ქუჩაში მოძრაობის და ტრანსპორტით სარგებლობის წესების დაცვა. ხოლო რაც შეეხება „მოსწავლეთა ქცევის წესებს“, მათი დარღვევა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა იქნება, თუკი მას ჩაიდენენ მოსწავლეები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საქმეები უნდა განიხილონ თანახმად დებულებისა არასრულწლოვანთა კომისიების შესახებ ამ უკანასკნელებმა და არა ადმინისტრაციულმა კომისიებმა, როგორც ამას გადაწყვეტილება თვლის.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საბჭოს 1964 წლის 14 იანვრის მეორე გადაწყვეტილებაში „ქ. თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მთელი რიგი დარღვევებისა მოქცეულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევათა ცნებებში. ასეთ დარღვევებს შორის აღნიშნულია: მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა სახელმწიფო დაწესებულებებში, საწარმოებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, სპირტიანი სასმელების სმა ამისათვის არაგანკუთვნილ ადგილას, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევა, ამ ტრანსპორტზე უტაქტო საქციელი, ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევა, ხმაური, დაკვრა, სიმღერა, რადიოლით, რადიომიმ-

¹ გაზ. „Вечерний Тбилиси“, 17 февраля 1964 г.

ლებით სარგებლობა 00-საათიდან დილის 7 საათამდე და სხვა.¹ რასაკვირველია აქ აღნიშნული ზოგიერთი დრღვევა სცილდება საზოგადოებრივი თავშეყრის საზღვრებს და მათ ვერ ჩავევლით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებად. ამიტომ გადაწყვეტილებასაც უნდა ერქვას არა მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილება, არამედ საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო თანაცხოვრების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამწესებელი აქტი.

საზოგადოებრივი წესრიგის ცნებით სარგებლობს აგრეთვე სისხლის სამართალი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 1960 წლის კოდექსის მეათე თავი ეხება „დანაშაულს საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ“. ამ თავში ცალკე ჯგუფად არ არის გამოყოფილი დანაშაულებანი საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ, მაგრამ 228 მუხლში ხუთიგნობა განმარტებულია როგორც „მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოების აშკარა უბატივცემულობას გამოხატავს“. აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხუთიგნობა შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. იგი გულისხმობს ასეთი ქმედობის ჩადენის შესაძლებლობას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ე. ი. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის გარეთაც. ამრიგად, საზოგადოებრივი წესრიგის ცნების განმარტება სისხლის სამართალში არ ემთხვევა მის ნამდვილ შინაარსს, რითაც სარგებლობს საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი. თვით სისხლის სამართლის მეცნიერებაში კი საზოგადოებრივი წესრიგი განმარტებულია, როგორც სამართალდარღვევის აცილების უზრუნველყოფის საშუალება და წარმოდგენილია ფართე გაგებით.²

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საზოგადოებრივი წესრიგის ცნების შესახებ არ არის აზრთა ერთიანობა. ავტორთა უმრავლესობა აღიარებს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი—ეს საზოგადოებაში არსებული წესრიგია საერთოდ და იგი გაიგივებული აქვთ ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ წყობასთან. მაგალითად, ი. ა. სოკოლოვი წერს: „საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივი წესრიგი (ფართო გაგებით) არის სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების ფორმა, რაც რეგულირდება სოციალისტური თანაცხოვრების წესებით ან ერთდროულად სოციალისტური სამართლის ნორმებითა და თანაცხოვრების წესებით, და გამონატავს საბოლოო ჯამში სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობებით გაპირობებულ ნებას საბჭოთა ხალხისას, წარმართულს კომუნისტური პარტიის მიერ, და რომელიც დაცულია დარღვევისაგან საბჭოთა საზოგადოებრიობის მიერ, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში—სოციალისტური საერთო სახალხო სახელმწიფოს მიერ“.³ რომ არაფერი ვთქვათ ამ განმარტების აღწერითობაზე და მეტიმეტ გადატვირთულობაზე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იგი ფაქტიურად

¹ გაზ. „თბილისი“, 1964 წ. 18 თებერვალი.

² Советское уголовное право, ч особенная, Госюриздат, 1962, стр. 365.

³ Ю. А. Соколов, Теоретические и правовые вопросы участия трудящихся в обеспечении законности и общественного порядка, — „Труды ВШ МООН РСФСР“, вып. 8, 1963 г., стр. 90 - 91.

წარმოადგენს არა საზოგადოებრივი წესრიგის განმარტებას, არამედ საერთო სოციალური მოვლენის ახსნას.

ავტორი საზოგადოებრივი წესრიგის „ვიწრო“ გაგებასაც იძლევა, მაგრამ ფაქტიურად იგი სცილდება ამ გაგებას და აღიარებს, რომ „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ვიწრო გაგებით ხშირად გადადის მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილებში ურთიერთობათა დაცვის საზღვრებს.¹

საზოგადოებრივი წესრიგის თავისებურ განმარტებას იძლევა ა. ვ. სეროგინი. იგი ამ ცნებას ასე განმარტავს: „საზოგადოებრივი წესრიგი საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოში შეიძლება გაგვემარტა, როგორც საბჭოთა სამართლის ნორმებითა და კომუნისტური მორალით მოწესრიგებული სისტემა საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი ხდება მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური რიტმი, მშრომელთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისა და დასვენების ხელშემწყობი პირობები, საბჭოთა მოქალაქეთა პატიოსნებისა და ღირსების ხელშეუხებლობა“.² უზრუნველყოფის ეს სახეები, ავტორის გაგებით, წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის ელემენტებს; აქ ლაპარაკია არა მარტო იმაზე, თუ რას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, არამედ იმაზე, რომ საზოგადოებრივი წესრიგი წარმოადგენს ისეთ ურთიერთობათა სისტემას, რომლებიც წარმოიშებიან ცხოვრების ნორმალური რიტმის მსვლელობისას, მშრომელთა შრომისა და დასვენების პირობების, მოქალაქეთა ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის პროცესში. ეს უშუალოდ გამომდინარეობს ავტორის მთელი მსჯელობიდან, რასაც იგი განმარტების მოცემამდე აკეთებს ცალკეული პუნქტების მიხედვით. ამასთან „ცხოვრების ნორმალური რიტმი“ ავტორის გაგებით არის ყოველდღიური ცხოვრების ყოველგვარი ურთიერთობანი. „ეს რიტმი,—წერს იგი,—ჩამოყალიბდება ხოლმე სხვადასხვაგვარად სამუშაო, დასვენების და სადღესასწაულო დღეებში და დღის მსვლელობის თვით სხვადასხვა დროშიაც კი“³. იმ ურთიერთობათა სფეროს ასეთი გაგება, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის ფარგლებს ქმნის, იწვევს იმას, რომ ავტორი ფაქტიურად არათანმიმდევარი ხდება, იგი ღალატობს ნაშრომის დასაწყისში დასახულ მიზანს,—მოვეცეს საზოგადოებრივი წესრიგის „ვიწრო“ გაგება.

საზოგადოებრივი წესრიგის ფართე გაგებას იძლევიან: ლ. ლ. პობოვი, პ. ტ. ვასკოვი, ნ. ფ. კუზნეცოვა, ნ. ვ. დემენტიევი, პ. ი. გრიშაევი, გ. ს. კოტლარევი და სხვა⁴.

¹ Ю. А. Соколов, Теоретические и правовые... стр. 96.

² А. В. Серегин, К вопросу о понятии общественного порядка в советском общественном государстве.—„Труды Высшей школы МООП РСФСР“, вып. 8, 1963 г., стр. 260.

³ იქვე, გვ. 256.

⁴ Л. Л. Попов, Некоторые вопросы содержания и формы административной деятельности советской милиции.—„Труды ВШ МООП РСФСР“, вып. 7, 1962 г., стр. 228; П. Т. Васильков, Государственная дисциплина в СССР, Госюриздат, 1960 г., стр. 57—58; Н. Ф. Кузнецова, Уголовная ответственность за нарушение общественного порядка, Госюриздат, 1963 г. стр. 3; Н. В. Дементьев, Участие труящихся в охране общественного порядка, Иед. ВШ МООП РСФСР, 1960 г. стр. 7; П. И. Гришаев, Преступления против общественного порядка и безопасности, преступления против народного здоровья,—в учеб. пособии „Советское уголовное право“, ч. особенная, т. II, изд. ВЮЗИ, 1960 г. стр. 89; Г. С. Котляревский, Некоторые вопросы советского социалистического правопорядка,—„Ученые записки ВЮЗИ“, вып. 11. 1960 г., стр. 100.

ამ ავტორებიდან ჩვენ შევეხებით გ. ს. კოტლიარევსკისა და პ. ი. გრომევის შეხედულებებს, რადგანაც ისინი თავისებურად ხსნიან ამ საკითხს. გ. ს. კოტლიარევსკი წერს: „... სამართლის ნორმებს შეუძლიათ მარგველირებელი ზემოქმედება მოახდინონ და ახდენენ კიდევ ადამიანთა ქცევებზე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე. მაგალითის სახით შეიძლება მივმართოთ ისეთ ნორმებს, რომლებიც შეიცავენ გარკვეული მოქმედებების შესრულების აკრძალვას (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები)... სამართლის ნორმები ამ შემთხვევაში ხელს უწყობენ დაამყარონ არა მართლწესრიგი, არამედ განსაზღვრული, გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი წესრიგი, რომლის ცნებაც ფართეა მართლწესრიგის ცნებასთან შედარებით“.¹

აქ ავტორი საზოგადოებრივ წესრიგს განიხილავს არა მარტო მხოლოდ მართლწესრიგთან ურთიერთკავშირში, არამედ სრულიად სხვა თვალსაზრისით, ავტორი თვლის, რომ საზოგადოებრივი წესრიგი შესდგება არა მარტო განსაკუთრებული იდეოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან (სამართლებრივი ურთიერთობებისაგან), რომლის მეშვეობითაც, ავტორის აზრით, სამართალი არეგულირებს ადამიანთა ქმედობებს, არამედ ფაქტიურ იდეოლოგიურ ურთიერთობებისაგანაც. ამასთან, გამომდინარე მართლწესრიგის ავტორისეული გაგებიდან, რასაც მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგი, ეს უკანასკნელი ხასიათდება სამართლებრივ ურთიერთობათა არა მექანიკური ერთობლიობით, არამედ მათი შინაგანი შეთანხმებული წყობით. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აზრს, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის ქვეშ გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთობათა შინაგან შეთანხმებულ წყობას და, გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის სფეროში აერთიანებს აგრეთვე ფაქტიურ იდეოლოგიურ ურთიერთობას, რეგულირებულს სამართლებრივი ნორმით სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე. ვერ ერთი, სამართლებრივ ურთიერთობებს ჩვენ ვერ ჩავთვლით ისეთ განსაკუთრებულ იდეოლოგიურ ურთიერთობებად, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი ნორმებით რეგულირებას. იდეოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობანი იქცევიან სამართლებრივ ურთიერთობებად, როცა მათ არეგულირებს სამართლის ნორმები. საზოგადოებრივი წესრიგი მოიცავს ამ ურთიერთობების მხოლოდ ნაწილს; მეორეც, საზოგადოებრივი წესრიგი ხასიათდება სწორედ რეალურად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემით, ერთობლიობით, და არა ამ ურთიერთობათა მხოლოდ შინაგანი წყობით, პრინციპში მათი შეთანხმებულობით; მესამეც, საზოგადოებრივი ურთიერთობანი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რომლებიც სცილდებიან სამართლებრივი ურთიერთობის საზღვრებს, არ შეიძლება რეგულირდებოდნენ სამართლებრივი ნორმებით. საზოგადოებრივ წესრიგს ვერ ჩავთვლით მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით რეგულირებულად. აკრძალვის მოთხოვნათა შესრულება არ ნიშნავს, რომ ასეთი მოქმედება რეგულირდება ამკრძალავი ნორმით. ყოველი მოქმედება, რომელიც არ არღვევს აკრძალვას, შეიძლება ჩავთვალოთ აკრძალვის შესრულებად და რეგულირების ავტორისეული გაგებით მივიღებდით, რომ ადამიანთა ყოველგვარი დადებითი მოქმედება რეგულირდება ამკრძალავი ნორმით.

¹ Г. С. Котляревский, Некоторые вопросы советского социалистического правоупорядка.—„Ученые записки ВЮЗИ“, 1960 г. вып. II, стр. 100.

გ. ს. კოტლიარეცკისგან განსხვავებით ნ. გ. ალექსანდროვი ერთსა და იმავედ თვლის საზოგადოებრივ წესრიგსა და მართლწესრიგს. იგი წერს: „საზოგადოებრივი წესრიგი იმ ზომით, რა ზომითაც იგი განმტკიცებულია სოციალისტური სამართლის ნორმებით და, მაშასადამე, დაცულია არა მარტო საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალით, არამედ აუცილებელ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი იძულების ზომებითაც, — წარმოადგენს სოციალისტურ მართლწესრიგს“.¹ ხოლო სოციალისტური მართლწესრიგი ავტორს ესმის, როგორც „ის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც კანონებთან (და საერთოდ სამართლის ნორმებთან) მიმართებით წარმოგვიდგება როგორც კანონიერება, კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, რომელიც სამართლითაა რეგულირებული“². ავტორი წინააღმდეგია ამასთან ერთად გააერთიანოს მართლწესრიგი სამართლებრივ ურთიერთობათა ერთობლიობასთან, რომლისთვისაც საკმარისია, რომ მათი მონაწილეებისათვის კანონით გათვალისწინებული იყოს განსაზღვრული უფლებები და იურიდიული მოვალეობანი, ხოლო მართლწესრიგისათვის აუცილებელია სუბიექტური უფლებების განხორციელების გარანტირებული შესაძლებლობის არსებობა, აუცილებელია იურიდიულ მოვალეობათა მკაცრი შესრულების უზრუნველყოფა.³ ზევ ვერ დავეთანხმებით ავტორს მართლწესრიგთან საზოგადოებრივი წესრიგის გაერთიანებაში და თანაც საზოგადოებრივი წესრიგ-მართლწესრიგის ასეთ გაგებაში. თუკი არაა გარანტირებული საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მოქალაქეთა სუბიექტური უფლებების განხორციელება და არაა უზრუნველყოფილი მოვალეობათა შესრულება, არც შეიძლება არსებობდეს ასეთ ადგილებში კანონიერება, მაშასადამე, არც იქნება საზოგადოებრივი წესრიგი. ამიტომაც, საზოგადოებრივი წესრიგი შეიძლება გულისხმობდეს იურიდიულ უფლებებსა და მოვალეობებსზე დამყარებულ ურთიერთობებს. საზოგადოებრივი წესრიგი არ შეიძლება არსებობდეს მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე. ვარდა ამისა საზოგადოებრივი წესრიგი ვერ მოიცავს მართლწესრიგის მთელ სფეროს. საზოგადოებრივი წესრიგი არ შეიძლება რეგულირდებოდეს სოციალისტური სამართლის ყველა ნორმით და, მაშასადამე, არაა მართლწესრიგის იდენტური. საზოგადოებრივი წესრიგი გულისხმობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც იქმნებიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და რეგულირდებიან საბჭოთა სამართლებრივი ნორმების განსაზღვრული ნაწილით.

ბ. ი. გრიშაევის განმარტება საზოგადოებრივი წესრიგისა საინტერესოა იმით, რომ იგი მას თვლის ნორმათა ერთობლიობად. ავტორი წერს: „საზოგადოებრივ წესრიგად უნდა ვაღიაროთ ისეთი წესრიგი, რომელიც არეგულირებს სოციალისტური საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობას, რომლის თანახმად თითოეული ვალდებულია დაიცვას ქცევის წესები საზოგადოებაში, რაც განმტკიცებულია როგორც სამართლებრივი ნორმებით, ასევე სოციალისტური მორალის ნორ-

¹ Н. Г. Александров, Всенародная социалистическая демократия и законность. М., 1962, стр. 54.

² Основы теории государства и права. Уч. пособие, Госюриздат, 1963, стр. 483.

³ იქვე, გვ 483.

მეზობიაც¹. აქედან ჩანს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის ქვეშ ავტორი გულისხმობს სოციალურ ნორმებს, ვინაიდან სოციალისტური საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობას არეგულირებს ნორმა. მაგრამ არ შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგი გავავივივით ნორმათა ერთობლიობასთან, რომელსაც ქმნის სამართალი, მორალი, სოციალისტური თანაცხოვრების წესები. სოციალური ნორმა არ შეიძლება გაიგივებულ იქნას მის მიერ რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან. საზოგადოებრივი წესრიგი იმიტომ რეგულირდება ქცევის წესებით, რომ იგი თვითაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა. ამასთან ერთად, საზოგადოებრივი წესრიგი რეგულირდება არა ყველა სამართლებრივი და მორალური ნორმებისგან. მორალს აქ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს სოციალისტური თანაცხოვრების წესებთან შედარებით, რომელიც „ზნეობისაგან განსხვავებით, რომელიც იძლევა შეფასებას როგორც შინაგანი განცდებისა, ასევე საზოგადოების წევრის ქცევისა... არეგულირებს ძირითადად ადამიანთა ურთიერთობის გარეგან მხარეს“² ამრიგად, საზოგადოებრივი წესრიგის სფერო ეხება როგორც იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაწილს, რომელიც რეგულირდება სამართლით, ე. ი. მართლწესრიგის ნაწილს, ასევე სოციალისტური თანაცხოვრების წესებით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაწილს, და არ წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას. მართალია აქ სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა ხშირად რეგულირდება სოციალისტური თანაცხოვრების წესებითაც, მაგრამ ამ უკანასკნელს გააჩნია საზოგადოებრივ ადგილებში მოქმედების ისეთი სფეროც, რაშიც სამართლის ნორმა არ ერევა, ხოლო მართლწესრიგის თვალსაზრისით საზოგადოებრივი ურთიერთობანი ლებულობენ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ, თუ მათ არეგულირებენ სამართლის ნორმები.

გვინდა ორი სიტყვით აღვნიშნოთ ისიც, რომ ავტორთა რიცხვი, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს თვლიან როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არსებულ საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემად — ძალზე მცირეა და გარდა ამისა, მხოლოდ ვაკვრით თუ ეხებიან ისინი ამ საკითხს და მათი კვლევის ძირითად თემას იგი არ წარმოადგენს.³

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოციალისტური საზოგადოებრივი წესრიგი შემდგომ მტკიცდება და ვითარდება, ლებულობს რა მომავალი კომუნისტური საზოგადოებრივი წესრიგის ნიშნებს.

სოციალისტური საზოგადოებრივი წესრიგის განვითარება მიემართება სამართლებრივი ნორმებით მისი რეგულირების სფეროს შემცირებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების მარეგულირებელი როლის გაზრდის გზით,

¹ П. И. Гришаев, Преступления против общественного порядка и безопасности, преступления против народного здоровья,—в. уч. пос. „Советское уголовное право“, ч. особ. т. II, изд. ВЮЗИ, 1961 г., стр. 89.

² Ю. А. Соколов, Участие трудящихся в охране советского общественно-порядка, Госюриздат, 1962 г., стр. 11—12.

³ М. И. Еропкин—Вступление к учебнику „Наружняя служба милиции“, изд. ВШ МООП РСФСР, 1962 г., стр. 3; Р. Ф. Васильев. К вопросу об установлении административной ответственности за нарушение общественного порядка,—в кн.: „Вопросы административного права на современном этапе“, Госюриздат, 1963 г., стр. 90; Л. Л. Попов, Некоторые вопросы содержания и форм административной деятельности Советской милиции,—„Труды высшей школы МООП РСФСР“, вып. 7, 1962 г., стр. 228—9.

რომელიც თანდათან გადადის კომუნისტური თანაცხოვრების წესებში, კეთრებული მნიშვნელობა ასეთი განვითარებისათვის აქვს მშრომელთა მონაწილეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებას დამრღვევთა აღზრდის საქმეში. „კომუნიზმზე გადასვლის პროცესში. — აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, — სულ უფრო იზრდება ზნეობრივი საწყისების როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ფართოვდება მორალური ფაქტორის მოქმედების სფერო და შესაბამისად მცირდება ადამიანთა ურთიერთობის ადმინისტრაციული რეგულირების მნიშვნელობა. პარტია წაახალისებს მოქალაქეთა შეგნებული თვითდისციპლინის ყველა ფორმას, რომლებიც განამტკიცებენ და ავითარებენ კომუნისტური საერთო ცხოვრების ძირითად წესებს“¹.

¹ სკკპ პროგრამა, სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962 წ., გვ. 508.

კრედიტით საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

№. ახვლედიანი

საბჭოთა ვაჭრობის განვითარება ჩვენი ხალხის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებისათვის, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა მოქალაქეების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს საცალო ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა ფორმების განვითარება, მათ რიცხვში საცალო ყიდვა-გაყიდვა კრედიტით, რომელიც შემოღებული იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით „მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი მოხმარების საგნების კრედიტით მიყიდვის შესახებ“.

კრედიტით ყიდვა-გაყიდვის შემოღებამ გამოიწვია მოქალაქეთა მყიდველობითი უნარიანობის შემდგომი ზრდა, რამდენადაც ამგვარი ყიდვა-გაყიდვა საშუალებას აძლევს მშრომლებს შეიძინონ ნივთები, ისე რომ არ შეექმნათ დროებითი ფულადი სიძნელეები, რაც შეიძლებოდა გამოეწვია საქონლის ღირებულების ერთდროულად გადახდას. სწორედ ამიტომ არის, რომ ვაჭრობის ეს ფორმა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა და მოითხოვს სრულ სამართლებრივ რეგულირებას¹.

კრედიტით საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ჩვეულებრივი საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ კრედიტით ყიდვა-გაყიდვის დროს მყიდველი მთლიანად არ იხდის საქონლის სრულ ღირებულებას მისი მიღების მომენტში. კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ერთი მხარე (გამყიდველი) ვალდებულია გადასცეს ქონება მეორე მხარეს (მყიდველს) ხელშეკრულების დადების მომენტში, ხოლო მყიდველი კი ვალდებულია ამ მომენტისათვის გადაიხადოს საქონლის ღირებულების ნაწილი, დანარჩენი ნაწილი კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის განმავლობაში.

ის გარემოება, რომ მყიდველი საქონლის სრულ ღირებულებას განსაზღვრული დროის განმავლობაში იხდის, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ჩავთვალოთ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან სრულიად განსხვავებულ, დამოუკიდებელ სახის ხელშეკრულე-

¹ კრედიტით საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების წესი რეგულირდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის კომპეტენტური ორგანოების აქტებით: სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველებით, მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით — „მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი მოხმარების საგნების კრედიტით მიყიდვის შესახებ“. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებით (საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქმედებს მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია) და ცენტროსთიუზის 1960 წლის 27 აგვისტოს ინსტრუქციით.

ბად. გადახდის განვადების შესახებ მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობა თვით კანონიდან გამომდინარეობს. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით: „გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს გაყიდული ქონება თანახმად ხელშეკრულებისა, ხოლო მყიდველი ვალდებულია მიიღოს იგი და გადაიხადოს შეპირებული ფასი. ეს მოქმედება ორივე მხარის მიერ შესრულებული უნდა იქნეს ერთსა და იმავე დროს, რამდენადაც ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“. მაშასადამე, კანონის შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების დროს მხარეებს შეუძლიათ ვითვალისწინონ „სხვა რამ“, სახელდობრ ის, რომ საქონლის სრული ღირებულების გადახდა მოხდება განვადებით. ამიტომ სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არ წარმოადგენს ხელშეკრულების განსაკუთრებულ სახეს, რომ ის ერთიანი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სახესხვაობაა¹.

აღნიშნულის გამო ვერ დავეთანხმებით ვ. გრიბანოვისა და ა. კაბალკინის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს ორი გარიგების—ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვისა და სესხის ხელშეკრულების — ერთმანეთში შერწყმას².

კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სუბიექტები ზუსტად არიან განსაზღვრული. გამყიდველი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილი მაღაზიები, მყიდველი კი ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ იმ ქალაქში, სადაც მაღაზია იმყოფება. ცენტროსოფის 1960 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიები ყიდვიან საქონელს იმ მუშებზე, მოსამსახურეებზე და კოლმეურნეებზე, რომლებიც სამომხმარებლო საზოგადოებათა წევრება არიან.

ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებული წესი მუდმივი სამუშაოს გარდა მოითხოვს. აგრეთვე მუდმივ ბინადრობას იმ ქალაქში, სადაც მაღაზია იმყოფება (საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედ ინსტრუქციაში ნათქვამია: კრედიტით საქონელი მიეყიდებათ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მუდმივ სამუშაოზე იმყოფებიან და ცხოვრობენ იმ ქალაქში, სადაც მაღაზია იმყოფება). ასეთი წესი ფაქტიურად უკრძალავს კრედიტით ნივთების შეძენას იმ პირებს, რომლებიც ქალაქში მუშაობენ, ხოლო მუდმივი ბინადრობა კი აქვთ ქალაქგარეთ დასახლებებში. ასეთი შეუსაბამობა გამოსწორებას მოითხოვს.

უმრავლესი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პენსიონერებისათვის საქონლის კრედიტით მიყიდვას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 1959 წლის ინსტრუქციით პენსიონერებს კრედიტით საქონლის შეძენის უფლება ეძლეოდათ, 1960 წლის 9 აპრილს დამტკიცებული ინსტრუქცია სამწუხაროდ პენსიონერების ასეთ უფლებას არ ითვალისწინებდა. ახალი ინსტრუქცია, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის დადგენილებითაა დამტკიცებული, პენსიონერებს კრედიტით საქონლის შეძენის უფლებას აძლევს.

¹ В. А. Язев, Договор розничной купли-продажи в кредит, Госюриздат, 1962. стр. 10.

² В. П. Грибанов, А. Ю. Кабалкин, Правовое регулирование купли-продажи с срочкой платежа, «Советское государство и право», 1960, № 8, стр. 106.

ზოგიერთი იურისტის აზრით არასრულწლოვანისათვის კანონით მინიჭებული უფლება დამოუკიდებლად განკარგოს მის მიერ მიღებული სამუშაო ხელფასი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი) შეზღუდულად უნდა იქნეს განმარტებული. მაგ. პროფ. ს. ნ. ბრატუსი თვლის, რომ „მოზარდებს არ აქვთ უფლება დადონ გარიგებები და განკარგონ ჯერ კიდევ მიუღებელი ხელფასი“¹.

ჩვენის აზრით, კრედიტით ყიდვა-გაყიდვის საერთო მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში არასრულწლოვანთა უფლებების შეზღუდვა არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად, ამიტომ სწორად უნდა მივიჩნიოთ ვ. გრიბანოვისა და ა. კაბალკინის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმას შესახებ, რომ კრედიტით შეძენილი საქონლის ღირებულების გადახდის არსებული წესი სრულიად უზრუნველყოფს მყიდველთა, მათ შორის არასრულწლოვანთა, ინტერესების დაცვას, ამიტომ მათ მიერ თავიანთი ხელფასის განკარგვის უფლების შეზღუდვის საფუძველი არ არის².

კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს არა ყოველი სახის, არამედ მხოლოდ განსაზღვრული დასახელების საქონელი. ძირითადად ისინი ჩამოთვლილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს დადგენილებაში. ასეთებია: რადიოები და რადიომიმღებები, ფოტოაპარატები, ველოსიპედები, საკერავი მანქანები, საათები, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები და სხვა. ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ შეიტანონ ცვლილებები და დამატებები აღნიშნულ ჩამოთვლაში.

კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იქნეს დადებული. ხელშეკრულების გაფორმება ხდება დავალდება-ვალდებულების ფორმით, რომელსაც ხელს აწერს გამყიდველი და მყიდველი. დავალდება-ვალდებულება დგება ორ ცალად, რომელთაგან ერთი ცალი რჩება სავაჭრო ორგანიზაციას, მეორე კი ეგზავნება იმ ორგანიზაციას, სადაც მყიდველი მუშაობს.

დავალდება-ვალდებულების გაფორმების დროს მყიდველმა უნდა წარადგინოს ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცალებლად აღნიშნული უნდა იქნეს მუშაის ბოლო სამი თვის საშუალო თვიური გამომუშავება.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქმედი ინსტრუქცია მოითხოვს დავალდება-ვალდებულების დამოწმებას იმ საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, რომელშიც მყიდველი მუშაობს. დავალდება-ვალდებულება არ შეიძლება დამოწმებული იქნას თუ მამაკ ადმინისტრაციული ფურცლით ან სხვა ადმინისტრაციული საბუთებით ხელფასის ორმოცდაათი პროცენტი ექვითება.³

სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიჰყიდონ ერთ პირს რამდენიმე საგანი ექვსი თვის განვადებით მყიდველის ორი თვის ხელფასის ფარგლებში. ხოლო თორმეტი თვის განვადებით კი ოთხი თვის ხელფასის ფარგლებში.

¹ С. Н. Братусь, Субъекты гражданского права, Госюриздат, 1950, стр. 67.

² В. П. Грибанов, А. Ю. Кабалкин, Правовое регулирование купли-продажи с срочной платёж, «Советское государство и право», 1960, № 8, стр. 106.

³ სსრ კავშირის ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტისა და სსრკომსაბჭოს 1929 წლის 12 ივნისის დადგენილებით ხელფასიდან ყოველი სახის დაქვითვა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 50 პროცენტს.

საქონლის მიღების მომენტში მყიდველი იხდის საქონლის ღირებულებას ოცდახუთ პროცენტს, დანარჩენ ნაწილს კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის განმავლობაში. საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილის გადახდა ხდება იმ ორგანიზაციის ბუღალტერიის მეშვეობით, სადაც მყიდველი მუშაობს. ბუღალტერია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის განმავლობაში მუშავეს თვეში ორჯერ უქვითავს ხელფასიდან თანაბარ თანხას და ურაცხავს სავაჭრო ორგანიზაციას.

კრედიტით საქონლის შეძენის დროს მოქალაქეები მომსახურებისათვის (დავლება-ვალდებულების გაფორმება, დამატებითი საანგარიშსწორებო ოპერაციები და სხვა) დამატებით იხდიან საცალო ფასების 1—2 პროცენტს.

მორიგი შევებულების, დროებითი არაშრომისუნარიანობის და სხვა მსგავს შემთხვევებში მორიგი გადასახდელს მოცულობა შეიძლება შეიცვალოს. გადაუხდელი თანხა დაემატება მომდევნო მორიგ შესატანს.

მუშის ან მოსამსახურის სამუშაოდან განთავისუფლების, ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია დაუქვითოს მას მთლიანად საქონლის ღირებულების გადაუხდელი ნაწილი, ამავე დროს მთლიანად დაქვითული თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საზღვრებს.

ამა თუ იმ მიზეზით მორიგი გადასახდელის დაქვითვის შეწყვეტის შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ სავაჭრო ორგანიზაციას ხუთი დღის განმავლობაში.

დავლება-ვალდებულებით მყიდველი მოვალეა დაუყოვნებლივ შეატყობინოს მალაზიას საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლის შესახებ.

სამოქალაქო კანონმდებლობით დასაშვებია მოვალისაგან თავის ვალის სხვა პირზე გადატანა. ასეთი შეიძლება მოხდეს კრედიტორის თანხმობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 126-ე, 128-ე მუხლები). აღნიშნულის შესაბამისად სრულიად დასაშვებია დავლება-ვალდებულების გადაფორმება სხვა პირზე.

კრედიტით შეძენილ საქონელზე ვრცელდება ის სავარანტიო ვადები და გაცვლის წესი, რაც დადგენილია საცალო ვაჭრობის ქსელში პირად ანგარიშზე შეძენილ ასეთივე სახის საქონელზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს დადგენილებასა და მოკავშირე რესპუბლიკების ინსტრუქციებში არ არის რაიმე მითითება კრედიტით ყიდვა-გაყიდვის დროს მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტის შესახებ. ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული.

ო. ლვოვიჩის აზრით საკუთრების უფლება ნივთზე მყიდველს აღმოუცენდება განსაზღვრული პირობის დადგომის შემდეგ — ნივთის სრული ღირებულების გადახდის შემდეგ.¹

ი. ლვოვიჩის მოყვანილი მოსაზრება სამართლიანად იყო გაკრიტიკებული იურიდიულ ლიტერატურაში² და ბუნებრივია, რომ არ იქნა გაზიარებული სსრ

¹ Ю. Львович, Розничная купля-продажа в кредит и прокат товаров, «Советская юстиция», 1959, № 12, стр. 22.

² В. П. Грибанов, А. Ю. Кабалкин, Правовое регулирование купли-продажи с рассрочкой платежа, «Советское государство и право», 1960, № 8, стр. 07.

კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის ფუძვლების მიერ, რომელშიც მოცემულია პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დროს შემძენისათვის საკუთრების უფლება ნივთზე წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან¹. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებისაგან განსხვავებით მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ ღებულობს ნივთების დაყოფას ინდივიდუალური და გვარობითი ნიშნებით განსაზღვრულ ნივთებად. მაშასადამე, მიიღებს რა ნივთს გამყიდველისაგან მყიდველი ხდება მისი მესაკუთრე და მასზევე გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკიც („უკეთუ სხვა რამ შეთანხმება არ არსებობს, გაყიდული ქონების შემთხვევით დაღუპვის რისკი გადადის მყიდველზე საკუთრების უფლების მასზე გადასვლისთანავე“, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი).

პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობების არასათანადო შესრულების შემთხვევები, რისთვისაც მხარეებს ეკისრებათ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

გამყიდველი (სავაჭრო ორგანიზაცია) ვალდებულია გადასცეს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სრული მოცულობით, დადგენილ ფასში და სათანადო ხარისხის. უკეთუ გამყიდველი არ გადასცემს მყიდველს გაყიდულ ქონებას ან შეაძლევს ისეთ ქონებას, რომელიც არ შეეფერება ხელშეკრულების პირობებს, მყიდველს შეუძლია ან მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულება და მისთვის მიყიდული ქონების გადაცემა იმ ზარალის ანაზღაურებით, რაც მას მოუვიდა გამყიდველის არაპირიანობის გამო, ან თავის მხრივ უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს მთელი იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მას მოუვიდა გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი).

გამყიდველი პასუხს აგებს მყიდველის წინაშე, უკეთუ გაყიდულ ქონებას არ აღმოაჩნდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თვისება. ასევე ისეთი ნაკლისათვის, რომლის შემჩნევაც მყიდველს არ შეეძლო ნივთის ჩვეულებრივი წესით ჩაბარების დროს, ან რომელიც გამყიდველმა განზრახ დამალა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 195-ე, 196-ე მუხლები).

კრედიტით საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებულია მიიღოს შეძენილი ნივთი და გადაიხადოს შეპირებული ფასი. თუ მყიდველი უარს იტყვის ჩაიბაროს ნაყიდი ქონება, გამყიდველს შეუძლია ან მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულება შეპირებული ფასის გადახდით და იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მას მოუვიდა მყიდველის არაპირიანობის გამო, ან თავის მხრივ უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მას მოუვიდა მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 190-ე მუხლი).

როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა მყიდველს არ შეაქვს მორიგი შესატანი? ი. ლვოვიჩი თვლის, რომ ისეთ შემთხვევებში, როცა მუშა

¹ იხ. „საფუძვლების“ 43-ე და 30-ე მუხლები.

ან მოსამსახურე განთავისუფლდა სამუშაოდან და არ მოწყობილა ახალ სამუშაოზე, მიზანშეწონილი იქნება სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება მიეცეს სასამართლო წესით მოითხოვონ გადაუხდელი თანხის მთლიანად ანაზღაურება ან ხელშეკრულების შეწყვეტა და ქონების ვინდიკაცია.¹

ი. ლვოვიჩის მოსაზრებას ნივთის უკან დაბრუნების შესახებ არ შეიძლება დავეთანხმეთ. ასეთი მოთხოვნის მომენტიში მყიდველს ნივთი შეიძლება აღარ ჰქონდეს. (მაგ. ნივთი შეიძლება დაიღუპა არასათანადო მოპყრობის ან სტიქიური უბედურების შედეგად), ან ნივთმა შეიძლება იცვალა პირვანდელი სახე. თანახმად 1956 წლის 15 ივნისის წესებისა — საცალო სავაჭრო ქსელში შეძენილი სამრეწველო საქონლის გაცვლას შესახებ — სავაჭრო ორგანიზაციებს (გარდა საკომისიო და შემსყიდველი მაღაზიებისა) უფლება არა აქვთ გაყიდონ ხმარებაში ყოფილი საქონელი. ამავე დროს ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ ვინდიკაციაზე. როგორც სწორად შენიშნავს ვ. იაზევი — ვინდიკაციას უფლება, ე. ი. სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის მოთხოვნის უფლება, შეიძლება ქონდეს მხოლოდ მესაკუთრეს. კრედიტით შეძენილი ნივთის მესაკუთრე კი მასზე ნივთის გადაცემის მომენტიდან ხდება მყიდველი. მესაკუთრისაგან ქონების ვინდიკაცია არ შეიძლება.²

აღნიშნულ საკითხს სწორად წყვეტს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქმედი ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, თუ მყიდველი თავს არიდებს დარჩენილი დავალიანების გადახდას სავაჭრო ორგანიზაცია ახდენს იძულებით გადახდევენებას სანოტარო წესით.

მყიდველის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელმაც თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო მთლიანად საქონლის ღირებულების გადახდა, უნდა მივმართოთ სამოქალაქო სამართლის იმ ნორმებს, რომლებითაც სამემკვიდრეო უფლებრივი ურთიერთობები რეგულირდებიან, რამდენადაც „მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს ჩაიბარებს და აგრეთვე სახელმწიფო, რომლის ხელშიაც ბეითალმანი გადავა, პასუხს აგებენ სამკვიდროს ვალებისათვის ქონების მხოლოდ ნამდვილი ღირებულების ფარგლებში“. (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 433-ე მუხლი).

საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხალხის ცხოვრების პირობები მუდმივად მაღლდება, სადაც ადამიანებს არ ემუქრებათ უმუშევრობა, კრედიტით ყიდვა-გაყიდვა მათ საშუალებას აძლევს უფრო ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს ხანგრძლივი მოხმარების საგნები, მაშინ როცა ბუჩქუხაზიულ ქვეყნებში ის კერძო კაპიტალის, პირველ რიგში მსხვილი მონოპოლისტური სავაჭრო ფირმების ინტერესებს ემსახურება.

¹ Ю. Львович. Розничная купля-продажа в кредит и прокат товаров «Советская юстиция», 1959, № 12, стр. 23.

² В. А. Язев, Договор розничной купли-продажи товаров в кредит, Госюриздат, 1962, стр. 91.

შემნახველი სალაროების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

ზ. მგელაძე

შემნახველი სალაროების საქმიანობა, მათი სამართლებრივი მდგომარეობა შეადგენს სამოქალაქო სამართლის რთულ და საინტერესო ინსტიტუტს. სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები ერთიანი საკავშირო საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და წარმოადგენს იურიდიულ პირს. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში იგი გამოდის, როგორც სამართლის სუბიექტი. ძნელია საბჭოთა კავშირში მოინახვებოდეს ისეთი ოჯახი, რომელსაც არ ესარგებლოს შემნახველი სალაროს მომსახურებით. ამ მომსახურებიდან წარმოიშვებიან სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობანი, რომელთა მოწესრიგებაც ხდება სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით.

შემნახველ სალაროებში შესული ანაბრების სამართლებრივი მდგომარეობა საბჭოთა კანონის მიერ ისეა მოწესრიგებული, რომ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ძალდატანების გარეშე შეაქვს თავისუფალი თანხები შემნახველ სალაროებში, რადგან ეს მისთვის მოსახერხებელი და სასარგებლოა.

მშრომელთა დანაზოგები წარმოადგენენ მათ პირად საკუთრებას. მის ხელშეუხებლობას მკაცრად იცავს საბჭოთა სახელმწიფო, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის საშუალებით. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-10 მუხლში ნათქვამია: — მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება მათ შრომის შემოსავალსა და დანაზოგზე, საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე საოჯახო მეურნეობაზე, საოჯახო მეურნეობისა და ყოფაცხოვრების საგნებზე, პირადი მოხმარებისა და კეთილმოწყობის საგნებზე, ისე როგორც მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება — დაცულია კანონით. კონსტიტუციის ამ მუხლიდან გამომდინარე შემუშავებულია მთელი რიგი კანონები, წესდებანი, რომლებიც აწესრიგებენ შემნახველ სალაროების მუშაობას, განსაზღვრავენ მის სამართლებრივ მდგომარეობას ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.

საბჭოთა კანონები შეანაბრებს ინტერესებს იცავს ყველა დროსა და პირობებში. ასე მაგალითად: როდესაც 1947 წელს გატარდა ფულის რეფორმა, ის მოქალაქენი, რომლებსაც ფული შემნახველ სალაროში ჰქონდათ უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამამულო ომი ახლად იყო დამთავრებული და ომის შედეგად მიყენებული მძიმე ჭრილობების მოსაშუშებლად აუარებელი სახსრები იყო საჭირო, საბჭოთა სახელმწიფომ შეანაბრებდა ინტერესები მაინც სრულად დაიცვა. 1947 წლის ფულის რეფორმის გატარებისას ფულის გადაცვლა წარმოებდა შეფარდებით—ძველი ფულის 10 მანეთი ახალი ფულის 1 მანეთზე. შემნახველ სალაროებში ანაბრების გადაფასება გატარდა სხვა პრინციპით; ანაბრები თანხით 3 ათას მანეთამდე გადაფასდა მანეთი მანეთად. 3 ათას მანეთზე მეტი თანხის ანაბრების პირველი 3 ათასი მანეთიც გადაფასდა მანეთი მანეთად. 3 ათას მანეთზე ზევით ათიათას მანეთამდე გადაფასდა შეფარდებით—ძველი ფულის სამი მანეთი ახალი ფულის ორ მანეთად, ხოლო თანხები

ათი ათას მანეთზე მეტი შეფარდებით ძველი ფულის ორი მანეთი ახალ ფულის ერთ მანეთად. ზემოთ მოყვანილი მაგალითი იმის ბრწყინვალე ილუსტრაციაა თუ რა მზრუნველობას იჩენს საბჭოთა სახელმწიფო მეანაბრებზე.

საბჭოთა სახელმწიფოში ძირითადი ფულადი რესურსები საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად გროვდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციისა და საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან სავალდებულო გადასახადების ამოღების გზით. ამასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფო ფულადი სახსრების გარკვეულ ნაწილს თავის ბიუჯეტში მიიზიდავს წარმოება-დაწესებულებებისა და მოქალაქეებისაგან ნებაყოფლობით საფუძველზე. ამ სახელმწიფო კრედიტის საშუალებით ხდება ფულადი სახსრების შეტანა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იმ გარკვეული პირობით, რომ ეს ფულადი თანხა დაბრუნებულ იქნება უკან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. ამ სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის დროს სახელმწიფო გამოდის როგორც მსესხებელი, ხოლო მოქალაქეები და ორგანიზაციები, რომლებიც აძლევენ თავიანთ სახსრებს გამოდიან როგორც კრედიტორები.

ჩვენში სახელმწიფო კრედიტის ორი ფორმაა: 1. შემნახველ სალაროებში ანაბრების მიზიდვა და 2. სახელმწიფო სესხის გამოშვება. ამ უკანასკნელის გამოშვება იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა არნახულად გაძლიერდა, აგრეთვე ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ბოლო წლებში შეწყვეტილ იქნა (გარდა სამ პროცენტის სესხის ობლიგაციებისა).

შემნახველი სალაროები ჩვენს ქვეყანაში დიდ როლს თამაშობენ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში. მოსახლეობის მიერ შემნახველ სალაროებში შეტანილი თავისუფალი თანხები გამოიყენება სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და მოსახლეობის კეთილდღეობის აღმავლობისათვის. ამ თანხების გამოყენება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით. შემნახველი სალაროები იმ თანხებისათვის, რაც მას სახელმწიფო ბიუჯეტში შეაქვს სესხის სახით, ამ უკანასკნელისაგან ღებულობს გარკვეულ შემოსავალს პროცენტების სახით.

შემნახველი სალაროები უკანასკნელ დრომდე შედიოდა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს განკარგულებაში, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით იგი გადავიდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგებლობაში. ამ დადგენილებაში ხაზგასმითაა ნათქვამი შემნახველ სალაროების რიცხვის გადიდებისა და მისი ფუნქციების გაფართოების შესახებ. სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა და სახელმწიფო ბანკის გამგებამ ამ დადგენილების შესაბამისად 1962 წლის 8 დეკემბერს გამოსცეს ბრძანება, რომელიც წესდებასთან ერთად წარმართავენ შემნახველი სალაროების საქმიანობას. შემნახველი სალაროების საქმიანობა რეგულირდება შემნახველი სალაროების წესდებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ. 1948 წლის 20 ნოემბერს. 1949 წლის 20 ივნისს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული იქნა ინსტრუქცია სახელმწიფო შემნახველ სალაროებში ანაბრების მიღების, შენახვისა და გაცემის შესახებ. 1961 წლის 3 აგვისტოს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მიერ კვლავ იქნა გამოცე-

მული ახალი ინსტრუქცია, რომელშიც ლაბარაკია წესდებასა და ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

შემნახველი სალაროების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები ცვლილებებს განიცდიდნენ ცხოვრების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით, მაგრამ ძირითადად შემნახველი სალაროების საქმიანობა მაინც განისაზღვრება ზემოხსენებული წესდებით. უნდა ითქვას, რომ ათეული წლების განმავლობაში მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი გვერდს უვლიდა შემსალაროების საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას. ეს ნაკლები გამოსწორებულ იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღების დროს. საფუძვლების 87-ე მუხლი მიძღვნილი აქვს მოქალაქეთა ანაბრებს საკრედიტო დაწესებულებებში. ამ მუხლში ნათქვამია — „მოქალაქეებს შეუძლიათ ფულადი სახსრები შეინახონ სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, განკარგონ ანაბრები, მიიღონ ანაბრებზე შემოსავალი პროცენტების ან მოგებათა სახით, აწარმოონ უნაღდო ანგარიშსწორება საკრედიტო დაწესებულებათა წესდებებისა და დადგენილი წესით გამოცემული წესების შესაბამისად“.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ანაბრების საიდუმლოებას, მათ შენახვასა და გაცემას მენაბრის პირველი მოთხოვნისთანავე.

სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების განკარგვის წესი განისაზღვრება მათი წესდებებით და ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წესებით.

სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაკმაყოფილებულია სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სამოქალაქო სარჩელი ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ალიმენტის გადახდევინების სარჩელზე (თუ არ არის ხელფასი ან სხვა ქონება, რომელზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა), ან იმ ანაბრების გაყოფის შესახებ სარჩელზე, რომელიც მეუღლეების თანაბარი ქონებაა. აღნიშნულ საკრედიტო დაწესებულებებში მოქალაქეთა ანაბრების კონფისკაცია შეიძლება მოხდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან კანონის შესაბამისად ქონების კონფისკაციის შესახებ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე.

საფუძვლების 87-ე მუხლის შინაარსიდან ნათელია თუ რა მრავალნაირ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია შემნახველ სალაროების საქმიანობასთან. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტში საფუძვლების 87-ე მუხლმა შემდგომი განვითარება ჰპოვა. მოქალაქეთა ანაბრებს საბჭოთა საკრედიტო დაწესებულებებში ოთხი მუხლი მიეძღვნა, ესენია: 450, 451, 452, 453 მუხლები. ჩვენის აზრით შემნახველ სალაროებში მოანაბრეთა სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობის და მისგან გამომდინარე დავების გადასაჭრელად კოდექსის პროექტში მოცემული ეს მუხლები ამომწურავი არ არის, ვინაიდან ამ საკითხების წრე უფრო ფართოა, ვიდრე ეს კოდექსშია მოცემული.

ყველაზე მთავარი მენაბრის უფლებებიდან რაც „საფუძვლებშია“ მოცემული ეს არის მისი უფლება სურვილისამებრ განკარგოს ანაბარი. მისი უფლება ანაბარზე შეუზღუდავია. მას უფლება აქვს აგრეთვე იმის და მიხედვით თუ რა

სახეობის ანაბარია შეტანილი რომ მიიღოს შემოსავალი, შესაბამისად კანონისა და მოახდინოს უნაღდო ანგარიშსწორება თავისი ანაბრის ფარგლებში.

საფუძვლების 87-ე მუხლსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის პროექტში მკვეთრად არის გამოკვეთილი ანაბრების საიდუმლოებისა და მისი შენახვის გარანტია სახელმწიფოს მიერ, ანაბრის განკარგვა და ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ალიმენტის გადახდევინების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 10 აპრილის ბრძანებულებით საფუძვლების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით დადგენილია, რომ გადახდევინება მოქალაქეთა ანაბრებზე საკრედიტო დაწესებულებებში შეიძლება მოხდეს მიუხედავად ანაბრის შეტანის დროისა ე. ი. განურჩევლად იმისა შეტანილია ანაბარი საფუძვლების ძალაში შესვლამდე თუ მის შემდეგ. გარდა ამისა ახალ წესებს ნაწილობრივ მიცემული აქვს უკუქცევითი ძალა¹.

კანონში სპეციალურად ასეთი დებულების გატარება დიდად უწყობს ხელს სახელმწიფოს ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაში, როდესაც მენაბრე არაკეთილსინდისიერი გზით შოულობდა ფულს. ამასთან ერთად ეს დებულება აადვილებს იმ პირებზე გადახდევინების მიქცევას, რომლებიც შეგნებულად გაურბიან ალიმენტის გადახდას იმ მოტივით, რომ არ მუშაობენ, სინამდვილეში კი სათანადო თანხები ანაბრების სახით შეტანილი აქვთ შემნახველ სალაროებში.

როგორც აღვნიშნეთ შემნახველი სალაროების საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება სამოქალაქო სამართლის საფუძვლებითა და მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო სამოქალაქო სამართლის კოდექსებით. ზემოთ მოხსენებულ საკანონმდებლო აქტებში მაინც არის მითითება შემნახველი სალაროების წესდებაზე და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ინსტრუქციებზე. შემნახველ სალაროების წესდების პირველ მუხლში ნათქვამია, რომ სსრ კავშირში შემნახველი სალაროების მიზანია მისცეს მოსახლეობას შესაძლებლობა მათი თავისუფალი ფულადი სახსრების საიმედო შენახვის, ხელი შეუწყოს ფულადი დანაზოგების დაგროვებას და მის გამოყენებას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამ ამოცანის განსახორციელებლად შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს, აწარმოებენ შინაგანი სესხის (ამ უკანასკნელს ამჟამად ფართო ხასიათი არა აქვს) გავრცელებას, ლატარიის ბილეთების გამოშვებას და სხვა ოპერაციებს, რაც გათვალისწინებულია შემნახველი სალაროების დებულებით.

შემნახველი სალაროების ძირითად საქმიანობას, მონაბრეთა უფლება-მოვალეობას არეგულირებს წესდების თექვსმეტი მუხლი, 9-დან 25-ე მუხლის ჩათვლით. აქ ლაპარაკია არასრულწლოვანის მიერ შეტანილი ანაბრის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ წესდების მე-18 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ არასრულწლოვანი, რომელმაც თვითონ შეიტანა თავის სახელზე ანაბარი შემნახველ სალაროში, ამ ანაბარს განკარგავს დამოუკიდებლად. გამოდის რა წესდების ამ დებულებიდან ლ. ვალერი წერს: „შემნახველ სალაროების მიერ მონაბრეებისათვის დადგენილი უფლებებით შეიძლება სარგებლობდეს ყველა მოქალაქე, ისე როგორც თავისი დანაზოგის შემნახველ სალაროში შეტანის შესაძლებლობა ენიჭება ყველას, ვინც ამას მოისურვებს. შემნახ-

¹ Научно-практический комментарий к основам Гражданского законодательства Союза ССР и Союзных Республик, стр. 319. Москва, 1962 г. Госюриздат.

ველ სალაროს მონაბრე შეიძლება იყოს როგორც სრულწლოვანი ისე სრულწლოვანიც¹.

ვფიქრობთ, რომ ლ. ვალერის ეს აზრი არასრულწლოვანის უფლებათა შესახებ ანაბრის შეტანის და განკარგვის საკითხში, აგრეთვე თვით წესდებაშიც მოცემული დებულება არასრულწლოვანის სრულწლოვანთან გათანაბრების შესახებ არ არის ჩვენი თვალსაზრისით მიზანშეწონილი შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ ერთი, შემნახველ სალაროებში მოქალაქეებს შეაქვთ მხოლოდ თავისი დანაზოგი, ე. ი. ის რაც მათ რჩებათ მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შედეგად. არასრულწლოვანი ზემოხსენებულს მოკლებულია. გარდა ამისა, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მოქალაქის უნარი თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებანი და შექმნას თავისი სამოქალაქო მოვალეობანი (სამოქალაქო ქმედუნარიანობა) სრული მოცულობით წარმოიშვება სრულწლოვანობის მიღწევიდან ე. ი. 18 წლის ასაკიდან. როგორც აქედან ჩანს კანონი არასრულწლოვანის ქვედითუნარიანობას ზღუდავს, ხოლო შემნახველი სალაროს წესდება, მას იურიდიულად ათანაბრებს სრულწლოვანთან.

შემნახველ სალაროებს, როგორც ეს მისი წესდებითაა გათვალისწინებული, უხდება სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა სოციალისტურ ორგანიზაციებთან, როდესაც ეს უკანასკნელნი თავიანთ ფულად თანხებს ინახავენ შემნახველ სალაროებში. ასე მაგალითად: სოფლის საბჭოები და ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც არიან სოფლის ბიუჯეტზე ან კიდევ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომები, ურთიერთდამხმარე სალაროები და სხვები თავიანთ თანხებს ინახავენ შემნახველ სალაროებში მიმდინარე ანგარიშზე. ამ ორგანიზაციების ანაბრებზე შემნახველი სალარო მათ ურიცხავს ორ პროცენტს წლიურად, ხოლო კოლმეურნეობას ერთ ნახევარ პროცენტს. სამართლებრივად ეს ანაბრები თითქმის იმავე მდგომარეობაში არიან როგორც მოქალაქეთა მიერ შემნახველ სალაროში შეტანილი ანაბრები.

როგორც შემნახველ სალაროების წესდებიდან ჩანს, შემნახველი სალაროების საქმიანობა მარტო მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა ფულადი ანაბრების მიღებით არ ამოიწურება. შემსალაროები აწარმოებენ სამპროცენტიანი ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვას, მოგებების გადახდას ობლიგაციების კუბონების და თვით ობლიგაციების გამოსყიდვას სათანადო ვადის დადგომის დროს, დებულობენ ობლიგაციებს შესანახად, სცემენ სახელობით აკრედიტივებს და სხვ. როგორც ვაუდავთ შემნახველი სალაროები თავიანთ საქმიანობაში ასრულებენ ისეთ სამართლებრივ გარიგებებს, როგორიცაა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, შენახვისა და სესხის ხელშეკრულება, დავალების რწმუნების ხელშეკრულება და სხვა. ბუნებრივია ყოველივე ამ გარიგების დადების დროს ისინი სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობაში შემსალაროს წესდების მეორე მუხლის თანახმად გამოდიან როგორც იურიდიული პირები — სამართლის სუბიექტები ე. ი. როგორც მხარე. ამ დროს წარმოიშვება სრული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ყიდვა-გაყიდვის, შენახვის და სხვა ხელშეკრულებების დროს. სულ სხვა მდგომარეობაა როცა სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობა წარმოიშვება მოქალაქეების მიერ ანაბრის შეტანის დროს. როგორცაა ამ ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება. ამის შესახებ პროფესორ-

¹ Л. Вайлер, Сберегательное дело в СССР, стр. 86. Госфиниздат, 1957 г.

რი ო. იოფე წერს: „მოქალაქის მიერ შეტანილი ანაბარი ბადებს ხელშეკრულებით სამართლებრივ ურთიერთობას, მას (მოქალაქეს) და შემნახველ სალაროს შორის. ხელშეკრულება დადებული ასეთი გზით არის რეალური, საზღაურია და ცალმხრივი ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ითვლება რეალურად იმდენად, რამდენადაც ის ითვლება დადებულად ანაბრის შეტანის მომენტში, საზღაურთანად, რადგანაც ანაბარზე ირიცხება პროცენტები და ცალმხრივად, რადგანაც მონაბრეს აქვს მხოლოდ უფლებები (უფლება მოითხოვოს ფული ანაბრიდან და პროცენტების დარიცხვა), ხოლო შემნახველ სალაროს — მხოლოდ მოვალეობები აქვს (პროცენტების დარიცხვის მოვალეობა და გასცეს ფული ანაბრიდან მონაბრის პირველ მოთხოვნისამებრ).¹

ჩვენის აზრით პროფესორ ო. იოფეს მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე არ არის მთლიანი და შემდგომ დახუსტებას მოითხოვს. ჯერ ერთი მხედველობაში უხდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ როდესაც შემნახველი სალარო ვაშლის მხარედ როგორც სამართლის სუბიექტი მისი სამართლებრივი მდგომარეობა სპეციფიურია ვიდრე სხვა მხარეებისა ჩვეულებრივი ხელშეკრულების დროს, ვინაიდან შემნახველი სალაროს საქმიანობაზე გარანტიას იძლევა საბჭოთა სახელმწიფო. შემნახველ სალაროს წესდება ითვალისწინებს ანაბართა ისეთ სახეობებს, როგორიცაა: მოთხოვნამდე, ვადიანი, მომგებიანი, პირობითი და შიმდინარე ანგარიშზე. თუ მონაბრემ შეიტანა ფული ვადიან ანგარიშზე, მან იცის, რომ თუ ის ამ ფულს გამოიტანს ვადაზე ადრე, მაშინ ის ვერ მიიღებს დანარცხს იმ პროცენტების სახით რაც მას მიეცემოდა წესდებით და ვადაზე ადრე გამოტანის შემთხვევაში კარგავს გარკვეულ საზღაურს პროცენტის სახით. ვადიანი ანაბარი, ჩვენის აზრით, ორმხრივი ხელშეკრულებაა და არა ცალმხრივი, როგორც ამას ფიქრობს პროფესორი ო. იოფე, რადგან ვადიანი ანაბრის დროს მონაბრეს აქვს არა მარტო უფლება, არამედ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობაც აწევს. კერძოდ ის, რომ არ გამოიტანოს ფული გარკვეული ვადის დადგომამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩაითვლება როგორც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე და აქიდან ვალდებულია იმ სახით არ წარმოიშვება რასაც ადგილი ექნებოდა მონაბრეს ხელშეკრულება რომ არ დაერღვია ე. ი. იგი არ განიცდიდა მატერიალურ ზარალს. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ანაბრის ისეთი სახის დროს, როგორიც არის პირობითი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებს აქვს სისხის, შენახვის და სხვა ხელშეკრულებათა სამართლებრივი ელემენტები. მასთან დაკავშირებულია მთელი რიგი სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები, რაც რა თქმა უნდა საკუთრნალო წერილის ფარგლებს სცილდება.

¹ О. С. ИОФЕ, Советское Гражданское право, т. II, стр. 366, изд. Ленинградского университета, 1961 г.

მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლება

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სასჯელის მიზანი არ არის მხოლოდ დასჯა, არამედ იგი მიზნად ისახავს, აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა, როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.

აქედან გამომდინარე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლი სასამართლოებს უფლებას აძლევს მსჯავრდებულთა მიმართ გამოიყენოს, გარდა იმ პირებისა რომლებიც აღნიშნულია ამ მუხლის მეოთხე ნაწილში, ვადამდე პირობით განთავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავისი გამოსწორება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლში მოცემულია ძირითადი საფუძველი, რომლის მიხედვით სასჯელისაგან ვადამდე და პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით წარმოებს სასამართლოს მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის წარდგენით;

სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმებით, შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგენით, ან იმ ორგანოს წარდგენით, რომელსაც ეკისრება ვადასახლების და გასახლების შესახებ განაჩენის აღსრულება, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ — არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის უშამდგომლობითაც.

მსჯავრდებულთა აღზრდა - გამოსწორების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მათ ვადამდე პირობით გათავისუფლებას და სასჯელის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია ვადამდე პირობით გათავისუფლდეს მსჯავრდებული, რომელმაც სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება. ამავე მუხლში აღნიშნულია თუ ვის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ვადამდე პირობით გათავისუფლება.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლების სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში ვადამდე პირობით ათავისუფლებენ ისეთ პირებს, რომლებიც კანონით (სსკ 54-ე მუხლის მეოთხე ნაწილი) არ ექვემდებარებიან ვადამდე პირობით გათავისუფლებას, არის ისეთი შემთხვევებიც როცა მსჯავრდებულს უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს ვადამდე პირობით გათავი-

სუფლებზე ისეთი მოტივით, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული.

სსკ 54-ე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველ, მეორე და მესამე პუნქტებში აღნიშნულია, რომ ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება:

1. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ (მუხლი 44).

2. იმ პირების მიმართ, რომლებიც ადრე ვადამდე პირობით გათავისუფლებული იქნენ თავისუფლების აღკვეთისაგან, ან რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ მათ სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინეს ახალი განზრახ დანაშაული, რომლისათვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა.

3. იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის (65—74-ე მუხლები), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), ყაჩაღობისათვის (96-ე, 152-ე მუხლები) და სხვა.

მიუხედავად ამისა, სასამართლოები ვადამდე პირობით გათავისუფლების საკითხის განხილვის დროს შეცდომებს უშვებენ, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ საკითხის განხილვის დროს ყოველთვის ჯეროვნად არ ამოწმებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილების ორგანოების მიერ წარმოდგენილ მასალებს, არ გამოკითხავენ მსჯავრდებულ პირებს და არ არკვევენ ყველა გარემოებებს, რაც დაკავშირებულია მსჯავრდებულის ვადამდე პირობით გათავისუფლების საკითხთან.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლა მსჯავრდებული მ. გ. ბეგიაშვილი იმ მოტივით, რომ მოხდელი ჰქონდა სასჯელის ორი მესამედი და თავისუფლების აღკვეთის

ადგილების ადმინისტრაცია ახასიათებდა და დადებითად.


სასამართლომ ყურადღებით არ შეამოწმა პატიმრის პირადი საქმის მასალები, საიდანაც სჩანს, რომ ის წარსულში სამჯერ იყო მსჯავრდებული ქურდობისათვის და ერთხელ მკვლელობის მცდელობისათვის, ამიტომ სსკ 44-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე სასამართლოს მ. ბეგიაშვილი უნდა ეცნო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად და არ უნდა გაეთავისუფლებინა ვადამდე პირობით.

სახალხო სასამართლოს განჩინება მ. ბეგიაშვილის მიმართ გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და მ. ბეგიაშვილი შესახლებული იქნა თავისუფლების აღკვეთის ადგილში დარჩენილი სასჯელის მოსახდელად.

ამავე რაიონის სახალხო სასამართლომ სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გაათავისუფლა ი. გ. ნალიყაშვილი, რომელიც მსჯავრდებული იყო (ყაჩაღობისათვის) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლის პირველი ნაწილით „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულმა მოიხადა სასჯელის ორი მესამედი და თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაცია ახასიათებდა დადებითად.

სასამართლოს ი. ნალიყაშვილი არ უნდა გაეთავისუფლებინა ვადამდე პირობით, რადგან სსკ 54-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ ვადამდე პირობით გათავისუფლება არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ყაჩაღობისათვის.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გაათავისუფლა მსჯავრდებული



ბული ა. გ. გრაკლიშვილი იმ მოტივით, რომ მან მოიხადა სასჯელის ნახევარი და თავისუფლების აღკვეთის აღკვლების ადმინისტრაცია ახსიათებდა დადებითად.

პატიმრის პირადი საქმის შესწავლით გამოირკვა, რომ ა. გრაკლიშვილი 1956 წლის 19 სექტემბერს მსჯავრდებული იყო ქურდობისათვის და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით, სასჯელის ორი მესამედის მოხდის შემდეგ 1959 წლის 21 სექტემბერს გათავისუფლებული იქნა ვადამდე პირობით.

ა. გრაკლიშვილმა მოუხდელი სასჯელის ვადის გასვლამდე ჩაიდინა ახალი განზრახ დანაშაული, რისთვისაც მას მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 14 მარტს მიუსჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით. ამიტომ სასამართლოს ა. გრაკლიშვილი არ უნდა გაეთავისუფლებინა ვადამდე პირობით, რადგან 54-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ადრე ვადამდე პირობით გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთისაგან და სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინეს ახალი განზრახ დანაშაული, რომლისთვისაც მიესჯათ თავისუფლების აღკვეთა.

ხოზის რაიონის სახალხო სასამართლომ სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ ვადამდე პირობით გაათავისუფლა მსჯავრდებული გ. ი. კამაროვი, რომელიც მსჯავრდებული იყო გაუპატიურებისათვის სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლით.

მსჯავრდებულ გ. კამაროვს ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული, მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით და ამიტომ

საქართველოს სსრ სსკ 54-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სასამართლოს გ. კამაროვის მიმართ ვადამდე პირობით გათავისუფლების საკითხი შეეძლო განეხილა სასჯელის ორი მესამედის მოხდის შემდეგ.

ქალაქ გორის სახალხო სასამართლომ სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარი უთხრა ი. შ. მოშენაშვილს, რომელიც მსჯავრდებული იყო სპეკულაციისათვის სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, იმ მოტივით, რომ მოხდილი არ ჰქონდა სასჯელის ორი მესამედი.

სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის, რომ სსკ 54-ე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოიყენებულ იქნას სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის არა ნაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ იმ პირთა მიმართ, რომელნიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა მძიმე დანაშაულისათვის“ რომელთა შორის დასახელებულია სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილი.

მართალია ი. მოშენაშვილს ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული, მაგრამ მას მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე ნაკლები ვადით, ამიტომ სსკ 54-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა არ შეიძლება გავრცელდეს ი. მოშენაშვილზე და იმ პირებზე, რომლებიც მართალია, მსჯავრდებულები არიან 54-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული დანაშაულისათვის, მაგრამ მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე ნაკლები ვადით. ამიტომ სასამართლოები ამ შემთხვევაში ვადამდე პირობით განთავისუფლების საკითხს უნდა იხილავდნენ არა სასჯელის ორი

მესამედის მოხდის შემდეგ, არამედ სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ.

სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში ადგილი აქვს მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევებს ისეთი მოტივით, რაც გათვალისწინებული არ არის კანონით.

ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარი უთხრა ვ. ვ. მკრტიჩიანს, რომელიც მსჯავრდებული იყო სსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით იმ მოტივით, რომ „სასამართლოს არ მიაჩნია აუცილებლად მისი ვადამდე პირობით გათავისუფლება“.

საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარი უთხრა ი. ნ. ქუფარაშვილს, რომელიც მსჯავრდებული იყო სსკ 124-ე მუხლით იმ მოტივით, რომ ის დაპატიმრებამდე არ მუშაობდა და თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას.

თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარი უთხრა ვ. ვ. თევზაძეს, რომელიც მსჯავრდებული იყო ხულიგნობისათვის იმ მოტივით, რომ მას ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარი უთხრა მსჯავრდებულ ს. ყ. ღვიანიძეს იმ მოტივით, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

გატარებული დრო საკმარისი არ იყო მისი გამოსწორებისათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული კანონს (სსკ 54-ე მუხ.) შესაძლებლად მიაჩნია მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლება იმ პირობის მიმართ, ვინც მოიხადა სასჯელი კანონით დადგენილი ვადის შემდეგ, თუ მსჯავრდებულმა სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება. სასამართლოების მიერ მოყვანილი მოტივები კი არ პასუხობს კანონის მოთხოვნას და ამიტომ სწორი არ არიან სასამართლოები როცა მსჯავრდებულს უარს ეუბნებიან ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე ასეთი მოტივით.

სასამართლოებმა ვადამდე პირობით გათავისუფლების საქმეთა განხილვის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექციონ მსჯავრდებულთა შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას და სანიმუშო ქცევას პატიმრობაში გატარებული მთელი დროის განმავლობაში, რაც მოწმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას და ვადამდე პირობით უნდა გაათავისუფლონ მხოლოდ ის პირები, რომლებმაც მოიხადეს კანონით დადგენილი სასჯელის ნაწილი და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით და სანიმუშო ყოფაქცევით დაამტკიცეს გამოსწორება.

ა. ხარბონაშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიმდინარე წლის ივლისში მიიღო კანონი — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ“. რამდენიმე ხნით ადრე, მაისის თვეში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი დადგენილებით — „წარმოებაზე მუშაობით პენსიონერთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“ მთელი რიგი შედეგები დააწესა მომუშავე პენსიონერებისათვის. რედაქცია მკითხველებისაგან ბევრ შეკითხვებს იღებს ამ საკანონმდებლო აქტების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მ. თოფურიძის სტატიას.

მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ

მ. თოფურიძე,
საქართველოს სსრ სოციალური
უზრუნველყოფის მინისტრი

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია. იგი ადამიანთა კეთილდღეობაზე პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვის კონკრეტული გამოსატულეობაა.

სოციალური უზრუნველყოფა ეს არის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლის მიზანია მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფა მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში. იგი გულისხმობს პენსიებისა და დახმარებების გაცემას, პენსიონერთა უზრუნველყოფას სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებით, მარტოხელა და შრომისუნარმოკლებულ მოქალაქეთა უფასოდ შენახვას ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, სისტემატურ მატერიალურ დახმარების გაწევას მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის, ინვალიდების პროფტექნიკურ სწავლებას და სამუშაოზე მოწყობას, მათ მომარაგებას პროტეზებით, სასმენი აპარატებით, მოტოცტლებითა და ავტომანქანებით, ყოფაცხოვრებაში სხვადასხვა სახის დახმარების გაწევას.

ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა. იგი ძირითადად სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯზე ხორციელდება. საკმარისია ითქვას, რომ 1963 წელს 1961 წელთან შედარებით სოციალური უზრუნველყოფის თანხები საქართველოში 20 მილიონ მანეთზე მეტით გაიზარდა და 147 მილიონი მანეთი შეადგინა.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მეცამეტე მოქალაქე პენსიას იღებს, ხოლო ყოველი მეათე მოქალაქე სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეობით. 1964 წელს რესპუბლიკაში პენსიონერების, შრომისა და სამამულო ომის ინვალიდების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების მატერიალურ უზრუნველყოფაზე სახელმწიფო დახმარავს 5 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე გასულ წელს.

უმჯობესდება სოციალისტური სოფლის მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფაც მოხუცებულობაში და შრომისუნარის დაკარგვის შემთხვევაში. მაგალითად, აჭარის ასსრ რესპუბლიკის ჩაქვის რაიონის 26 კოლმეურნეობაში პენსია დანიშნული აქვს 152 კოლმეურნეს. მათ შორის მოხუცებულობის პენსია — 121 კოლმეურნეს, ინვალიდობისათვის 29 კაცს. ორ ოჯახს პენსია დაენიშნა მარჩენალის დაკარგვის გამო. მახარაძის რაიონში კოლმეურნეობებმა პენსია დაუნიშნეს 720 კაცს, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა 300 პირს და ა. შ.

მაგრამ ამ ბოლო დრომდე კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეში არ არსებობდა ვარკვეული წესი, გამოცემული არ იყო კანონი, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველასათვის. ამიტომ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებანი სხვადასხვანაირი იყო: ზოგი კოლმეურნეობა ფულად პენსიას უნიშნავდა მოხუც კოლმეურნეებს, ზოგი შრომა-დღეებს უწერდა, ბევრგან ეს საკითხი საერთოდ მოუგვარებელი იყო.

მიმდინარე წლის ივლისში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილა რა საკითხი — „ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების ღონისძიებათა შესახებ“ მიიღო კანონი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ“.

კანონს კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ ჰეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი სტიმულს მისცემს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობას, ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა შრომით დანტერესებას, მათი ინიციატივის ზრდას.

კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ კანონის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი განმსჭვალულია მისწრაფებით რაც შეიძლება მიუახლოოს კოლმეურნეობებისათვის პენსიის დანიშვნის პირობები და წესები მუშა-მოსამსახურეთა პენსიებით უზრუნველყოფის წესებს.

კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონის პრაქტიკულად განხორციელება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1965 წლის 1 იანვრიდან ჩვენს რესპუბლიკაში პენსიის მიღების უფლება ეკუთვნის 234 ათასამდე კოლმეურნეს. საჭიროა ამისათვის ჩატარდეს დიდი მოსამზადებელი მუშაობა.

შხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემონახული არაა დოკუმენტები კოლმეურნეთა შრომითი სტაჟისა და ხელფასის (ან შემოსავლის) შესახებ. აუცილებელია ამ თავითვე მიღებულ იქნას ზომები კოლმეურნეთა შრომითი სტაჟისა და ხელფასის აღრიცხვის საქმეში წესრიგის დასამყარებლად.

კოლმეურნეობათა გამგეობებს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს სერიოზული მუშაობა მოელოთ იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს ცხოვრებაში კანონი კოლმეურნეთა პენსიებით უზრუნველყოფის შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი კანონის ფართო პოპულარიზაციას კოლმეურნეთა შორის. უნდა მივაღწიოთ, რომ ყოველმა კოლმეურნემ კარგად იცოდეს სოციალური უზრუნველყოფის დარგში თავისი უფლებამოვალეობანი.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პენსია მიიღოს მხოლოდ იმან, ვინც იგი დაიმსახურა კეთილსინდისიერი შრომით. ამასთან ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი დოვლათით არ ისარგებლონ პირებმა, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ საკოლმეურნეო წარმოებაში.

უეჭველია, კოლმეურნეთა პენსიებით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, უფრო მეტ სტიმულს მისცემს საკოლმეურნეო წარმოების მშრომელების საქმიანობას.

ზრუნავს რა მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალისტური

საზოგადოება სრულიადაც არ არის დაინტერესებული იმით, რომ ადამიანი, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია და დამსახურებულ პენსიაზე გადავიდა აუცილებლად თავი დაანებოს მუშაობას. თუ კი მას სურვილი აქვს განაგრძოს შრომა, მთელი თავისი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება შეძლებისდაგვარად მოახმაროს მშობლიურ ქვეყანას, აუცილებელია მას ყოველგვარი პირობები შეეუქმნათ, მატერიალურად დავაინტერესოთ.

ამ ამოცანას პასუხობს სწორედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული დადგენილება — „წარმოებაში მუშაობით პენსიონერთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“. დადგენილება რჩევას აძლევს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, როცა წარმოებისათვის საჭიროა სამუშაოზე მიიღონ შრომისუნარიანი პენსიონერები, რომლებსაც მოხუცებულობის პენსია ეძლევათ.

დადგენილება ითვალისწინებს, რომ 1964-1968 წლებში მომუშავე პენსიონერებს მიეცემათ დანიშნული პენსიის 50 პროცენტი, მაგრამ მოხუცებულობის პენსიის იმ მინიმალურ ოდენობაზე არა ნაკლები, რაც დაწესებულია სახელმწიფო პენსიების კანონით, თუ ისინი მუშაობენ როგორც მუშები, უმცროსი მომსახურე პერსონალი და კავშირგაბმულობის მუშაკები მასობრივი პროფესიებისა — მუშაობის ადგილის მიუხედავად.

გამომუშავებულ ხელფასს გარდა დანიშნული პენსიის 50 პროცენტს მიიღებენ აგრეთვე ისეთი საწარმო-დაწესებულებების პენსიონერი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, როგორც არის: მრეწველობის საწარმოები, სამშენებლო სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები; ტრანსპორტის საექსპლოატაციო საწარმოები და ორგანიზაციები; კავშირგაბმულობის, საბინაო და კომუნალურ მეურნეობათა საწარმოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები.

ეს წესი ვრცელდება დახლის მუშაკებზე, მზარეულებზე, ოფიციანტებზე და ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების სხვა მათ შესაბამის კატეგორიათა მუშაკებზე; სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საბავშვო დაწესებულებათა, ინვალიდთა და ღრმა მოხუცებულთა სახლების ექიმებზე, საშუალო და უმცროს სამედიცინო პერსონალზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებზე, საბავშვო დაწესებულებათა აღმზრდელებსა და პედაგოგებზე.

პენსიონერებს, რომლებიც საწარმოს ხელმძღვანელის პირადი ნებართვით (პროფორგანიზაციისთან შეთანხმებით) არიან მიღებული მიწისქვეშა სამუშაოზე მადარობსა და შახტებში მუშებად, მოხუცებულობის პენსია მიეცემათ სრულად.

მომუშავე პენსიონერებზე პენსიების გაცემის ახალი წესი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით არის შემოღებული 1964-1968 წლებისათვის, განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ პენსიონერებისათვის, რომელთა პენსიის ოდენობა დაბალია. მაგალითად, ის პენსიონერი, რომელსაც მოხუცებულობის პენსია ეძლევა 30 მანეთის ოდენობით, სამუშაოზე მოწყობისას პენსიას მიიღებს არა 50 პროცენტის ოდენობით (ე. ი. 15 მანეთს), არამედ 100 პროცენტით, ე. ი. 30 მანეთს. ხოლო პენსიონერი, რომელსაც პენსია ეძლევა 40 მანეთის რაოდენობით, მუშაობის დაწყებისას მიიღებს არანაკლებ 30 მანეთს და ა. შ.

უფრო მეტიც, პენსიონერები, რომლებიც მოისურვებენ იმუშაონ სოფლის

მეურნეობაში, მთავრობის სპეციალური დადგენილების შესაბამისად, მთლიანად მიიღებენ როგორც პენსიას, ისე გამომუშავებულ ხელფასს. ამის მსურველები საკმაოა პენსიონერთა შორის. მაგალითად, გასულ წელს მახარაძის რაიონის ასობით პენსიონერმა გულმოდგინებით იშრომა სოფლის მეურნეობაში. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს რამდენიმე ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მონაწილეობა მიიღეს სიმინდის, აბრეშუმის პარკის მოყვანაში, ციტრუსოვანთა მოვლა-პატრონობაში.

ბევრი პენსიონერი-აქტივისტი შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნების ნიმუშებს უჩვენებს.

ქველ რკინიგზელს, შალვა ხუციას ძე ორჯონიკიძეს 72 წელი შეუსრულდა. დიდი ხანი არაა, რაც იგი პენსიაზე გადავიდა, მაგრამ უმოკმედოდ როდთ დარჩა. იგი ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში — თბილისის ლენინის რაიონულ საბჭოსთან შექმნილ სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის კომისიის მუშაობაში. მაგრამ ამასაც არ დასჯერდა, სათავეში ჩაუდგა ლენინის რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის შტატგარეშე განყოფილებას და უნარიანად წარმართა მისი საქმიანობა, შემოიკრიბა თავის გარშემო რკინიგზელ აქტივისტ პენსიონერთა ფართო აქტივი. ორჯონიკიძის მაგალითს მიბაძეს და ნაყოფიერად მონაწილეობენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მუშაობაში რკინიგზელი პენსიონერები — დავით მჭედლიშვილი, თომა ანთიძე და სხვ. პენსიონერი რაქდენ ლაბარტყავა ხელმძღვანელობს ამავე რაიონის პენსიონერთა საბჭოს, ამავე დროს ითვლება რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორად და აქტიურად მონაწილეობს მის მუშაობაში.

თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონში სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას იღებს 600-ზე მეტი პენსიონერი. პენსიონერთა რაიონულ საბჭოსთან ჩამოყალიბებულია 4 სექცია. კარგი მუშაობით გამოირჩევა საყოფაცხოვრებო სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პენსიონერი ა. ზავარიანი. სექციის წევრთა შუამდგომლობით ერთდროული დახმარება გაეწია 32 პენსიონერს.

მახარაძის რაიონის 400-ზე მეტი პენსიონერი საზოგადოებრივ საწყისებზე ეწევა სასარგებლო საქმიანობას, ზოგიერთი მათგანი პირადად მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

სოფელ წითელი მთის მცხოვრებმა 77 წლის პენსიონერმა თამარ სანიკიძემ გასულ წელს მოკრიფა 1.725 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ამავე დროს მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 30 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომთან შექმნილია ვაჭრობის შტატგარეშე განყოფილება, სადაც შტატგარეშე ინსპექტორად მუშაობს 6 პენსიონერი. ისინი სისტემატურად ამოწმებენ სავაჭრო ობიექტებს.

ბათუმელი პენსიონერები, მაღალკვალიფიციური ზეინკალი ი. ბოგდანოვი, ხარატი ი. ვადაჭკორია და სხვები კვლავ ჩარხებთან და გირაგებთან ტრიალებენ, თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ ახალგაზრდობას.

მახარაძის რაიონის პენსიონერები ილარიონ შეწირული, კირილე უჯმაჯურიძე, პროკოფი თაღუმაძე და სხვები ხშირად გამოდიან ლექცია-მოხსენებებით მშრომელთა შორის. მაგალითად, გასულ წელს ი. შეწირულმა 13 ლექცია წაიკითხა. პერსონალურმა პენსიონერმა კ. უჯმაჯურიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე — „1905 წლის რევოლუციის გამოძახილი გურიაში“. მახარაძის მხარეთმცოდ-

ნეობის მუხეუმთან არსებობს ძველ ბოლშევიკთა სექცია, რომლის წევრებში მუხეუმში ააგეს ძველად გურულ გლეხთა ცხოვრების ამსახველი „ჯარგვალა“.

სამწუხაროა, რომ ამ ამაგდარ ადამიანთა გვერდით, გვხვდებიან ძველი ყოფის გადმონაშთების მატარებელნი, წამგლეჯები, რომლებიც ცდილობენ არაკეთილსინდისიერი გზით მიიტაცონ სახელმწიფოსაგან რაც შეიძლება მეტი. იმათ შორის, ვინც ხანგრძლივი თავდადებული შრომით მოიპოვა სავსებით დამსახურებული სახელმწიფო პენსია და მშვიდი, უზრუნველყოფილი ცხოვრება მოხუცებულობაში, წააწყდებით „მოხერხებულს“, რომელმაც ცხოვრების უმეტესი დრო არაშრომითს საქმიანობაში გაატარა, ხოლო მოხუცებულობისას ყოველნაირად ცდილობს მიიღოს გადიდებული პენსია, რომელიც მას არ დაუმსახურებია.

ასეთი „პენსიონერი“ ეპოტინება სახალხო დოვლათს, რომლის შექმნაში მას თითქმის არ მიუღია მონაწილეობა. ერთ-ერთი ასეთი „დამსახურებული“ პიროვნებაა ი. პარამანოვი.

ივანე ილიას ძე პარამანოვმა თავისი ცხოვრების 45 წელი სოფელში გაატარა. სოფელში ცხოვრების პერიოდში ცდილობდა კოლმეურნეობაში მუშაობისათვის გვერდი აეგლო. ბოლოს ქალაქს მიაშურა, თბილისში ჩამოვიდა, მაგრამ რომელიმე წარმოებაში მუშაობა აზრადაც არ მოსვლია. იგი ხელობით ხურთა და კერძო სამუშაოების შესრულებას უფრო ამჯობინებდა. ამა თუ იმ საწარმოს იშვიათად მხოლოდ მაშინ მიმართავდა, თუ რაიმე მიზეზით კერძო სამუშაო შემოაკლდებოდა. რამდენიმე თვეს წაიმუშავებდა ქარხანაში ან მშენებლობაზე და ისევ კერძო საქმეს დაუბრუნდებოდა. ასე მიაღწია ამ კერძო მოსაქმემ 60 წლამდე.

პარამანოვისათვის ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს მშრომელებს მოხუცებულობაში და ინვალიდობის შემთხვევაში. როცა 1956 წლის 14 ივლისს სახელმწიფო პენსიების შესახებ ახალი კანონი გამოიცა, ივანემ მოსვენება დაკარგა. კარგია სახელმწიფო პენსია, უზრუნველი ცხოვრება სიბერეში, მაგრამ მის მისაღებად საჭიროა შრომითი საქმიანობის სტაჟი წარმოებაში, მშენებლობაზე ან სოფლის მეურნეობაში, სულ ცოტა 25 წელი. ასეთი სტაჟი კი მას არ გააჩნდა და ეს აღონებდა.

ბოლოს თითქოს ბედმა გაუღიმა. ერთ დღეს ნავთლუღის ბაზარში კერძო სამუშაოს ძებნისას ვინმე „ტიმოშკას“ წააწყდა. გულმა გული იცნო და ახლად გაცნობილებმა სასაუზმეს მიაშურეს, როცა თითო-ოროლა გადაჰკრეს, პარამანოვმა „ტიმოშკას“ თავისი ხვაშიადი გაუზიარა.

— ჰე, რამ დაგაღონა შე კაცო, ამ საქმეს იოლად მოევლევა — გაამხნევა „ტიმოშკამ“ — იმისთანა ცნობებს გამოგიცნობ, თითებს ჩაილოკავ. შენ ჩემი იმედი გქონდეს და ნახე თუ მალე საპენსიო წიგნაკი გულის ჯიბეში არ გედოს, დაჰპირდა მეგობარს. დაპირებაც მალე შეასრულა. სადღაც იშოვა თბილისის მაცივარკომბინატის საუწყებო ბლანკზე დაბეჭდილი ძველი ცნობა, ძველი ტექსტი წაშალა და მეღნით ახალი „ცნობა“ შეთითხნა, რომელიც „ადასტურებდა“. თითქოს ი. პარამანოვი 1931 წლის 15 იანვრიდან 1946 წლის 20 თებერვლამდე მუშაობდა თბილისის მაცივარკომბინატში. ასევე ადვილად „დაამზადა“ მან კიდევ ორი ცნობა.

ყალბი „ცნობებით“ შეიარაღებული ი. პარამანოვი 1958 წლის ივნისში 26 კომისიის სახელობის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში გამოცხადდა და მოხუცებულობით პენსიის დანიშვნა ითხოვა. სიყალ-

ბემ გასჭრა და მას დაენიშნა პენსია 114 მანეთისა და 40 კაპიკის ოდენობით. ახლა პარამანოვს კიდევ უფრო გაეხსნა მადა. 1961 წლის ივლისში მან წარადგინა ცნობა, რომ მის კმაყოფაზე იმყოფება მეუღლე, და მისი პენსია 120 მანეთამდე გაიზარდა. ასე იღებდა ი. პარამანოვი პენსიას დაუმსახურებლად 1962 წლის სექტემბრამდე. მან უკანონოდ წავლიჯა სახელმწიფოს 5700 მანეთზე მეტი.

როცა საპენსიო საქმეების გადამოწმება დაიწყო, „ტიმოშკას“ ნახელავმა სერიოზული ეჭვები გამოიწვია. გამოირკვა, რომ პარამანოვს არ უმუშავია არც მაცივარკომბინატში, არც „საქჯიშპირტყვდამზადებაში“. მაშინ მას სთხოვეს გამოცხადებულიყო სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში ახსნა-ვანმარტები-სათვის.

ახლა კი მიხვდა პარამანოვი, რომ საქმე ცუდად იყო, საჩქაროდ გუდა-ნაბადი აიკრა და თვალს მიეფარა. მაგრამ ბოროტმოქმედი კანონს ვერსად გაექცეოდა. ი. პარამანოვი კრასნოდარის მხარის ქალაქ კროპოტკინში შეიპყრეს. იგი იძულებული გახდა დანაშაული ეღიარებინა. სახალხო სასამართლომ მას დამსახურებისამებრ მიუხლო — სიყალბის ჩადენისათვის 8 წლის თავისუფლების აღკვეთა და პირადი ქონების კონფისკაცია მიუსაჯა.

სიყალბის გზას დაადგა აგრეთვე თბილისში, რაჭის ქ. № 7-ში მცხოვრები იასონ ალექსის ძე დავითაშვილი. 1957 წელს მან განიზრახა ინვალიდობით პენსიის მიღება, მაგრამ საწარმოო სტაჟი არ ეყო. მან დახმარებისათვის მიმართა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჩხიქვთის კოლმეურნეობის მაშინდელ თავმჯდომარეს. თავმჯდომარემაც უარი არ უთხრა და მისცა ცნობა, თითქოს ი. დავითაშვილი 1940 წლიდან 1946 წლამდე, მუშაობდა სოფელ ჩხიქვთის კოლმეურნეობაში ავტომანქანის მძღოლად. ეს ყალბი ცნობა ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით დაადასტურა ჩხიქვთის სასოფლო საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემაც.

ი. დავითაშვილმა 1957 წლის თებერვალში ეს „ცნობა“ სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინა თბილისის ლენინის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში და ითხოვა ინვალიდობით პენსიის დანიშვნა. მას დაენიშნა პენსია, როგორც მესამე ჯგუფის ინვალიდს. 1959 წლის მაისიდან კი იგი გადაყვანილ იქნა ინვალიდობის მეორე ჯგუფში და დაენიშნა პენსია 31 მანეთისა და 49 კაპიკის ოდენობით. 1962 წლის სექტემბერში დავითაშვილის თაღლითობა გამომქდავებულ იქნა. გამოირკვა, რომ მან უკანონოდ მიიღო 1.358 მანეთი. იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

არიან ისეთი წამგლეჯებიც, რომლებიც არ კმაყოფილდებიან ერთი პენსიის მიღებით, არ თაკილობენ იმას, რომ არაკეთილსინდისიერი გზით მიიღონ ორი პენსია. ორი პენსიის მოყვარულთა შორის აღსანიშნავია ა. პ. კირიჩენკო, რომელიც ქალაქ თბილისში, გორკის ქ. № 11-ში ცხოვრობს. იგი შრომა-გასწორების კოლონიაში მუშაობდა. 1943 წელს მას გარეუბნის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ დაუნიშნა ინვალიდობის პენსია. მაგრამ ა. პ. კირიჩენკომ განაგრძო მუშაობა კოლონიაში, მას ლეიტენანტის წოდება მიეკუთვნა.

1948 წელს ა. პ. კირიჩენკო განთავისუფლებული იქნა სამუშაოდან და როგორც ოფიცერს, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან დაენიშნა ინვალიდობის პენსია. მაგრამ კირიჩენკოს „დაავიწყდა“ ეცნობებინა სამინისტროსათვის, რომ იგი უკვე ღებულობდა პენსიას ინვალი-

დობით სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან. ეს „გულმავალი“ გრძელდებოდა თითქმის 15 წელი. ა. პ. კირიჩენკომ სახელმწიფოს წაგლიჯა 7.490 მანეთი. ა. კირიჩენკოს საქმე გადაეცა სასამართლოს, რომელმაც მას 1964 წლის 16 იანვარს 5 წლის პირობითი სასჯელი და უკანონოდ მიღებული თანხის ანაზღაურება მიუსაჯა.

ასევე მოიქცა გ. ა. აბესაძე. იგი გურჯაანის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან იღებდა ინვალიდობის პენსიას, ამავე დროს იღებდა პენსიას შვილის დაღუპვის გამო საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატისაგან. აბესაძემ უკანონოდ მიიღო 2.300 მანეთი. იგი მიცემულია პასუხისგებაში.

ორ-ორ პენსიას იღებდნენ ქალაქ თბილისის მცხოვრებნი — ს. ს. ბახტაძე, მ. ვ. კუშივეი, გ. მ. რაზმაძე, ე. ა. ტომალა, ქუთაისელი ტ. ლ. ვედენიძე, ვ. ტ. კაცია ჩხოროწყუდან და სხვ. სულ 11 თაღლითი, რომლებმაც უკანონოდ ჩაიჯიბეს 20.500 მანეთზე მეტი.

გ. ი. ლენინი სპეკულანტებს, ქურდებს, წამგლეჯებს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს უწოდებდა, ექსპლუატატორებთან ათანაბრებდა და მოითხოვდა დაუნდობელ ბრძოლას მათ წინააღმდეგ.

პენსიის არასწორად დანიშვნისას ან გადიდებული პენსიის მიკუთვნებას ზშირად ხელს უწყობს ცალკეული საწარმო-დაწესებულების დოკლავია ხელმძღვანელის დაუკვირვებლობა, რომელიც დაუფიქრებლად აწერს ხელს არაზუსტ, ხოლო ზოგჯერ ყალბ ცნობასაც, რომელიც შეიცავს არასწორ მონაცემებს ამა თუ იმ მუშაკის შრომის სტაჟის, ხელფასის და სხვ. შესახებ, რაც საფუძვლად ედება გადაწყვეტილებას პენსიის დანიშვნის თაობაზე.

მაგალითად, თბილისში, მესხიშვილის ქ. № 31-ში მცხოვრებ ვ. კ. რუხაძეს 26 კომისრის სახელობის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ 1948 წლის სექტემბერში დაუნიშნა პენსია. პენსიის დანიშვნის საფუძველი გახდა ცნობა, რომელიც ვასცა თბილისის საქალაქო არქივმა, იმის შესახებ თითქოს ვ. კ. რუხაძე 1937 წლის აგვისტოდან 1943 წლის ნოემბრამდე მუშაობდა „საქქარხმშენში“ და მეორე ცნობა გაცემული იყო არტელ „კარდანახის“ გამგეობის მიერ, რომელიც „ადასტურებდა“ თითქოს რუხაძე 1944 წლის იანვრიდან 1948 წლის თებერვლამდე მუშაობდა ამ არტელში.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ ორივე ზემოაღნიშნული ცნობა ყალბი იყო. ვ. კ. რუხაძემ კი ამ ყალბი ცნობების გამოყენებით უკანონოდ მიიღო 3.834 მანეთი.

ამას წინათ შემოწმებულ იქნა თბილისში, კალინინის ქ. №84-ში მცხოვრები ი. პ. ჯგერენაიას საპენსიო საქმე. ი. პ. ჯგერენაიამ, მიმართა რა პენსიის დანიშვნის თაობაზე პირველი მაისის რაიონის სოცულურ-უზრუნველყოფის განყოფილებას, სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინა ცნობა, გაცემული 1962 წლის 12 აპრილს ქობულეთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის მიერ იმის შესახებ, თითქოს ი. პ. ჯგერენაია 1955 წლის 1 ივლისიდან 1957 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდა ამ კოლმეურნეობის ბრიგადირად და თვეში იღებდა ხელფასს 120 მანეთის ოდენობით. შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს ცნობა ყალბი იყო. მაგრამ სიყალბის გამოძლევენამდე ჯგერენაიამ მოასწრო 400 მანეთზე მეტი თანხის მითვისება.

ასეთი ფაქტები იშვიათი როდია. და ისინი იმაზე მიუთითებენ, რომ თვი-

თეული საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელი მეტი სიფხიზლითა და დაკვირვებით უნდა მოეკიდოს ყოველგვარი ცნობისა და დოკუმენტის გაცემას, რათა უნებლიედ ხელი არ შეუწყოს არაკეთილსინდისიერ ადამიანებს ხელყონ სახალხო საკუთრება.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები — ეს ნამდვილი სახალხო ორგანოებია, რომლებიც მოწოდებული არიან გულთბილად და მაღალ კულტურულ დონეზე მოემსახურონ პენსიონერებს, შრომისა და ომის ინვალიდებს, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. ამ ორგანოების მუშაკთა აბსოლუტური უმრავლესობა კეთილსინდისიერი, საქმისათვის თავდადებული ადამიანებია. ისინი გულითადად, მზრუნველობით ეპყრობიან მომსვლელთ, მოთმინებით უსმენენ მათ, ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ საქმის არსს, დააკმაყოფილონ ადამიანთა კანონიერი მოთხოვნები.

პარტიამ და მთავრობამ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს მიანდო საბატოო საქმე — მოემსახურონ პენსიონერებს, შრომისუნარმოკლებულთ, სწორად გაუნაწილონ მათ ამ მიზნით გამოყენებული მნიშვნელოვანი ფონდები. ეს სახსრები უნდა ვხარჯოთ ზუსტად, კანონის მიხედვით.

ჩვენი ვალია ფხიზლად დავიცვათ თვითეული მანეთი, თვითეული კაპიკო მიმტაცებელთაგან, საშუალება არ მივცეთ სინდისზე ხელაღებულთ ხელი ჩაპყონ სახელმწიფოს ჯიბეში, ამავე დროს მივიღოთ ყველა ზომა, რათა ყოველმა ამაგდარმა მშრომელმა მთლიანად მიიღოს პენსია და სხვა დახმარება.

სახალხო დოვლათის მიტაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ კონტროლს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მშრომელები, აქტივისტი პენსიონერები თვალსაჩინო დახმარებას უწევენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სწორად ხარჯვის უზრუნველყოფაში.

ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ საბჭოთა ადამიანები კვლავაც დაეხმარებიან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს სახელმწიფო სახსრების მიმტაცებელთა, წამგლეჯთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღითიდღე იზრდება, უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური მდგომარეობა, სულ უფრო წარმტაცი, საამური ხდება მათი ცხოვრება და ეს იმიტომ, რომ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, ყველაფერი კეთდება ადამიანებისათვის, მათი კეთილდღეობისათვის.

კვიპროსის კოპრეზის ზოგიერთი იუკრიული ასპექტი

დოც. ლ. ალექსიძე

მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღება დღეს მიპყრობილია სმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ არეში მდებარე პატარა კუნძულისადმი. მამაცი კვიპროსელები თავგანწირვით იბრძვიან მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებისა და მისთვის უფრო მყარი და მტკიცე საძირკვლის ჩაყრისათვის.

ფართობის მიხედვით კვიპროსი სიცილიისა და სარდინიის შემდეგ მესამე კუნძულია სმელთაშუა ზღვაში (9251 კვ. კილომეტრი). მოსახლეობა ძირითადად ბერძნებია — 448.462 (1960 წ. მონაცემებით), რაც მცხოვრებთა 81,1 პროცენტს შეადგენს; 18,9 პროცენტი თურქ ეროვნულ უმცირესობაზე მოდის — 104.320 სული¹.

კვიპროსის ძირითადი მოსახლეობა — ბერძნები — კუნძულზე ბინადრობენ სამი ათას წელზე მეტია. საუკუნეების მანძილზე პატარა კუნძული აგრესორთა თარეშის ობიექტს წარმოადგენდა (ეგვიპტელები, ხეთები, ასირიელები, სპარსელები, რომაელები, ბიზანტიის იმპერია, ინგლისი). XV საუკუნეში კვიპროსი ვენეციის რესპუბლიკას ხვდა წილად.

1571 წელს კუნძული თურქეთის იმპერიამ ჩაიგდო ხელში. დამპყრობლები სისხლში ახშობდნენ ყოველგვარ წინააღმდეგობას. მაგრამ XIX საუკუნის დამლევს, როდესაც თურქეთი სულ უფრო და უფრო დასავლეთზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცეოდა, ინგლისმა შესძლო კვიპროსზე თავისი ბატონობის დამყარება. 1878 წლის 4 ივნისს ინგლისსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება რუსეთის წინააღმდეგ კავშირის შესახებ, რომლის თანახმად ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ინგლისს მიენიჭა კვიპროსის

ოკუპაციისა და მმართველობის უფლებები (მუხლი 1). ინგლისი უკვე დიდი ხანია უმიზნებდა ამ კუნძულს, რომელსაც „აღმოსავლეთის გასაღებს“ უწოდებდნენ და თურქეთის დაცვა რუსეთისაგან მხოლოდ ნიღაბი იყო აგრესიული ზრახვების მისაჩქმალავად. უკვე 1914 წელს, მოიმიზეზა რა თურქეთის გამოსვლა გერმანიის მხარეზე პირველ მსოფლიო ომში, ინგლისის მეფემ კვიპროსის ანექსია აუწყა მსოფლიოს. ინგლისმა გააუქმა 1878 წლის კონვენცია და საბოლოოდ შეიერთა კუნძული, როგორც ომში მოპოვებული „მტრული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი“, რომლის ანექსიას იმდროინდელი საერთაშორისო სამართალი დასაშვებად თვლიდა².

ლოზანას საზავო ხელშეკრულებით (1923 წლის 24 ივლისი) თურქეთმა საბოლოოდ თქვა უარი კვიპროსზე და „ალი-არა ბრიტანეთის მთავრობის მიერ 1914 წლის 5 ნოემბერს გამოცხადებული... ანექსია (მუხ. 20)³.

1925 წელს კვიპროსი ინგლისის სამეფო კოლონიად გამოცხადდა. ამგვარად, დასრულდა ინგლისის მიერ კვიპროსის „დროებითი“ ოკუპაცია.

კვიპროსის ხალხი ყველა ამ ბინძურ გარიგებათა მხოლოდ ობიექტი იყო, არავინ კითხავდა მას აზრს, არ ცდილობდა ოდნავ მაინც გაეთვალისწინებინა მისი ინტერესები. კვიპროსელები არასდროს არ ეგუებოდნენ უცხოელთა უღელს. ისინი მამაცად ებრძოდნენ თურქეთის და ინგლისის ბარბაროსულ ბატონობას. განსაკუთრებით გააქტიურდა კვიპროსელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში,

¹ Cyprus Bulletin. Nicosia. 1964. № 28, გვ. 2.

² Ю. Варсегов. Кипрский вопрос и международное право. „Советский Ежегодник международного права“, 1958, М. 1959. стр. 423.

³ Итоги империалистической войны. Серия мирных договоров. Советский мирный договор и акты, подписанные в Лозанне. 1927. М. стр. 148.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში არ ნახულ სიმაღლეზე ავიდა. კვიპროსის მხარეზე იყო არა მარტო მთელი პროგრესული კაცობრიობა, სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, არამედ თანამედროვე საერთაშორისო სამართალიც, რომელიც მოწოდებულია დაიცვას და განამტკიცოს კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების უფლებები.

* * *

ჯერ კიდევ თურქეთის ბატონობის დროს კვიპროსელებს დაებადა „ენოზის“-ის (საბერძნეთთან შეერთების) იდეა, რომლისთვისაც ისინი ინგლისის ბატონობის პერიოდშიაც იბრძოდნენ. 1950 წელს, იანვარში, მას შემდეგ რაც ინგლისმა უარი განაცხადა ჩაეტარებია კუნძულზე პლებისციტი, კვიპროსელებმა თვითონ ჩაატარეს იგი. მიუხედავად ინგლისელთა ტერორისა კვიპროსის ბერძნების 96 პროცენტი „ენოზის“ მომხრე აღმოჩნდა. ეს ცნობები აუწყეს არა მარტო ინგლისის მთავრობას, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სადაც ბიულეტენების ასლებიც კი ჩაიტანეს. აშკარა იყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუს. 1 პარაგრაფის თანახმად ინგლისს უნდა დაეკმაყოფილებინა კვიპროსელთა თვითგამორკვევის მოთხოვნა. ამ მიზნით საბერძნეთმა დაიწყო კიდევ მოლაპარაკება ლონდონთან, მაგრამ უშუალოდ — ინგლისი კატეგორიულად უარყოფდა კვიპროსელთა თვითგამორკვევის უფლებას.

1957 წლის შემოდგომაზე საბერძნეთმა დასვა საკითხი გენერალური ასამბლეის წინაშე. ეს საკითხი ისმებოდა შემდეგშია (გენერალური ასამბლეის X, XI, XII, XIII სესიებზე), მაგრამ ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით გენერალური ასამბლეა ან არ იხილავდა მას, ანდა კმაყოფილებდებოდა „მოლაპარაკების გავრძელების“ წინადადების მიცემით¹. აღსანიშნავია, რომ ამ უსუსურ რეზოლუციებშიაც აღიარებული იყო კვიპროსის ხალხის თვითგამორკვევის უფლება.

ინგლისი კი კვლავ განაგრძობდა ობსტრუქციის პოლიტიკას და წესდების მე-2

მუხლის მე-7 პარაგრაფზე მითითებით უარყოფდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებას ჩარეულიყო ინგლისის „შინაგან საქმეებში“. ამავე დროს ინგლისი აქეზებდა თურქეთს გამოსულიყო პრეტენზიებით კვიპროსის მიმართ და, ამგვარად, შეეწელებინა ინგლის-საბერძნეთის წინააღმდეგობანი.² ასეც მოხდა — 1950 წლიდან ინგლის-თურქეთ-საბერძნეთის მოლაპარაკებანი სულ უფრო და უფრო დომინირებულ როლს თამაშობდნენ და კვიპროსელებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ ბრძოლა ამ ძალების წინააღმდეგ, რომელთა ზურგს უკან „ნატო“-ს ინტერესები იდგა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მიუხედავად საბერძნეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებისა საბერძნეთის მთავრობა არ იყო თანმიმდევრული კვიპროსის ინტერესების დაცვაში, რითაც სარგებლობდნენ ინგლისი და თურქეთი.

თურქეთის პოზიცია შემდეგი იყო: ა) კვიპროსზე უნდა შენარჩუნებულიყო status quo ბ) წინააღმდეგ შემთხვევაში კვიპროსი უნდა გადაცემოდა თურქეთს, როგორც კუნძულის ყოფილ მფლობელს. ამ პოზიციის დასასაბუთებლად ანკარას მოყავდა ლოზანას ხელშეკრულება, რომლის მონაწილე საბერძნეთიცაა.

თურქეთის პრეტენზიების უსაფუძვლობა აშკარა იყო. ლოზანას ხელშეკრულების მე-16 მუხლის თანახმად თურქეთმა უარი განაცხადა ყველა იმ კუნძულის მფლობელობაზე, რომლის მიმართ თურქეთის სუვერენიტეტი არ არის აღიარებული მოცემული ხელშეკრულებით. მე-20 მუხლით კი თურქეთმა აღიარა ინგლისის უფლებანი კვიპროსზე.³

ამგვარად, თურქეთმა სწორედ ლოზანას ხელშეკრულების ძალით დაკარგა იურიდიული უფლებები კვიპროსზე. ამიერიდან კვიპროსი ბრიტანეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ კვიპროსის ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ ბინძურ გარიგებაში და ამდენად ინარჩუნებდა უფლებას ეთქვა საბოლოო სიტყვა იმპერიალისტთა თარეშის შესახებ. გავიდა

¹ Ю. Барсегов. Кипрский вопрос... стр. 426—430.
² С. Леонидов. Кипр в борьбе за независимость. ИМО. 1963. стр. 61—63.
³ Международная политика новейшего времени в договорах, нотях и декларациях. ч 1. 1925. М. стр. 147—148.

დრო და ეს სიტყვაც ითქვა. ამჯერად კი თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იცავს კვიპროსელთა უფლებებს, იგი აღიარებს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. ხელშეკრულებანი, რომელიც არ შეესაბამება ამ პრინციპს ბათილად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ლოზანას ხელშეკრულება ვერ გამოადგებოდა თურქეთს თავისი პოზიციების გასამაგრებლად. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თურქეთმა შეცვალა თავისი პოზიციები და ახლა კვიპროსზე თურქული მოსახლეობის მფარველად გამოაცხადა თავისი თავი. ამ ახალ ამბულაში თურქეთმა დაიწყო თურქი უმცირესობის უფლებრივი მდგომარეობის პრობლემის ხელშეწყობის მცდელობა და ამჟამად მიუღებელი პრეტენზიების წამოყენება. ამ წინადადებათა ძირითადი მიზანი იყო „ტაქსიზმი“ — კუნძულის გაყოფა. ტაქსიზმის იდეა ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ კვიპროსის მოსახლეობის 18,9 პროცენტი თურქებია წარმომართ, ხოლო ზოგიერთ რაიონებში ისინი საკმაოდ მჭიდროდ არიან დასახლებული. მართლაც, ამ ეროვნულ უმცირესობას მეტად სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებს (ენის, ყოფის, კულტურის სფეროში), რაც მკვეთრად განასხვავებს მას კუნძულის ბერძნულ მოსახლეობისაგან.

ამავე დროს კვიპროსზე მცხოვრებ თურქ ექსტრემისტებმა დაიწყეს შეიარაღებული თავდასხმები ბერძნულ მოსახლეობაზე — კუნძული სამოქალაქო ომის ბურუსში გაეხვია. მდგომარეობა კატასტროფული შეიქმნა. ინგლისსაც ეს უნდოდა.

1958-1959 წწ. ინგლისის და აშშ-ს ზეგავლენით საბერძნეთი და თურქეთი იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. 1959 წლის 6-11 თებერვალს ციურინხში ჩატარდა თურქეთ-საბერძნეთის მოლაპარაკება, რომლის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება კვიპროსის მომავალი სტატუსის შესახებ. 17-19 თებერვალს ლონ-

დონში მოწვეულ იქნა კონფერენცია ინგლისის, საბერძნეთის, თურქეთისა და კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემთა წარმომადგენლების შემადგენლობით. ამ კონფერენციაზე ხელმოწერილ იქნა შეთანხმებანი, რომელნიც ძალით მოახვიეს თავს კვიპროსელ ბერძნებს. არქივებისკომისი მკარისი იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე, რათა ოდნავ მაინც განემტკიცებინა კვიპროსის პოზიციები დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მიუხედავად ციურინხ-ლონდონის შეთანხმებათა კაბალური ხასიათისა, ისინი წარმოადგენდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალების პირველ ნაბიჯს სრული დამოუკიდებლობისაკენ.

დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებდნენ „დამოუკიდებელი“ კვიპროსის სტატუსს ძირითადად სამი აქტისაგან შედგებოდა:

ა) კვიპროსის რესპუბლიკის სახელმწიფო წყობის საფუძვლები; ეს შეთანხმება განასაზღვრავდა იმ საწყისებს, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა კონსტიტუციის პროექტს (მონაწილენია ერთი მხრიდან კვიპროსი, ხოლო მეორე მხრიდან ინგლისი, საბერძნეთი, თურქეთი).

ბ) ხელშეკრულება გარანტიის შესახებ აცხადებდა კვიპროსის ტერიტორიის ხელშეუხებლობას და კრძალავდა ყველა ლონისძიებას, რომლის მიზანია კუნძულის ან გაყოფა, ან სხვა სახელმწიფოსთან შეერთება. კვიპროსის მთლიანობისა და უშიშროებისათვის რაიმე საფრთხის შემთხვევაში გარანტები (ინგლისი, თურქეთი, საბერძნეთი) აღიჭურვნენ უფლებით საერთო ძალებით ან ინდივიდუალურად აღადგინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობა.

გ) ხელშეკრულება კავშირის შესახებ (მონაწილენია — კვიპროსის რესპუბლიკა, საბერძნეთი, თურქეთი). „მოკავშირენი“ კისრულობდნენ ვალდებულებას ითანამშ-

¹ 1948 წლიდან კვიპროსზე ხელისუფლების როლს თამაშობდა სსსრული ორჯანობი კერძოდ, ეთნარქიის საბჭო, რომელშიაც სასულიერო პირებთან ერთად სამოქალაქო პირებიც შედიოდნენ. ეს ორჯანო ინგლისის გუბერნატორთან არსებობდა და აღჭურვილი იყო მხოლოდ საკონსულტაციო უფლებებით ეროვნულ და პოლიტიკურ დარგში. 1950 წელს არქივისკომისიისად და ეთნარქად არჩეული იქნა მაკარიოს III (არქივებშია დაცული კიტის ეპისკოპოსი მაკარიოსი). მაკარიოსი ეროვნული ბურჟუაზიის ფენების წარმომადგენელია და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და ღებულობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თუმცა ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა ზოგჯერ უბოროტავს მას ხელნებს, ასუსტებს პოზიციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.



რომლონ საერთო თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში და მიიღონ ზომები კვიპროსის წინააღმდეგ ყოველგვარი (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) აგრესიის მოგერიებისათვის. ამ მიზნით თურქეთსა და საბერძნეთს უფლება მიეცა განეღმადგინათ კუნძულებზე ჯარის ნაწილები (საბერძნეთი — 950 კაცი, თურქეთი — 650). ლონდონშივე გადაწყდა, რომ ინგლისი შეინარჩუნებს კუნძულზე 2 სამხედრო ბაზას, რომელთა სტატუსი უახლოეს ხანში უნდა დაუსუბტებულებო.

ამგვარად, ინგლისის, საბერძნეთისა და თურქეთის ხრიკების შედეგად კვიპროსელები ჩაყენებულ იქნენ მეტად ძნელ მდგომარეობაში და იძულებული გახდნენ ამ მეტად მოჩვენებით დამოუკიდებლობაზე თანხმობა განეცხადებინათ.

წელიწადნახევარი დაჭირდა კვიპროსს, რათა ეს მოჩვენებითი დამოუკიდებლობაც კი ოფიციალურად გაფორმებულიყო. ეს პერიოდი აღსავსე იყო ინგლისის და თურქეთის წაადლით — განემტკიცებიათ თავისი პოზიციები კუნძულზე. ინგლისი მოითხოვდა ბაზებისათვის 120 კვ. მილს, მაკარიოსი მხოლოდ 36 მილზე იყო თანახმა. თურქული თემის ლიდერი ქუჩუკი 100 მილის მომხრე იყო. საბოლოოდ მაკარიოსი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო — ბაზების ტერიტორიის საერთო ფართობი 99 კვ. მილით შემოიფარგლა, რაზედაც ინგლისის „სუვერენული უფლებები“ გადაეცა; ამის გარდა ინგლისს მიეცა კიდევ 30 „სტრატეგიული უბნის“ გამოყენების უფლება¹. ამავგე პერიოდში თურქეთმა აიძულა მაკარიოსი დათანხმებულიყო თურქი ეროვნული უმცირესობის ისტორიაში არნახული უფლებების აღიარებაზე. ამ „კომპრომისის“ შედეგად დაიბადა კვიპროსის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის ტექსტი დამტკიცდა ლონდონის კონფერენციაზე 1960 წლის ივლისში. ამ აქტის თანახმად კვიპროსი საპრეზიდენტო რესპუბლიკად ცხადდებოდა. ხელისუფლების სათავეში (სახელმწიფო მეთაური) დგას პრეზიდენტი, რომელიც ბერძენი უნდა იყოს წარმოშობით. მას ფართო უფლებები გააჩნია, მათ შორის ვეტოს უფლება წარმომადგენელთა პალატის და მინისტრთა საბჭოს გადაწყვე-

ტილებათა მიმართ, მთავრობის ბერძენი წევრების დანიშვნა-განთავისუფლება, შეწყინარების უფლება და ა. შ.

პრეზიდენტის გვერდით შეიქმნა კონსტიტუციური სამართლისათვის სრულიად უცნობი ინსტიტუტი თურქი ვიცე-პრეზიდენტის სახით, რომელსაც თითქმის ისეთივე უფლებები მიენიჭა რაც პრეზიდენტს — მონაწილეობს ყველა ოფიციალურ ღონისძიებებში, ნიშნავს და ათავისუფლებს თურქ მინისტრებს, შეუძლია დაადოს ვეტო პრეზიდენტის წარმომადგენელთა პალატისა და მინისტრთა საბჭოს იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც საგარეო საქმეებს, თავდაცვასა და უშიშროებას ეხება. ამგვარად, პრეზიდენტის უფლებები აქტიურად დუბლირებული იქნა და ვიცე-პრეზიდენტის სახით ბერძენ კვიპროსელთა პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანი მოღვაწეობის პარალიზების რეალური საფრთხე შეიქმნა. მაგრამ კონსტიტუცია მიდის უფრო შორს. რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო-წარმომადგენელთა პალატა უნდა დაკომპლექტებულიყო შემდეგი პროპორციით: 70 პროცენტი — ბერძენები, 30 — თურქები, ე. ი. 35 ბერძენი და 15 თურქი. ასეთივე პროპორცია უნდა ყოფილიყო დაცული მინისტრთა საბჭოს დაკომპლექტების დროსაც — 7 ბერძენი და 3 თურქი მინისტრი — რომელსაც ნიშნავენ და ამტკიცებენ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. კვიპროსის ჯარი 60 პროცენტით უნდა შესდგებოდეს ბერძენებისაგან, ხოლო 40 — თურქული წარმომომბის მოქალაქეებისაგან, პოლიცია და ჯანდარმერია კი შესაბამისად 70 და 30 პროცენტით.

ყოველი თემი ირჩევს ნაციონალურ პალატას, რომელსაც ენიჭება საკანონმდებლო უფლებები რელიგიის, კულტურის, განათლების დარგში, გადასახადების დაწესების სფეროში, თემის შინა საქმეებში. დიდ ქალაქში (ნიკოსია, ლიმასოლი, ფამა-მუსტა, ლარნაკი, პაფოსი) იქმნებოდა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მუნიციპალიტეტი, ხოლო დანარჩენ ქალაქებში და რაიონებში, სადაც მერეული მოსახლეობაა ხელისუფლების ორგანოების დაკომპლექტების დროს უნდა დაცულიყო პროპორცია — 70 პროცენტი ბერძენი; 30 — თურქი.²

¹ Новое время. 1960 г. № 5, стр. 20, № 8, стр. 18, № 25, стр. 20; 1962 г. № 35, стр. 20—21. № 47 стр. 26.

² Criton G. Tornaritis. La problème constitutionnel de Chypre. „Revue de droit contemporain“. 1964. № 1. p. 96—100.

როგორც ვხედავთ თურქულმა უმცირესობამ მიიღო უდიდესი უფლებები და ფაქტიურად ბერძენ უმრავლესობაზე პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მოსახლეობის 18,9 პროცენტის წარმომადგენლებს მიეცა უფლება საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების პარალიზება, შეაჩერონ იმ დონისძიებათა ცხოვრებაში გატარება, რომლის მომხრეა ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ თვით თურქეთში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა საერთო რიცხვი მოსახლეობის 10 პროცენტს აღემატება (სომხები, ქართველები, ბერძენები, ბულგარელები და ა. შ.), ისინი არ სარგებლობენ არა მარტო რაიმე უპირატესობით თურქ მოსახლეობასთან შედარებით, არამედ კულტურულ-ყოფითი ავტონომიის ელემენტარულ უფლებებითაც კი.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება თანასწორი იყოს ძირითად მოსახლეობასთან ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში, თავისუფლად გამოიყენოს მშობლიური ენა, შექმნას საკუთარი სკოლები და ბეჭდვითი ორგანოები, აღიაროს თავისი სარწმუნოება და სხვ. დღეს მხოლოდ კოლონიურ ქვეყნებში თეთრი რასისტების უმცირესობა სარგებლობს დიდი პრივილეგიებით და ბატონობს ხანჯვების უმრავლესობაზე, მაგრამ ეს წესებიც უკვე თანდათანობით ქრება კოლონიური სისტემის დაშლასთან დაკავშირებით.

ამგვარად, კვიპროსის კონსტიტუცია შეიცავდა ისეთ დებულებებს, რომელიც ძირს უთხრიდა ქვეყნის პოლიტიკური არსებობის სტაბილობას. სწორედ ამ აქტში ყველაზე მკაფიოდ გამოაშკარავდა კოლონიალიზმის ერთერთი ძირითადი პრინციპი — „გათიშე და იბატონე“.

1960 წლის 16 აგვისტოს კვიპროსი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. ამიერიდან ფორმალურად შევიდა ძალაში ყველა ზემოხსენებული შეთანხმებანი და კონსტიტუცია.

თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან კვიპროსის რესპუბლიკამ აუწყა მსოფლიოს, რომ მისი საგარეო პოლიტიკა პოზიციური ნეიტრალიტეტისა და მშვიდო-

ბიანი თანაარსებობის პრინციპებს ეყრდნობა. აშკარა იყო, რომ მაკარიოსის მთავრობა არ აპირებდა ნატოს ქვეყნების ბანაკში შესვლას, რასაც ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ლამობდნენ. ამავე დროს მაკარიოსის მთავრობა დიდი ენერგიით შეუდგა ქვეყნის ეკონომიკისა და შინაპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას.

როგორც მოსალოდნელი იყო სულ მოკლე ხანში აშკარა გახდა კვიპროსის კონსტიტუციის უსუსურობა — თურქი ვიცე-პრეზიდენტი ბორკავდა კვიპროსის მთავრობის ინიციატივას, აშკარად აღიზიანებდა ბერძნული მოსახლეობის ეროვნულ თავმოყვარობას. მაკარიოსმა გადაწყვიტა საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარება. შემუშავებულ იქნა ყველაზე ანტი-დემოკრატიული დებულებების რეფორმის პროექტი¹. მაგრამ თურქეთმა და მისმა მესვეურებმა კვიპროსზე სამოქალაქო ომის გაჩაღება ირჩიეს. 1963 წლის 21 დეკემბრის დამით თურქმა ექსტრემისტებმა ნიკოზიაში სროლა ატყვეს. ბერძენების პოლიციამ უპასუხა. სულ მოკლე ხანში ქალაქის ქუჩები გვამებით მოიფინა. კვიპროსის რესპუბლიკა კვლავ სისხლისმღვრელი ბრძოლის არედ იქცა.

ინგლისმა მცისვე გააძლიერა თავის ჯარები კუნძულზე და დაიმორჩილა საბერძნეთისა და თურქეთის ნაწილები, რომელიც ციურის-ლონდონის შეთანხმებების თანახმად იღგა ნიკოზიაში. თავის მხრივ თურქეთმა საჭაერო და საზღვაო დემონსტრაციები დაიწყო „კვიპროსელთა გონს მოსაყვანად“².

კუნძულზე მყოფი თურქეთის ჯარებმა მაკარიოსის ნებართვის გარეშე დატოვეს ბანაკი და ყველა მოთხოვნის მიუხედავად უკან არ ბრუნდებოდნენ. უფრო მეტიც, ისინი იბრძოდნენ თურქ ექსტრემისტთა მხარეზე. ამავე დროს ციურის-ლონდონის შეთანხმებაზე დაყრდნობით თურქეთის მთავრობა ინტერვენციითაც კი იმუქრებოდა. ამ სიტუაციაში მაკარიოსმა ერთადერთი სწორი გზა აირჩია. მან ციურის-ლონდონის შეთანხმებანი ანულირებულად გამოაცხადა და მოითხოვა ჯარების გაყვანა³.

¹ В. Некрасов. Кому нужен Кипрский вопрос? „За рубежом“ № 7, 1964. стр. 3.

² Трагедия Кипра, „За рубежом“. 1964. № 1, стр. 78, № 2, стр. 6.

³ Cyprus Bulletin. 1964. № 29, გვ. 3, № 40, გვ. 2.

ამავე დროს კვიპროსის მთავრობამ დასვა საკითხი უშიშროების საბჭოს წინაშე.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ყველა დონე იხმარეს, რომ კვიპროსის საკითხი ნატოს ფარგლებში გადაწყვეტილიყო და „ნატოს გარანტიებით“ უფრო დაემონებინათ კვიპროსი. მაგრამ ეს წადილი ამო აღმოჩნდა, რადგანაც აშკარა იყო აგრესიული ზრახვები „სინდიკის გეგმისა“, რომელიც მიზნად ისახავდა კუნძულის გაყოფასა და ნატოს სამხედრო ბაზად გადაქცევას.¹

4 მარტს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაეგზავნა კვიპროსზე გაერთიანებული ერების ჯარები კუნძულზე „წესრიგის უზრუნველსაყოფად“. უშიშროების საბჭომ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს თავი აარიდოს კვიპროსის საქმეებში ჩარევას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები მოწოდებული იყო დაეცვა კვიპროსი არა მარტო თურქეთის და საერთოდ ნატოს ძალების ინტერვენციისაგან, არამედ მოესდინა აგრეთვე ქვეყნის სამოქალაქო ომის კერების ნეიტრალიზაცია. უშიშროების საბჭომ დაუქვემდებარა ეს ძალები ორგანიზაციის გენერალურ მდივან უ ტანს. კონფლიქტის „მომრიგებლად“ დაინიშნა ფინელი ლიპლომატი ტუმითაა.²

15 მარტს კუნძულზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების პირველი ნაწილები შემოვიდნენ. მაგრამ დღემდე იყვნენ რა მათ ინერტიულობას თურქეთი განაგრძობს შანტაჟისა და ინტერვენციით მუქარის პოლიტიკას. ამავე დროს ვრძელდება თურქ ექსტრემისტთა ფარული შეიარაღება. ამ ვითარებაში მაკაროსის მთავრობამ საბოლოოდ უარყო ციურის-ლონდონის შეთანხმებანი, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებისათვის შეუთავსებელი აქტები. ცნობილია, რომ წესდების 103-ე მუხლის თანახმად იმ შემთხვევაში, როდესაც — ორგანიზაციის წევრების მოცემული წესდებით განსაზღვრული ვალდებულებანი ეწინააღ-

მდეგება სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან გამომდინარე ვალდებულებას, უპირატესობა ენიჭება პირველს. სწორედ ამ მუხლის საფუძველზე ციურის-ლონდონის შეთანხმებანი, კერძოდ ხელშეკრულება კაპშირის შესახებ და საგარანტიო ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონე აქტებად, რადგანაც ისინი ზღუდავენ კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ეს კი ეწინააღმდეგება წესდების სულისკვეთებას.

1—4 ივნისს კვიპროსის პარლამენტმა მიიღო კანონი საყოველთაო-სამხედრო სამსახურის შემოღების შესახებ³. ამ გარემოებამ ლონდონში „აღშფოთება“ გამოიწვია. დიპლომატიური დემარშები ერთი მეორეს ცვლიდა. გააქტიურდნენ თურქებიც. ექსტრემისტების ასალ ხრიკებს, თურქეთის აშკარა ინტერვენცია დაემატა. 7 აგვისტოს თურქეთის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კვიპროსის ქალაქებს, კვიპროსის ტერიტორიულ წყლებში თურქეთის სამხედრო გემები შევიდნენ. საპასუხოდ სამხედრო მზადებაში მოიყვანა თავისი ძალები საბერძნეთმა. მდგომარეობა დაიძაბა. ნატოს ხელმძღვანელობამ ძლივს ჩააქრო საბერძნეთსა და თურქეთს შორის სამხედრო კონფლიქტი.

25 სექტემბერს უშიშროების საბჭომ კიდევ ერთხელ (მეხუთედ) მოუწოდა ყველა ქვეყანას თავი აარიდოს კვიპროსის შინაგან საქმეებში ჩარევასა და ზუსტად დაიცვას უშიშროების საბჭოს 4 და 13 მარტის, 20 ივნისისა და 9 აგვისტოს რეზოლუციები. ამავე დროს საბჭომ გააგრძელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების კვიპროსზე ყოფნის ვადა 26 დეკემბრამდე⁴.


უკანასკნელ სანებში მეტად გააქტიურდა ვაშინგტონი. „აჩესონის“, „რასკის“ გეგმები ცვლიან ერთმანეთს, მაგრამ მიზანი ერთია — აქციონ კვიპროსი ინტერნაციონალური დროშით შენიღბული ნატოს ჩაუძირავ სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზად. ამავე დროს ორივე გეგმა ითვალისწინებს

¹ Н. Брагин, Н. Семенов. Боль и гнев киприотов. „За рубежом“. 1964, № 6, стр. 8

² „За рубежом“. 1964, № 11, გვ. 2—3. 14 მარტს უშიშროების საბჭომ კიდევ ერთხელ გააფრთხილა ყველა ქვეყანა არ ჩარეულიყვნენ კვიპროსის საქმეებში და თავი აერიდებინათ რესპუბლიკის უშიშროებისათვის რაიმე საფრთხის შექმნისაგან. „За рубежом“. 1964, № 12, გვ. 10.

³ Cyprus to Day. Supplement. 1964, № 5, გვ. 22—23.

⁴ Cyprus Bulletin, № 49, 1964, გვ. 1.



კუნძულის გაყოფას საბერძნეთს და თურქეთს შორის¹.

აღსანიშნავია, რომ დღეს „ენოზისი“ აღარ წარმოადგენს კვიპროსელებისათვის მთავარ ამოცანას. პირიქით ისინი რწმუნდებიან, რომ საბერძნეთის მთავრობა უფრო დიდ-მპყრობელური იდეებითაა გამსჭვალული ვიდრე კვიპროსელთა ინტერესებზე ზრუნვით. სწორედ ამით აიხსნება მისი არათანმიმდევრული პოლიტიკა კვიპროსის საკითხში. აი რატომ დასვა კვლავ მაკარიოსმა საკითხი გენერალური ასამბლეის XIX სესიის წინაშე და კატეგორიულად მოითხოვა კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული დამოუკიდებლობის გარანტია.

კვიპროსელთა მხარეზეა მთელი პროგრესული კაცობრიობის სიმპატიები.

განსაკუთრებულად დიდ მორალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს კვიპროსის ხალხს საბჭოთა სახელმწიფო.

მან ერთერთმა პირველთაგანმა ცნო სახელმწიფო რესპუბლიკა. 1961 წელს დაიღო სავაჭრო შეთანხმება, განმტკიცდა კულტურული ურთიერთობანი. იმ დღეებში როდესაც კვიპროსის უშიშროება დიდი საფრთხის წინაშე იდგა საბჭოთა მთავრობის ენერგიულმა ჩარევამ არა ერთხელ უკან დაახევინა აგრესორებს. დღეს საბჭოთა კავშირი ისევე დიდი ყურადღებით აღევნებს თვალყურს კვიპროსის საკითხს და მტკიცედ იცავს იმ პოზიციას, რომ კვიპროსელმა ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი. არავის არა აქვს უფლება ძალით მოახვიოს მას თავზე არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები და სამხედრო ბაზები. კვიპროსის კანონიერი პრეზიდენტის მაკარიოსის პოზიცია აღიარებული და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების და ნორმების შესაბამისად.

¹ „За рубежом“. 1964. № 35, стр. 3; № 36, стр. 2.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუშის

ქ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 18

1963 წლის 18 დეკემბერი

სასამართლოებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების სწორი და დროული გადაწყვეტა წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა შელახული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღდგენას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას.

გ. ი. ლენინი მოითხოვდა მშრომელთა წერილებისადმი, მათი წინადადებებისა და საჩივრებისადმი გულისხმიერ და ყურადღებით მოპყრობას. იგი წერდა, რომ საჭიროა „მოსახლეობა აუცილებლად მივაჩვიოთ იმას, რომ საქმიან საჩივრებს სერიოზული მნიშვნელობა აქვთ და სერიოზულ შედეგებამდე მიყვებართ“.

გაითვალისწინა რა ამ საკითხის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1958 წლის 2 აგვისტოს მიიღო დადგენილება „მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“, რომელშიც მკვეთრად და სამართლიანად გაკრიტიკებულია დაუდევარი დამოკიდებულება საჩივრების განხილვის ორგანიზაციის საქმეში და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუში აღნიშნავს, რომ სასამართლოებში ახორციელებენ რა კანონის მოთხოვნებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებს ძირითადად სწორად და დროულად წყვეტენ საჩივრებსა და განცხადებებს, თავიდან იცილებენ კანონის დარღვევის ფაქტებს, აუმჯობესებენ მოქალაქეთა მიღების და შემოსული საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვის ორგანიზაციას. ამასთან ერთად სასამართლოების მუშაობას, საჩივრების განხილვის დარგში ახასიათებს მრავალი სერიოზული ნაკლოვანება. სასამართლოს ზოგიერთ მუშაკს სათანადოდ არ ესმის ამ საქმის მეტად დიდი პოლიტიკური მნიშ-

ვნელობა, არ გამოაქვს აუცილებელი დასკვნები კანონიერების ცალკეული დარღვევებიდან, რაზედაც სამართლიანად მიუთითებენ მოქალაქეები.

ჟერ კიდევ ბევრი საჩივარი შემოდის დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის, ჩადენილ ქმედობასთან შეუსაბამო სასჯელის დანიშვნის, დაუსაბუთებელი მსჯავრის დადების, სამოქალაქო, განსაკუთრებით შრომისა და საბინაო საქმეების არასწორად გადაწყვეტის თაობაზე, აგრეთვე მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის სხვა დარღვევებზე. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში სკაკსაციო საჩივრებით უქმდება და ცვლილებას განიცდის გასაჩივრებულ განაჩენებისა და გადაწყვეტილებების თითქმის ერთი მესამედი. საქმეების მნიშვნელოვანი რაოდენობის გადასინჯვა ხდება სასამართლო შედამხედველობის წესით.

დიდი რაოდენობით შემოდის საჩივრები სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობაზე, განსაკუთრებით ალიმენტის გადახდის საქმეებზე.

დასაბუთებული საჩივრების შემოტანის შესდეგა, რომ სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ადვილი აქვს შეცდომებისა და ნაკლოვანებებს. საქმეების განხილვის დროს სასამართლოები მთელ რიგ შემთხვევებში ზერელედ ახდენენ მტკიცებათა ანალიზს, კარგად არ სწავლობენ თუ როგორი პიროვნებაა ბრალდებული, არღვევენ პროცესის მონაწილეთა უფლებებს. ზოგჯერ განაჩენებს და გადაწყვეტილებებს აკლია დამაჯერებლად მოტივირებული დასკვნები, რომლებიც სასამართლოებს გამოაქვთ საქმის განხილვის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების შემსაძრებლად სუსტად იყენიბენ სახალხო მსაჯულებსა და საზოგადოებრიობას.

საჩივრების გადაწყვეტის დროს ხშირად დაშვებულია საქმის გაჭიანურება და უსულგულო დამოკიდებულება მოქალაქეთა

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

კანონიერი მოთხოვნებისადმი. თანამდებობის პირებს, რომლებიც დამნაშავენი არიან ამაში, არ აძლევენ პასუხისმგებლობას. არცთუ იშვიათად მოქალაქეებისადმი გაგზავნილ პასუხებს ხელს აწერენ არა მოსამართლეები, რომლებმაც გამოიტანეს გადაწყვეტილება, არამედ ტექნიკური მუშაკები, ხოლო თვით პასუხები ტრაფარეტულია; მათში არ არის განმარტებული რა მოტივით ეთქვა პირს უარი საჩივარზე, არ არის დასაბუთებული, რომ საქმის გადაწყვეტის დროს სწორად იქნა გამოყენებული კანონი. ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი ისეთი დაუშვებელი ფაქტები, როდესაც საჩივარს გადასცემენ სოლმეი იმ პირს, რომლის მოქმედებაზეც იგი შეტანილია. საჩივრებისა და განცხადებების განხილვისადმი ასეთი დამოკიდებულება, იწვევს მოქალაქეთა კანონიერ უკმაყოფილებას, ხელახალ საჩივრებს და აიძულებენ განმცხადებლებს მიმართონ ცენტრალურ ორგანოებს იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლებოდა და უნდა გადაწყვეტილიყო კიდევ ადგილზე.

მთელ რიგ შემთხვევებში, შედამხედველობის წესით შესამოწმებლად გამოთხოვილ საქმეებს ზერეოდ სწავლობენ, რის შედეგადაც კანონიერების დარღვევები, რასაც უშვებენ სასამართლოები, სრულიად ან ბოლომდე არ ვლინდება. საქმეების შესწავლის შემდეგ შედგენილ დასკვნებში ხშირად უგულებელყოფილია საჩივრებში მოყვანილი მოსაზრებანი და ჩამოთვლილია მხოლოდ ის გარემოებანი, რომლებსაც დაეყრდნო სასამართლო საქმის განხილვისას, როგორც მსჯავრდებულის ბრალულობის დამადასტურებელ მტკიცებებს. მათში არ არის მითითებული: გათვალისწინებულია თუ არა განაჩენის დადგენის დროს ყველა გარემოებანი, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ სასამართლოს დასკვნებზე; რამდენად, სრულყოფილად და ყოველმხრივ ჩატარდა წინასწარი და სამსჯავრო გამოძიება; შემოწმდა თუ არა სასამართლოს მიერ ბრალდებულთა ახსნა-განმარტებანი, სწორია თუ არა დანაშაულის კვალიფიკაცია და შეეფარდა თუ არა დამნაშავეს სასჯელი კანონის შესაბამისად. ზოგიერთ სასამართლოში დასკვნებს პროტესტის შეტანაზე უარის თქმის შესახებ არ ადგენენ, ან და თუ ადგენენ მხოლოდ იმ პირთა მსჯავრდების დასაბუთებულობაზე, რომლებმაც შეიტანეს საჩივრები და არა ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ამ საქმეზე. მაშინ როდესაც

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქმეებზე დასკვნების შედგენა ყველა მსჯავრდებულ პირთა მიმართ გამორიცხავენ შემოწმების მიზნით იმავე საქმეების განმეორებით, ყოველგვარი საჭიროების გარეშე გამოთხოვას სხვა მსჯავრდებულების საჩივრების გამო.


სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ კანონის მოთხოვნებს, რომლებიც ავალდებულებენ მათ თუ არ არის საფუძველი პროტესტის შეტანისათვის აცნობონ ამის შესახებ უარის თქმის მოტივების მითითებით იმ პირებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა შუამდგომლობითაც იქნა გამოთხოვილი საქმე შესამოწმებლად. (რსფსრ სისხლის სამართლის სამართლებრივ კოდექსის 376-ე მუხლი და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართლებრივ კოდექსების შესაბამისი მუხლები).

ანალოგიურ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სამოქალაქო საქმეთა შემოწმების დროსაც.

ბევრი სასამართლო ღრმა ანალიზს არ უკეთებს სასამართლო პრაქტიკას, საკაცაციო და საზედამხედველო წესით საქმეთა განხილვის შედეგებს, არ სახაავს კონკრეტულ დონისძიებებს, მიმართულს კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად და საქმეთა განხილვის ხარისხის ამაღლებისაკენ, არ უწერს სათანადო პრაქტიკულ დასაზრებას ჩივილობი სასამართლოებს, რათა აღმოფხვრან მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებანი.

საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დარგში სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კანონიერების დარღვევის აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ აუცილებელია აღმოფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში. მთავარია, რომ ძირშივე და მთლიანად აღმოფხვრას საჩივრებისა და განცხადებების განხილვისადმი ფორმალური, ბიუროკრატიული მიდგომა. სასამართლო ორგანოების მუშაკებს, ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ საჩივარი არამარტო იმის საბაზიხდება, რათა აღდგენილ იქნას მოქალაქეთა შელახული უფლებები და კანონით დაცული ინტერესები, არამედ იგი წარმოადგენს იმის საშუალებასაც, რათა გამოვლინებულ იქნას სასამართლო და სხვა ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი, ერთერთი ფორმა იმისა, რომ მოქალაქენი უშუალოდ



იქნენ ჩაბმულნი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

2. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო და ნაციონალური ოკრუგების სასამართლოები სისტემატურად უნდა უკეთებდნენ ანალიზს იმ საქმიანობას, რაც წარმოებს საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დარგში, უნდა კონკრეტულად არკვევდნენ რომელი სასამართლოსა და მოსამართლის მიერ არის დაშვებული შეცდომები. აუცილებელია ეს მონაცემები გამოყენებულ იქნას სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და სამსახურებრივი მოვალეობის უნაკლოდ შესრულების სულისკვეთებით კადრების აღზრდისათვის.

3. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო და ნაციონალური ოკრუგების სასამართლოების, აგრეთვე სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეების (უფროსი მოსამართლეების) ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ისინი პირადად არიან პასუხისმგებელი მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დარგში მუშაობის ორგანიზაციისათვის.

ყოველ სასამართლოში უნდა დაწესდეს ყველა შესული საჩივრისა და განცხადების აღრიცხვა, უზრუნველყოფილ იქნას კონტროლი დადგენილ დროში მათი მსვლელობისა და განხილვისადმი.

4. ჩაითვალოს აუცილებლად, რათა საზედამხედველო წესით შემოწმებულ ყოველ საქმეზე (პროტესტის შეტანაზე უარის თქმის შემთხვევაში) შედგეს დასკვნები საქმეზე მსჯავრდებულ ყველა პირის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ შეტანილია პროტესტი ერ თან რამდენიმე მსჯავრდებულზე, დასკვნა უნდა შედგეს ამ საქმეში გამავალ ყველა დანარჩენ მსჯავრდებულ პირთა მიმართ. დასკვნებში საჭიროა მოცემული იქნას მოსაზრებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო საქმის გამოთხოვას, უნდა მიეთითოს იმ კონკრეტულ მასალებზე,

რომლებიც შემოწმებულია სასამართლოს მიერ და ამტკიცებენ გამოტანილი განაჩენის ან გადაწყვეტილების საფუძვლიანობას. დასკვნას ხელს უნდა აწერდეს მისი შემდგენი და ამტკიცებდეს თანამდებობის პირი, რომელიც პასუხს აგებს საჩივრების გადაწყვეტაზე. პასუხებში დამაჯერებლად უნდა იყოს მოტივები იმისა, თუ რატომ იქნა მიღებული საჩივარზე ასეთი გადაწყვეტილება.

5. სასამართლოების მუშაებმა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დროს განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება იმ დარღვევებზე, რასაც ადგილი აქვს შრომისა და საბინაო კანონმდებლობაში, გადასახადებისა და მათზე შეღავათების გაგრძელების კანონმდებლობაში, აგრეთვე მოსახლეობის ყოველდღიურ საჭირობოტოტო საკითხებზე. აუცილებელია სასამართლებმა მოახდინონ თავიანთი საქმიანობის კოორდინირება პროკურატურის ორგანოებთან, მიიღონ ქმედითი ზომები კანონიერების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

6. ქვემდგომი სასამართლოების მუშაობის შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციას, იმას, რომ როგორც საჩივრებისა და განცხადებების განხილვა, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე ხდებოდა დროულად და სწორად, იმ მიზეზების აღმოფხვრას, რაც წარმოშობს საჩივრებს; გაუწიონ სასამართლოებს პრაქტიკული დახმარება მუშაობის გაუმჯობესებაში.

7. წინადადება მიეცეთ სასამართლოებს გულდასმით შეამოწმონ კანონიერების დარღვევის, ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების ფაქტები, სასამართლო ორგანოების საქმიანობაში, რასაც იტყობინება საზოგადოებრიობა და პრესა და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვ. პულიაოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ა. ეშანოვი.



რ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა № 19

18 დეკემბერი, 1963 წელი

სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი ზომიერითი საკითხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სასჯელისაგან ვადამდე, ვადამდე-პირობით გათავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის კანონმდებლობის უზარადახსნა

სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაში წამოიჭრა რიგი საკითხებისა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე და 45-ე მუხლების და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების შეფარდების თაობაზე, რომლებიც შეეხებიან სასჯელისაგან ვადამდე, ვადამდე-პირობით გათავისუფლებასა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი ღონისძიებით.

ამასთან დაკავშირებით განიხილა რა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინება და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს, მიეცეთ სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მსჯავრდებულის ვადამდე-პირობით გათავისუფლება უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე, იმისდამიუხედავად, თუ, რომელი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე იხდის ეს პირი სასჯელს.

თუ პირი მსჯავრდებულია დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ორი და მეტი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მისი ვადამდე-პირობით გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით, რომელიც აწესებს სასჯელის ფაქტიურად მოხდის უფრო ხანგრძლივ ვადებს.

2. კანონმდებლობა ვადამდე, ვადამდე-პირობით გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქით შეცვლის შესახებ არ წყვეტს ქმედობის დანაშაულებრიობისა და დასჯადობის საკითხებს. ამიტომ სსრ კავშირისა და მოკავში-

რე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მე-6 მუხლის დებულება ასეთ შემთხვევებზე არ ვრცელდება და საკითხი-გამოყენებული იქნას თუ არა ვადამდე, ვადამდე-პირობით გათავისუფლება, ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი ღონისძიებით უნდა გადაწყდეს მოცემულ მომენტში მოქმედი კანონით და არა იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს. ამასთან დაკავშირებით ვადამდე-პირობით გათავისუფლებას არ ვეყვებებარებიან პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან იმ დანაშაულისათვის, რასაც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის მე-4-ე ნაწილი, იმისდა მიუხედავად თუ სად და რომელი კანონით იყო იგი გასამართლებული. კერძოდ, ვადამდე-პირობით გათავისუფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, ან რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით, 90-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით, 92-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით, 93-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების — „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებამდე), ან თუ გატაცებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება, აგრეთვე თუ პირი გასამართლებულია 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გა-

ტაცებისათვის ყაჩაღობის გზით ან თუ მას თან ერთოდა განზრახ მკვლელობა.

3. იმ საკითხის გადაწყვეტისას, რომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ვადამდე-პირობით გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი ღონისძიებით იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ჯგუფურად გატაცებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, სამოქმედოდ შემოღებამდე, სასამართლოებმა უნდა დაადგინონ არის თუ არა ეს პირი თანამონაწილე განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონების გატაცებაში. თუ დადგინდება, რომ პირი მონაწილეობდა გატაცების მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში და არ იყო თანამონაწილე განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებაში, მაშინაც კი როცა ამ საქმეზე ყველა მსჯავრდებულის მიერ მთლიანად გატაცებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება, კახონით დადგენილი სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ ამ პირზე შეიძლება გავრცელდეს ვადამდე-პირობით გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი ღონისძიებით.

4. იმ პირებზე, რომლებიც სასჯელს იხდიან დანაშაულისათვის, რაც მათ ჩაიდინეს 18 წლის ასაკამდე, ვადამდე, ვადამდე-პირობით გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეიძლება გამოყენებულ იქნას თუ არის ის პირობები, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 45-ე მუხლით, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიუხედავად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირებს სასჯელი შეეცვალათ უფრო მსუბუქი ღონისძიებით არ დაიშვება მათი გადასახლება, ან გასახლება.

თუ მსჯავრდებული სასჯელს იხდის დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა 18 წლის ასაკამდე და სასჯელის მოხდის დროს 18 წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მისი ვადამდე-პირობით გათავისუფლების საკითხი გადაწყდება საერთო საფუძველზე იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლით გამომდინარე იმ დანაშაულობი-

დან, რაზედაც მსჯავრდებულია ეს პირი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

5. თავისუფლების აღკვეთის შეცვლა გამასწორებელი სამუშაოებით სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე და 45-ე მუხლების მიხედვით არ შეიძლება დაინიშნოს ერთ წელზე მეტი ვადით დამასთან იგი არ უნდა აღემატებოდეს სამჯერ თავისუფლების აღკვეთის მოუხდელ ვადას.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულს სასჯელი შეუმცირდა ამნისტიის, ან შეწყობის აქტით ანდა სასამართლოს განჩინებით (მაგალითად, ახალი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, სასჯელის შესაბამისობაში მოყვანის დროს), სასამართლომ, როდესაც იყენებს ვადამდე-პირობით გათავისუფლებას, ან სასჯელის შეცვლას უფრო მსუბუქი ღონისძიებით, უნდა გამოიანგარიშოს ფაქტიურად მოხდილი სასჯელი იმ ვადის მიხედვით, რასაც აწესებს ეს აქტი ან განჩინება.

7. იმ პირს, რომელსაც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მოუხდელი სასჯელი შეეცვალა უფრო მსუბუქით, ახალი დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, იმ სასჯელს, რაც მას შეეფარდება ახალი დანაშაულისათვის უნდა მთლიანად ან ნაწილობრივ მიემატოს მოუხდელი სასჯელის უფრო მსუბუქი ნაწილი, იმ წესების მიხედვით, რასაც აწესებს საფუძვლების 36-ე მუხლი.

8. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-2 პუნქტის მიხედვით ვადამდე-პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომლის მიმართ უკვე გამოყენებული იყო ვადამდე-პირობით გათავისუფლება ანდა, რომელსაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქით. თუ ამ პირმა მოუხდელი სასჯელის ვადის გასვლამდე ჩაიდინა ახალი განზრახ დანაშაული, რაზედაც იგი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით. ეს შეზღუდვა ვრცელდება, როგორც იმ პირთა მიმართ, რომლებიც სასამართლოს მიერ გათავისუფლებული არიან საფუძვლების 44-ე მუხლის მიხედვით, ასევე იმათ მიმართ, რომელთა

ვადამდე-პირობით გათავისუფლება, ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქით მოხდა ამნისტიის ან შეწყალების აქტებით, უკეთეს ამ აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამასთან სასჯელის მოუხდელ ვადად უნდა ჩაითვალოს:

ა) ვადამდე-პირობით გათავისუფლების შემთხვევაში — სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

ბ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შემთხვევაში — უფრო მსუბუქი სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რომელიც განუსაზღვრა მსჯავრდებულს სასამართლოს მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე და 45-ე მუხლების მიხედვით, ანდა ამნისტიის ან შეწყალების აქტების საფუძველზე.

9. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 48-ე მუხლის არსის მიხედვით, არ დაიშვება სასამართლო ზედამხედველობის წესით გადაინიჯოს განჩინება ვადამდე-პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი შეფარდების შესახებ, თუ იგი მიმართულია მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესებისაკენ, ხოლო ამ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან კი უკვე ერთმა წელმა განვლო.

10. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს მსჯავრდებულის ვადამდე პირობით გათავისუფლება, როგორც ძირითადი, ისე

დამატებითი სასჯელებისაგან, რომლებიც ჩამოთვლილია საფუძვლების ამ მუხლში. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულმა მთლიანად მოიხადა ძირითადი სასჯელი, ხოლო სასჯელისაგან ვადამდე-პირობით გათავისუფლების საკითხი დადგამსოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებულის იხდის სასჯელის დამატებით ზომას, სასჯელის ამ ზომის კანონით დაწესებული ნაწილის მოხდისა და კანონში მითითებული სხვა პირობების არსებობის დროს სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებული გაათავისუფლოს ისეთი დამატებითი სასჯელებისაგან როგორცაა გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

11. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ დაუშვებელია განხილული იქნას საქმე ვადამდე, ვადამდე-პირობით გათავისუფლებისა და სასჯელის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის შესახებ. თუ ამაზე არ იქნა წარდგინება შრომა-გასწორებითი დაწესებულებების ადმინისტრაციის, სამეთვალყურეო კომისიის ან მოკავშირე რესპუბლიკებში არასრულწლოვანთა კომისიებისა, სადაც თანახმად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა ასეთი მონაწილეობა აუცილებელია.

12. მიეცეს მითითება სასამართლოებს, რომ აუცილებელია ვადამდე პირობით გათავისუფლების გამოყენების შემთხვევაში ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა, რათა განხორციელდეს მეთვალყურეობა ვადამდე, ვადამდე-პირობითი განთავისუფლებულ პირებისადმი და გატარდეს მათთან აღმზრდელი მუშაობა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვ. კულიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ბ. მუხანოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის **ქართული**
დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 20 **საქართველო**

18 დეკემბერი, 1963 წელი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 13
სექტემბრის № 13 დადგენილების — „სამოქალაქო ზრომის საქმეებზე
სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მ-8 პუნქტის
ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
პლენუმი ადგენს:

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავში-
რის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელ-
ფასის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავ-
შირო პროფესიული კავშირების ცენტრალუ-
რი საბჭოს სამდივნოს მიერ 1963 წლის 29

აგვისტოს მოცემული იქნა განმარტება
№ 20/23 „შრომითი დაგების განხილვის
წესების დებულების 21-ე პუნქტის გამო-
ყენების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი
სასამართლოს პლენუმის შემოდასახელებუ-
ლი დადგენილების მე-8 პუნქტი ჩაითვა-
ლოს ძალადაკარგულად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ვ. კულიკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ა. ეშანოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1

25 მარტი, 1964 წელი

სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულების
პრაქტიკის შესახებ, იმ ნაწილში, რომელიც ეხება ზარალის
ანაზღაურებას, რაც დანაშაულობებით მიადგა სახელმწიფო,
კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

სასამართლო ორგანოების ერთ-ერთ უმ-
ნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს აწა-
რმოონ ბრძოლა დანაშაულობებთან, რომე-
ლიც მიმართულია სოციალისტური საკუთ-
რების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის წარმატე-
ბები იმაზეა დამოკიდებული, რომ დამნაშა-
ვეებს სწორად შეეფარდოთ კანონით გათვა-
ლისწინებული სისხლის სამართლის სასჯე-
ლები, მიღებულ იქნას გამაფრთხილებელი
ხასიათის ღონისძიებანი, ამასთან ერთად
იგი ბევრადაა დამოკიდებული იმაზეც, რომ
რეალურად იქნას ანაზღაურებული დანაშა-
ულობებით გამოწვეული მატერიალური ზა-
რალი.

მიუხედავად ამისა, როგორც არსებული
მასალები მოწმობენ, ზოგიერთ სასამართ-
ლოში არაღამაკმაყოფილებლად წარმოებს

მუშაობა იმ ზარალის ანაზღაურებისათვის,
რაც დანაშაულობებით მიადგა სახელმწიფო,
კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანი-
ზაციებს. მოკვლევისა და წინასწარი გამო-
ძიების წარმოების დროს, აგრეთვე სამართა-
ლში მიცემის სტადიაში ყოველთვის არ
სრულდება ან არადროულად სრულდება სი-
სხლის სამართლის საპროცესო კანონმდებ-
ლობის მოთხოვნები, რაც იმაში მდგო-
მარეობს, რომ მიღებულ იქნა ზომები დანა-
შაულობებით მიყენებულ მატერიალური
ზარალის ანაზღაურების უზრუნველ-
საყოფად (რსფსრ-ს სისხლის სამართ-
ლის საპროცესო კოდექსის 30-ე, 175-ე, და
233-ე მუხლები და მოკავშირე რესპუბლიკე-
ბის სისხლის სამართლის საპროცესო კო-
დექსების შესაბამისი მუხლები), და სსრ კა-

უშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 28 მაისის დადგენილება „დანაშაულობებით მიყენებული მატერიალური ზარალის გადახდევინების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როცა სასამართლო ადგენს, რომ ზარალის ანაზღაურებაზე სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილი არ არის და მის უზრუნველსაყოფად ზომები არ იქნა მიღებული, რეაგირებას კი წინასწარი გამოძიების და მოკვლევის ორგანოების ამ დაუდევრობაზე არ ახდენს. ერთეული როდია შემთხვევები, როდესაც ზარალის რეალურად ანაზღაურების შესაძლებლობა იკარგება იმის გამო, რომ დროულად არ ხდება სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების აღსრულება.

სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს იმ მუშაობაში, რაც ხორციელდება მატერიალური ზარალის ანაზღაურების ნაწილში სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულების დროს აიხსნება აგრეთვე იმით, რომ ბევრ სასამართლოში ამის ორგანიზაცია არასრულყოფილია, მოსამართლეები არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ სასამართლოს აღმასრულებლებს, არ აწესებენ მუდმივ კონტროლს მათ საქმიანობაზე. ზემდგომი სასამართლოები არ უთმობენ სათანადო ყურადღებას სასამართლოს საქმიანობის ამ მნიშვნელოვან უბანს.

ამის შედეგად ზოგიერთი სასამართლო აღმასრულებელი აჭიანურებს საქმეს, არ იჩენს ინიციატივას, არ იღებს ზომებს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების რეალურად შესრულებისათვის, სჯერდება სააღსრულებო დოკუმენტების ფორმალურად გადაგზავნას იმ პირის სამუშაო ან სასჯელის მოხდის ადგილას, რომელიც მოვალეა ანაზღაურის მიყენებული ზარალი.

არასახარბიელოა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობა იმ ნაწილში, რაც მატერიალური ზარალის ანაზღაურებას შეეხება.

სერიოზული ნაკლოვანებები ანასიათებს აგრეთვე სასამართლოს საქმიანობას მესამე პირთა სარჩელების განხილვაში, აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვის თაობაზე, იმ ქონებისა, რომელსაც ყადაღა დაედო მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით. ხშირად ამ საქმეების განხილვა ჭიანჭურდება და ადგილი აქვს მათზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სასამართლოების ყურადღება მიქცეულ იქნას იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს მათ საქმიანობაში სასამართლოების განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულების დროს იმ ნაწილში, რომელიც ეხება მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, რაც დანაშაულობებით მიადგა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოეთხოვოს სასამართლოებს გადაჭრით გააუმჯობესონ ამ დარგში მუშაობა.

ბრძოლას სოციალისტური ქონების დაცვისათვის შეიძლება წარმატება ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე პირების მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდებასთან და გამაფრთხილებელ ღონისძიებებთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება დანაშაულობებით მიყენებული მატერიალური ზარალის რეალური ანაზღაურება.

2. სასამართლო, მიიღებს რა წარმოებაში სისხლის სამართლის საქმეს დანაშაულობის შესახებ, რაც მიმართულია სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოვალეა შეამოწმოს წარდგენილია თუ არა საქმეში სამოქალაქო სარჩელი, განემარტა თუ არა დაზარალებულ ორგანიზაციას მისი უფლება სამოქალაქო სარჩელის წარდგენაზე, დაედო თუ არა ყადაღა ქონებას ამ სარჩელის უზრუნველსაყოფად და ვის გადაეცა ეს ქონება შესაძლებად.

როდესაც დადგინდება, რომ მოკვლევისა

და გამოძიების ორგანოებმა დაუშვეს კანონის მოთხოვნის დარღვევა, სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილში, საქმე გატანილი უნდა იქნას განსახილველად განმწესრიგებელ სხდომაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია, უზრუნველყოფილ იქნას მატერიალური ზარალის ანაზღაურება უშუალოდ სასამართლოს მიერ რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე საქმე უნდა დაუბრუნდეს წინასწარი გამოძიების ორგანოებს, იმის დაკისრებით, რომ მათ მიიღონ ყველა საჭირო ზომა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად.

სასამართლო მოვალეა რეაგირება მოახდინოს მოკვლევისა და გამოძიების ორგანოების მხრივ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილში კანონის დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე.

3. აუცილებელია მკაცრად იქნეს დაცული რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 252-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები, რომლის ძალით სასამართლო სამოქალაქო სარჩელს განიხილავს, მიუხედავად იმისა გამოცხადდა თუ არა სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, თუ სარჩელს მხარს უჭერს პროკურორი ან თუ სასამართლო საჭიროდ თვლის განიხილვას წარდგენილი სარჩელი.

იმ შემთხვევაში როდესაც სამოქალაქო სარჩელი წარდგენილი არ არის, სასამართლო განაჩენის დადგენის დროს უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს საკითხი დანაშაულობით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ.

წყვეტს რა საკითხს დანაშაულობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 32-ე მუხლის შესაბამი-

სად სასამართლომ აქტიური ზომები უნდა მიიღოს სარჩელის უზრუნველსაყოფად.

4. სასამართლო განაჩენის გამოტანისას, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 33-ე მუხლის შესაბამისად მოვალეა გაითვალისწინოს, რომ დამნაშავე პირის მიერ ნებაყოფლობით დაფარვა ზარალისა, წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც წყდება საკითხი, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულის ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის დონისძიების უფრო მსუბუქით შეცვლის შესახებ, სასამართლომ სხვა იმ გარემოებებთან ერთად, რომლებიც მოწმობენ მსჯავრდებულის გამოსწორებას, მხედველობაში უნდა მიიღოს ისიც, რომ სასჯელის მოხდის დროს მან ნებაყოფლობით აანაზღაურა მის მიერ მიყენებული ზარალი.

5. სასამართლოს განაჩენი ან გადაწყვეტილება მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ კანონიერ ძალაში შესვლისთანავე დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღსრულებული. აღმასრულებელი ფურცლები ამ კატეგორიის საქმეებზე გადაეცემათ სასამართლოს აღმასრულებლებს და ამის შესახებ ეცნობებათ ორგანიზაციებს, რომელთა სასარგებლოდაც ხდება ანაზღაურება. აღმასრულებელ ფურცლებს უნდა დაერთოს დოკუმენტები ზარალის რეალურად ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების შესახებ (მოვალის ქონების აღწერის ასლი, იმის მითითებით თუ სად ინახება ქონება, ცნობა შემნახველი სალაროს ანაბარზე ყადაღის დადების შესახებ, ცნობა იმ ქონების, ფულისა და სხვა ფასეულობათა შესახებ, რომლებიც ამოღებულია როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და სხვ.).

სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეუდგეს სასამართ-

ლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების აღსრულებას იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც მიადგა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღმასრულებელი ფურცელი იგზავნება მოვალის სამუშაო ადგილზე, სასამართლოს ევალება მიუთითოს ხელფასიდან დასაკავებელი თანხის ოდენობა პროცენტული გამოსახულებით.

თუ მოვალის ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის, აღმასრულებელი ფურცელი უბრუნდება იმ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი ან გადაწყვეტილება, რათა მან განიხილოს საკითხი მოვალის ძებნის გამოცხადების შესახებ.

სასამართლოს აღმასრულებელი უფლებამოსილი არ არის დამოუკიდებლად შეაჩეროს განაჩენისა და გადაწყვეტილებების აღსრულება ქონების გადახდევინების ნაწილში, ამორიცხოს აღწერილობის სიიდან ქონება, რომელსაც დადებული აქვს ყადაღა, აგრეთვე თავის შეხედულებისამებრ დაადგინოს მოვალის ხელფასიდან დასაკავებელი თანხის ოდენობა.

განაჩენის აღსრულების შეჩერება, გადადება, ან განსაკუთრებული წესის დადგენა სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ან გადაწყვეტილებისა ზარალის ანაზღაურების შესახებ დაიშვება მხოლოდ სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში და იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით.


6. სასამართლოებს ევალებათ ყოველდღიურად უხელმძღვანელონ სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობას, დააწესონ მუდმივი კონტროლი მათ საქმიანობაზე და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ყველა საკითხის გადაწყვეტაში, რაც წარმოიშობა განაჩენისა და გადაწყვეტილებების აღსრულების სტადიაში. საჭიროა პერიოდულად შემოწმდეს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობა, იმ ნა-

წილში, რომელიც შეეხება ზარალის ანაზღაურებას, რაც მიადგა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მიიღონ ოპერატიული ზომები რათა აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობაში, რაც ხელს უშლის განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სათანადოდ შესრულებას. სასამართლომ უნდა განახორციელოს კონტროლი იმ საქმიანობაზე, რასაც სასამართლოს აღმასრულებლები ეწვევიან მოვალის ქონებრივი მდგომარეობის განმეორებით შემოწმებისათვის, შეამოწმოს საფუძვლიანობა იმ აქტებისა, რომლებსაც სასამართლოს აღმასრულებლები ადგენენ მოვალის ვალუვაციის თაობაზე.

სასამართლოების ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ აუცილებელია კოორდინირებულ იქნას ის მუშაობა, რაც წარმოებს ზარალის ანაზღაურების ნაწილში განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსასრულებლად პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებთან და იმ ორგანიზაციებთან, რომელთა სასარგებლოდაც ხდება გადახდევინება.

იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნას სასამართლოს აღმასრულებლის საქმიანობა მატერიალური ზარალის ანაზღაურების დარგში, რაც გატაცებითა და გაფლანგვით იქნა მიყენებული, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას მათთვის პრემიალური ანაზღაურების გაცემა კანონით გათვალისწინებული წესით.

7. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, საოლქო, სამხარეო სასამართლოებმა, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ორგუების სასამართლოებმა ქვემდგომი სასამართლოების მუშაობის შემოწმებისას სისტემატური ანალიზი უნდა გაუკეთონ მათ მუშაობას განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესრულებაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სახელმწიფო კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზა-



ციებისადმი მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. სასამართლოებისა და ცალკეული სასამართლოს მუშაკთა საქმიანობის საერთო მდგომარეობა უნდა შეფასდეს აგრეთვე დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეთა მდგომარეობის აღრიცხვით.

8. რჩევა მიეცეთ სასამართლოებს გამოიყენონ სასამართლოს აღმასრულებელთა დასახმარებლად, მათ მიერ განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულების დროს, სახალხო მსაჯულებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმის არსებული დადებითი გამოცდილება.

დანაშაულით მიყენებული ზარალის რეალური ანაზღაურების დროს აუცილებელია აგრეთვე იმ სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმა, რომელთა სასარგებლოდაც ხდება გადახდევინება. აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ უმოქმედობის გამოვლენისას, რაც აფერხებს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სათანადო აღსრულებას ზარალის ანაზღაურებაზე, სასამართლოებმა ამის შესახებ უნდა აცნობონ შემდგომ ორგანიზაციებს, ამავე დროს, მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა დააყენონ საკითხი დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

9. იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე პირს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა და ამასთან აკისრია მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება და ეს ზარალი არ შეიძლება ანაზღაურდეს მსჯავრდებულის ფასეულობისა და მისი კუთვნილი ქონების რეალიზაციით, აღმასრულებელი ფურცელი დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს შესაბამის შრომაგამასწორებთ დაწესებულებას გადასახდელი ვალის ნაშთისა და მოვალის ხელფასიდან პროცენტულ გამოსახულებაში დაქვითვის თანხის ოდენობის მითითებით. აღმასრულებელ ფურცელზე თანდართული წერილის ასლები უნდა გადაეგზავნოს სამოქალაქო მოსარჩელეს და იმ რაიონის სა-

ხალხო სასამართლოს, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს, ქონებრივი ნაწილში მუდმივი კონტროლის განხორციელებისათვის. თუ ეს სასამართლოსთვის ცნობილი არ არის, თანდართული წერილი აღმასრულებელ ფურცელთან ერთად უნდა გაეგზავნოს მას შრომაგამასწორებით დაწესებულების მეშვეობით.

იმ პირებიდან, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების, გაფლანგვისა და მითვისებისათვის, ზარალის ანაზღაურების დაქვითვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 50% ოდენობით იმ თანხიდან, რაც ვერიცხებათ მათ გასამრჯელოს სახით.

იმ პირებიდან, რომლებიც სასჯელს იხდიან გამასწორებელი სამუშაოს სახით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების, გაფლანგვისა და მითვისებისათვის ზარალის ანაზღაურების დაქვითვა ხდება ხელფასიდან 50% ოდენობით, იმ დაქვითვის მხედველობაში მიუღებლად, რაც დაუნიშნა სასამართლომ სასჯელის ღონისძიების სახით.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც ზარალის ანაზღაურება აკისრიათ სოლიდარულად რამდენიმე პირს, განაჩენის ან გადაწყვეტილების აღსრულება დაკისრებული თანხის გადახდევინებაზე უნდა მოხდეს თითოეული მოვალის მიმართ ცალკე სააღსრულებო წარმოებით. კრებსითი სააღსრულებო წარმოება სოლიდარულ მოვალეებზე წარმოებს განაჩენის (გადაწყვეტილების) გამოტანის სასამართლოში. სასამართლოებმა, რომლებსაც სისრულეში მოჰყავთ განაჩენი (გადაწყვეტილება) იმ პირების მიმართ, რომელთაც სოლიდარული პასუხისმგებლობა აკისრიათ, რეგულარულად უნდა აცნობონ გადასახდელი თანხის მონაცემებზე იმ სასამართლოს, რომელიც აწარმოებს კრებსით სააღსრულებო წარმოებას.

11. თუ მსჯავრდებულმა უნდა აანაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზარალი და მასვე სასჯელის დამატებით ღონისძიე-

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

ბად ქონების კონფისკაცია აქვს შეფარდებული, განაჩენის აღსრულების დროს საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული სსრკ უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის დადგენილების — „ქონების კონფისკაციის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-8 პუნქტში მოცემული განმარტება, რომლის ძალითაც მოვალის ქონების ანგარიშზე პირველ რიგში უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურება.

12. სამოქალაქო სარჩელის უშუალო უზრუნველყოფისათვის ზომების მისაღებად, სასამართლოებმა უნდა ისეღმძღვანელონ მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესებით. სარჩელის უზრუნველსაყოფად დაყადაღებული ქონების აღწერა უნდა შეიცავდეს აღწერილი ქონების ზუსტ დასახელებას, მის ინდივიდუალურ ნიშნებსა და თავისებურებას, აგრეთვე მათ შეფასებას.

შენობაზე ყადაღის დადების დროს საჭიროა ეცნობოს სანოტარო ორგანოებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივ აღმასკომებს.

იმ დრომდე, სანამ სასამართლო თავის წარმოებაში მიიღებს საქმეებს, დაყადაღებულ ქონების დაცვაზე ზედამხედველობას უნდა ახორციელებდეს სასამართლო სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით.

13. საოლქო (სამხარეო) სასამართლოებს, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს ევალება ორგანიზებული მუშაობის ჩატარება სასამართლოს აღმასრულებლების საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ამის გამო საჭიროა ჩატარდეს სასამართლოს აღმასრულებლებთან სემინარები სამართლისა და პროცესის საკითხებზე, სააღსრულებო წარმოების ცალკეულ კატეგორიებზე მუშაობის მეთოდოლოგიაზე. ამავე მიზნით მიზანშეწონილია ჩატარდეს იმ სასამართლოს აღ-

მასრულებელთა დადებითი გამოცდილების გაზიარება და გაგრძელება, რომელთაც თავიანთ მუშაობაში კარგ შედეგებს მიაღწიეს. პრაქტიკაში დაინერგოს ცალკეულ სასამართლოს აღმასრულებელთა დადებითი მუშაობის გაშუქება პრესაში.

მხედველობაშია რა მისაღები, რომ დანაშაულით მიყენებული ზარალის რეალური ანაზღაურება, დამოკიდებულია აგრეთვე აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის საქმეში მესამე პირთა სარჩელების დროულ და სწორ გადაწყვეტაზე, სასამართლოების ყურადღება მიექცეს აღნიშნულ საქმეთა განხილვის ხარისხის ამაღლების აუცილებლობას.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს სასამართლოებმა ზუსტად უნდა შეასრულონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილება „აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომლის შესაბამისად საჭიროა, კერძოდ, დადგინდეს ვის მიერ, როდის და რა საშუალებით არის შექმნილი სადავო ქონება. ამ მიზნით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების შემოწმების გარდა უნდა გამოიკვლიონ წარდგენილ სარჩელთან დამოკიდებული გარემოებანი, დადგენილი განაჩენით ან სისხლის სამართლის საქმის სხვა მასალებით.


ამ საქმეთა განხილვისას აუცილებელია მოპასუხის — დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობა, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში პროკურორის მონაწილეობაც.

15. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა მუდმივი კონტროლი დააწესონ სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობაზე და აღნიშნული დადგენილების შესრულებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გორბაჩივი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ბ. ეზანოვი

სწავლა და ზრუნვა



პროფ. თ. წერეთლის ნაშრომმა

„Причинная связь в уголовном праве“ რომელიც პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1957 წელს გამოსცა, ფართო გამოხმაურება ჰპოვა. მან მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში და საზღვარგარეთ ამ ნაშრომისადმი საგანგებოდ მიძღვნილ რეცენზიებში¹, კურსებსა და სახელმძღვანელოებში, აგრეთვე, მონოგრაფიებში სისხლის სამართლის ძირითად პრობლემებზე.

აღნიშნული ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოსკოვის იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ 1963 წელს იგი მეორედ გამოსცა, პირველ გამოცემასთან შედარებით რამდენადმე კაფართოებული და გადამუშავებული სახით.

ქართველი მეცნიერის ნაშრომის ამ ბოლო გამოცემის თაობაზე უნგრული

იურიდიული ჟურნალის „Allem. les Iogtudomány“ ფურცლებზე დაიბეჭდა უნგრელი კრიმინალისტიკის ანა ჰორვატის ვრცელი რეცენზია (გვ. გვ. 339—346). რეცენზიაში დაწვრილებით არის გადმოცემული თ. წერეთლის გამოკვლევაში განვითარებული ყველა დებულება. აცნობს რა უნგრელ მკითხველს ქართველი მეცნიერის ნაშრომის შინაარსს, რეცენზენტი, ამავე დროს, მიუთითებს ნაშრომის ძირითად ღირსებებზე. უპირველეს ყოვლისა, რეცენზენტი მიუთითებს გამოკვლევის საფუძვლიან სასიათზე და აზრის განვითარების ლოგიკურ თანმიმდევრობაზე. იგი ავტორის დიდ დამსახურებად თვლის იმასაც, რომ ნაშრომში მეცნიერული კეთილსინდისიერებით არის ნაჩვენები სისხლის სამართალში მიზეზობრივ კავშირზე არსებულ თეორიათა სხვადასხვა ფილოსოფიური ფესვები, დადგენილია მოცემულ თემასთან დაკავშირებული ცალკეული შეხედულებებისა და დებულებების თეორიული უსუსურობა (გვ. 346). ნაშრომის ამ ღირსებების წყალობით, ასკენის რეცენზენტი, თ. წერეთელი „სათანადო მეცნიერული ტაქტიით აღწევს მიზეზობრივი კავშირის პრობლემის ამომწურავ თეორიულ დამუშავებას, რაც მის წიგნს ხდის მეტად სასარგებლოს როგორც თეორიის, ისე პრაქტიკისათვის“ (გვ. 346). იმის გამო, რომ რეცენზია მოცულობით მეტად დიდია (შეადგენს ორ თამბახს) ჩვენს ჟურნალს შესაძლებლობა არა აქვს გამოაქვეყნოს ეს მეტად საყურადღებო და ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო რეცენზია. მკითხველებს ვთავაზობთ ამავე წიგნის მეორე გამოცემაზე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ვ. ნ. კუდრიავცევის რეცენზიას, რომელიც დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

¹ ჟურნალი „Правоведение, 1957 г., № 1, „Советское государство и право“, 1959 г., № 4, „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 4, „Staat und Recht“, 1959, № 4.



ფუნქციონალური ნაწარმი ეიზენშტაინის საკითხზე საპროტესტო სისხლის სამართალში¹

მიზეზობრივი კავშირის პრობლემა სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. სისხლის სამართალში კი ამ პრობლემის გადაჭრა არა მარტო ძნელია, არამედ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანასაც წარმოადგენს, რადგან მიზეზობრიობის ამა თუ იმ კონცეფციიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფარგლების შესახებ სხვადასხვა პრაქტიკული დასკვნები გამომდინარეობს, რაც არსებით გავლენას ახდენს სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტაზე.

პროფ. თ. წერეთლის წიგნი ფუნდამენტალური ნაწარმი მიზეზობრიობის საკითხებზე საბჭოთა სისხლის სამართალში. ავტორი დაწერილებით განიხილავს მიზეზობრივი კავშირის ისტორიასა და საკითხის საერთო მდგომარეობას სამართლის მეცნიერებაში, კრიტიკულ ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიულ თეორიებს მიზეზობრიობის შესახებ, ჩერდება მიზეზობრიობის თევისებურებებზე უმოქმედობის, დაუმთავრებელი დანაშაულისა და თანამონაწილეობის დროს. ნაწარმი ემყარება დიალექტიკური მატერიალისმის ძირითად დებულებებს მიზეზობრიობის, როგორც ბუნებისა და საზოგადოების საყოველთაო ურთიერთობის ფორმის შესახებ, აგრეთვე ფსიქოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების მონაცემებს. მასში უხვადაა გამოყენებული სასამართლო და საპროცედურული პრაქტიკა.

როგორც ცნობილია, დღემდე სამართალში მიზეზობრივი კავშირის საკითხებზე საბჭოთა კრიმინალისტიკასა და აგრეთვე ცივილისტებს შორის ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ამ უმოქმედებითი გამოკვლევის ავტორი დაწერილებით ანეითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს, რაც ჩვენი აზრით, მეტად დამაჯერებელია.

ამასთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ხაზი გავსვას იმაზე, რომ ამ თემზე კრიმინალისტიკის აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს უმთავრესად ერთი საკითხი წარმოადგენს: როგორია იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზეზობრივი კავშირის კრიტერიუმები. სხვა პიტივებით რომ ვთქვათ: საკმარისია თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის ყოველგვარი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის (სხვა თანაბარი პირობების არსებობისას),

და თუ არა — მაშინ, სახელდობრ, როგორი კავშირია საჭირო.


აუცილებლობა არ მოითხოვს ჩამოვვალთ წინამდებარე რეცენზიაში სხვადასხვა შეხედულებები და კონცეფციები — ისინი დაწვრილებითაა განხილული წიგნში (თავი მესამე, გვ. 129—161). მნიშვნელოვანია აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ამ საკითხზე არსებულ შეხედულებათა უმრავლესობა სოციალური კატეგორიებისაგან დამოუკიდებელი ფორმალური ნიშნის მიხედვით ცდილობს დაყოს მიზეზობრივი კავშირები იურიდიული (სისხლისსამართლებრივი) მნიშვნელობის მქონე და ასეთის არმქონე კავშირებად. მაგალითად, ა. პონტკოვსკი მიზეზობრივი კავშირის ყოფს აუცილებელ და შემთხვევით მიზეზობრივ კავშირად, თ. იოფე — შედეგის დადგომის კონკრეტული შესაძლებლობის და აბსტრაქტული შესაძლებლობის შემქმნელ მიზეზობრივ კავშირებად. პრაქტიკაში გვხვდება მიზეზობრივ კავშირთა დაყოფა „პირდაპირ“ და „შორეულ“ მიზეზობრივ კავშირებად და ა. შ.

სამწუხაროდ, ვერც ერთმა ამ ცდამ დღემდე ვერ მოგვცა საკითხის დადებითი გადაწყვეტა. როგორც წესი, იურისტთა კონცეფციები ამა თუ იმ ხარისხით ვერ პასუხობდნენ პრაქტიკას. ერთი შემთხვევისათვის მისაღები კრიტერიუმები არ შეესაბამებოდნენ სხვა რეალურ სიტუაციებს და, ამრიგად, შეუძლებელი იყო მათი ზოგად კრიტერიუმებად განხილვა.

პროფ. წერეთელი სულ სხვა საფუძველს ემყარება სისხლის სამართალში მიზეზობრიობის პრობლემის გადაწყვეტისას. მისი აზრით, ეს პრობლემა უპირველეს ყოვლისა სოციალური პრობლემაა. რასაკვირველია, მიზეზობრივი კავშირი არსებობს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის მოქმედება შედეგის დადგომის აუცილებელი პირობა იყო. „მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხები არ შეიძლება გადაწყდეს მარტოდენ მიზეზობრივი კავშირის საფუძველზე. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს, ატარებს თუ არა ეს მიზეზობრიობა საზოგადოებრივად საშიშ და ბრალულ ხასიათს“ (გვ. 193).

ამის შემდეგ ავტორი განასხვავებს ამ ორ ნიშანს. ბრალი — სუბიექტური კატეგორიაა და არ გამოდგება მიზეზობრიობის დახასიათებისათვის. რაც შეეხება ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, როგორც ობიექტურ კატეგორი-

¹ თ. ვ. წერეთელი, მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, 2-ე გამოცემა, გოსიურიზ-დატი, მ., 1963 წ. 380 გვ.



რის, იგი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ იმ ზოგად კრიტიკრიუმად, რომელიც მიჯნავს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარის და არასაკმარის მიზეზობრიობას (ობიექტური მონაცემების მიხედვით). ამრიგად, მიზეზობრიობის გადამწყვეტ დამახასიათებელ ნიშნად იქცევა მისი თავდაპირველი რგოლი — მოქმედება.

არ კმაყოფილებდა რა ამ დებულებებით, ავტორი ცდილობს დეტალური ანალიზი გაუკეთოს იმას, თუ რა განსაზღვრავს მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და ამასთან მიუთითებს სამ მომენტზე: 1) მოქმედების მიზანი (საზოგადოებრივად სასარგებლო ან საზიანო), 2) ხელყოფის ობიექტის სოციალური ღირებულება და 3) როლი, რომელიც შეასრულა ან შეეძლო შეესრულებია იდამიანის მოქმედებას დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში, ე. ი. შედეგის დადგომის ხელის შეწყობის ხარისხი ანუ პირის მიერ შექმნილი შესაძლებლობის ხარისხი შედეგის განხორციელებისა“ (გვ. 199).

ავტორის კონცეფციის მიხედვით აღნიშნული მომენტების სხვადასხვა თანაფარდობის გამო მაგნე შედეგის გამომწვევი ამა თუ იმ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხაც სხვადასხვა იქნება. ამიტომ დასკვნა იმის შესახებ, არის თუ არა საკმარისი მოცემული მიზეზობრივი კავშირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, არ შეიძლება ერთნაირი იყოს. „ეს საკითხი არ შეიძლება იმ პლანში გადაწყდეს, რომ მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენდა დამდგარი შედეგის უშუალო ან პირდაპირ, ან მთავარ და ა. შ. მიზეზს“ (გვ. 203). ყველაფერი დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ზემოაღნიშნულ სამ ძირითად მომენტს.

ასეთი დასკვნა ძირითადად სწორია, რასაკვირველია, იგი არ შეიძლება საკმარისად ჩავთვალოთ, რადგან მაშინვე წამოიჭრება შემდეგი ორი საკითხი: 1) როგორია საზოგადოებრივი საშიშროების ის მინიმალური ხარისხი, რომელიც ქმნის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და 2) თანაბარი მნიშვნელობისა ეს მოთხოვნები დანაშაულის ყველა სახისათვის, თუ მათ შორის არსებობს სპეციფიკა.

პირველ საკითხზე ავტორი ნათელ პასუხს იძლევა: „ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შესაძლო მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს პირის რეალური შესაძლებლობა, ზემოქმედება მოახდინოს მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე“ (გვ. 206). სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისათვის, რათა მიზეზობრიობა საკ-

მარის საფუძველად მივიჩნიოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, აუცილებელია, რომ პირის მიერ ჩადენილი მოქმედება: ა) საზოგადოებრივად საზიანო ან, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოებრივად არასასარგებლო მიზანს ისახავდეს, ბ) კანონით დაცულ ობიექტზე იყოს მიმართული და გ) შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას ქმნიდეს.

ავტორის ამ დებულებას ძირითადად შეიძლება დავეთანხმოთ. მაგრამ, ჩვენის აზრით, აუცილებელი იყო მისი შემდგომი დაკონკრეტება და დაწვრილებით განხილვა დანაშაულთა ცალკეული სახეების მიხედვით. მაგრამ ამ მეორე საკითხს, — მიზეზობრიობის სპეციფიკის შესახებ სხვადასხვა შემადგენლობებში — ავტორი არსებითად არ პასუხობს.

სასამართლო და საპროკურორო პრაქტიკა აღსატურებს იმას, რომ ქმედობის ხასიათის მიხედვით მიზეზობრივ კავშირს სხვადასხვა „მოთხოვნა“ წაეყენება. მაგალითად, არსებობს საკავშირო და რესპუბლიკური სასამართლო ორგანოების ბევრი გადაწყვეტილება, რომელშიც ხაზგასმითაა მითითებული, რომ პასუხისმგებლობა განზრახი და გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის დაკავშირებული უნდა იყოს „უშუალო“ მიზეზობრივ კავშირთან. ამ დანაშაულებში მიზეზობრიობის ჯაჭვის შუალობით რგოლებს არ შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, სხვა პირის მოქმედება (მათ შორის დოზარალებულისა).

პირიქით, ზოგიერთ დანაშაულში მიზეზობრივი კავშირი შეიძლება უფრო „შორეული ხასიათისა“ იყოს. მაგალითად, ტექნიკის უსაფრთხოების წესების დარღვევის დროს, აგრეთვე თანამდებობრივ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირი ხშირად მოიცავს ისეთ რგოლებს, როგორცაა სხვა პირების ქცევა, ბუნების ძალთა მოქმედება და ა. შ.

მონოგრაფიაში დაწვრილებით არის განხილული საკითხი ე. წ. „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის შესახებ“ (მე-4 თავის მე-4 პარაგრაფი). მე-2 გამოცემაში ეს ანალიზი გაცილებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ავტორის საწყის დებულებებთან საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, არაა გაანალიზებული „ჩართული ძალების“ თავისებურებებს საკითხი დანაშაულთა ცალკე შემადგენლობების მიმართ (და აგრეთვე განსაკუთრებული ნაწილის თავების მიმართ). ვფიქრობთ, რომ ასეთი ანალიზი წარმოადგენს მიზეზობრიობის პრობლემის შემდგომი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას.

შევხვით კიდევ ზოგიერთ იმ შენიშვნას, რომ

მელიც გამოთქმული იყო პროფ. თ. წერეთლის ნაშრომის პირველ გამოცემაზე.

ნაშრომის პირველი გამოცემის რეცენზიაში ჩვენ აღვნიშნავდით, რომ სუბიექტის მიზნის შეტანას მიზეზობრიობის დამახასიათებელ ფაქტორებში მივეყვართ ბრალისა და მიზეზობრიობის აღრევამდე!

მეორე გამოცემაში ავტორი არ იზიარებს ამ შენიშვნას (გვ. 198), მაგრამ არსებითად ახალი არგუმენტები არ მოპყავს. მაგალითები, რომლებიც მოტანილია იმის დასამტკიცებლად, რომ მიზანი გავლენას ახდენს მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროების არსებობასა და ხარისხზე (გვ. 196 და მომდ.), უკეთეს შემთხვევაში გვიჩვენებს მიზნის მნიშვნელობას მცდელობას სტადიაზე ან მია, როგორც დანაშაულის სუბიექტურა მხარის როლს.

მეორე გამოცემის ღირსებას წარმოადგენს ქმედობის მართლწინააღმდეგობის მნიშვნელობის უფრო ფართო გაშუქება იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაწყვეტისათვის. წიგნის პირველი გამოცემის რეცენზიაში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ავტორი ამ პრობლემის ერთგვარ შეუფასებლობას იჩენს. ამ გამოცემაში კი ეს ნაკლი გამოსწორებულია და საფუძვლიანად არის ნაჩვენები, რომ „პარის ქცევის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის საკითხის გადაწყვეტა ხშირად ხდება ქცევის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დადგენის გზით“ (გვ. 203 და მომდ.).

ჩვენი შეხედულებით, საკმარისად არ არის გათვალისწინებული შენიშვნები დანაშაულებრივი უმოქმედობის შესახებ. ველარ ვხვდებით

ზოგიერთ სადავო დებულებას, მაგრამ კვლავ რჩება მტკიცება, თითქოს განუცხადებლობისა და დახმარების აღმოუჩენლობისას არ არსებობს საზიანო შედეგი (გვ. 273). აქ, აწორია მხოლოდ ის, რომ ამ დანაშაულთა შემადგენლობები მიეკუთვნებიან „ფორმალურ“ შემადგენლობებს და ამიტომ არ მოითხოვენ მათზე შედეგების არსებობის დადგენას, და, მაშასადამე, არ მოიცავენ მიზეზობრივ კავშირს აუცილებელ ელემენტად.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. თ. წერეთლის მონოგრაფიის მეორე გამოცემა წარმოადგენს აბაჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ერთგვარ შეჯამებას მიზეზობრიობის საკითხებზე. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა მეცნიერულად ამოწურულია. პირიქით, ჩვენი შეხედულებით, მისი ნამდვილი დამუშავება მომავლის საქმეა. აქაც დიდი მნიშვნელობა ექნება ახლებურ მიდგომას ამ ძველი პრობლემისადმი, კერძოდ, თანამედროვე ფილოსოფიის, ლოგიკის, კიბერნეტიკის მონაცემების გამოყენებას.

შეიძლება ითქვას, რომ იურისტებმა სამართალში მიზეზობრიობის მრავალი წლის კვლევის შედეგად უკვე მთლიანად ამოწურეს „წმინდა“ სამართლებრივი არგუმენტაციის შესაძლებლობა. საჭიროა მიზეზობრიობის პრობლემის კვლევის მეთოდების განახლება და მისი ფარგლების გაფართოება მომიჯნავე მეცნიერების გაბედულად გამოყენების გზით.

3. კულრიაშვიდი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

საქართველოს მთიანეთში მთიულეთი ერთად-
 ერთი იყო, რომელსაც სამეფო ხელისუფლებამ
 ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში განვითარებული
 ფეოდალური საქართველოს სამართლისაგან გან-
 სხვავებული, ამ ჩამორჩენილი კუთხის პატრიარ-
 ქალური ყოფის ამსახველი პარტიკულარული
 „სჯული“ დაუდგინა. გიორგი ბრწყინვალის
 „ძეგლის დადებიდან“ დაახლოებით ოთხი საუ-
 კუნის გასვლის შემდეგ შედგენილი სამართლის
 წიგნი — „გაჩინება ბარისა და მთიურთა ად-
 გილთა“ — გაცილებით უფრო ვრცელ ტერი-
 ტორიაზე მოქმედებდა: იგი შედგენილი იყო
 მთელი არაგვის საუფლისწულოს (ყოფილი არა-
 გვის საერისთავოს) როგორც მთის, ასევე ბარის
 ადგილთა მოსახლეობისათვის. სამართლის ეს
 წიგნი საინტერესო ცნობებს შეიცავს საქარ-
 თველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური
 მდგომარეობის, ქართული ჩვეულებითი სამარ-
 თლისა და გვიანფეოდალური საქართველოს სა-
 მართლებრივი ინსტიტუტების შესასწავლად. თუ
 გაეთვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერეკ-
 ლე მეფის დროს საქართველოს მთელი სამეფო-
 სათვის სამართლის ახალი წიგნები არ შეუდგე-
 ნიათ, ცხადი გახდება ხსენებული ძეგლის მნიშ-
 ვნელობა არა მარტო მთიანეთის, არამედ
 მთლიანად ქართული სამართლის ისტორიის შე-
 სასწავლად.

დღემდე ჩვენ ჯერ კიდევ არ გავაჩნდა ნაშ-
 რომი, რომელიც სრულ წარმოდგენას შეგვიქ-
 მნიდა სამართლის ამ ძეგლზე და ქართველ
 მთიელთა მაშინდელ იურიდიულ მდგომარეობა-
 ზე. ამ ხარვეზს ავსებს ი. ფუტყარაძის ნაშრო-
 მი — „ქართველ მთიელთა სამართლის ისტო-
 რიისათვის“, რომელიც მიმდინარე წელს გა-
 მოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
 მიის გამომცემლობა „მეცნიერებათა“.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ ყუ-
 რადლებას აქცევს კომუნისტური პარტია და საბ-
 ჭოთა მთავრობა წარსულის მავნე გადმონაშთებ-
 თან ბრძოლას. საბჭოთა კავშირის კომუნისტუ-
 რი პარტიის ახალ პრაგმაში აღნიშნულია,
 რომ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგაც ად-
 მინათა შეგნებასა და ქცევაში რჩება წარსულის
 გადმონაშთები, რომლებიც აფერხებენ ჩვენი სა-
 ზოგადოების წინსვლას სრული კომუნისტური
 საზოგადოებისაკენ. პარტია ვადაჭრით სვამს სა-
 კითხს წარსულის მავნე შეხედულებათა და ზნე-
 ჩვეულებათა სრული დაძლევის შესახებ. ცნობ-
 ლია, რომ მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრე-

ლად წარმართული ბრძოლა (როგორც კულ-
 ტურულ-აღმშრდებლობითი მუშაობა, ისე რეპ-
 რესიული ღონისძიებები) მაშინ იძლევა სასურ-
 ველ შედეგს, თუ იგი წარმოებს ამ გადმონაშ-
 თების, აგრეთვე ადგილობრივი პირობებისა და
 თავისებურებების ღრმა მეცნიერული შესწავ-
 ლის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით სარეცენ-
 ზიო ნაშრომი თანამედროვე საბჭოთა სამარ-
 თლის აქტუალური საკითხების შესწავლისა და
 წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლის
 საქმესაც ემსახურება. ქართველ მთიელებში
 ძველად მოქმედმა და სარეცენზიო ნაშრომში
 შესწავლილმა ზოგიერთმა მავნე ჩვეულებამ და
 რელიგიურმა ცრურწმენამ ჩვენამდე მოაღწია;
 საბჭოთა ხელისუფლებამ ზოგიერთი ამ საზო-
 ვადოებრივად საშიში გადმონაშთის ძირფესვი-
 ნად ამოსაგდებად სასჯელის დაწესებაც კი ჩა-
 ვალა საჭიროდ. მაგალითისათვის დავასახელებთ
 სისხლის აღების ჩვეულებას. საქართველოს სსრ
 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის და-
 ნართი — „დებულება იმ დანაშაულთა შესახებ,
 რაც საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთს წარ-
 მოადგენს“, ცალკე მუხლებად გამოიყოფს სისხ-
 ლის აღების ჩვეულებით გამოწვეულ მკვლელო-
 ბას (მუხ. 1) და მოკლულის მშობელთა, ნათე-
 სავთა ან საგვარეულოს მიერ მკვლელისაგან, მი-
 სი მშობლებისაგან, ნათესავების ან საგვარეუ-
 ლოსაგან ქონებრივი საზღაურის მიღებას, რა-
 საც ეს უკანასკნელი გადაიხდინა შურისძიებ-
 ისა და კანონიერი დევნისაგან თავის დასახსნე-
 ლად (მუხ. 2). საქართველოს სსრ სისხლის სა-
 მართლის ამჟამად მოქმედ კოდექსი კი შურის-
 ძიების ჩვეულებით გამოწვეულ მკვლელობას
 დამამძიმებელ ვარემოებაში ჩადენილ დანაშაუ-
 ლად მიიჩნევს (მუხ. 104, პუნქტი 8). მაშასადა-
 მე, ამ და სხვა მსგავსი საკითხების შესაწვლას
 სადღეისო, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

სარეცენზიო შრომის ავტორი კარგად იცნობს
 საკვლევ თემასთან დაკავშირებულ როგორც გა-
 მოქვეყნებულ ლიტერატურასა და წყაროებს,
 ისე საარქივო მასალებს. იგი მის მიერვე სავე-
 ლე მუშაობის დროს მოპოვებულ ეთნოგრა-
 ფიულ მასალასაც იშველიებს. აღსანიშნავია,
 რომ ავტორი საკმაო ხანია სწავლობს ქართვე-
 ლი მთიელების სამართლებრივი მდგომარეობის
 საკითხებს.

სარეცენზიო ნაშრომის შესავალში მოცემუ-
 ლია საკვლევ თემასთან დაკავშირებული მეცნიე-
 რული ლიტერატურის მიმოხილვა, აგრეთვე სა-

1 ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, გამომცემლობა „მეც-
 ნიერება“, თბილისი, 1964 წ., გვ. 128, რედაქტორი ი. დოლიძე.

მართლის წიგნის ნუსხების შეფასება. ავტორის მიერ გამოვლენილი ახალი ნუსხები ტექსტურად და შინაარსობრივად განსხვავებული როგორც ერთმანეთისაგან, ისე იმ ერთადერთი ნუსხისაგანაც (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერი ანტიტიპი, ფონდი **Sd**, ხელნაწერი № 493), რომლის საფუძველზედაც იყო გამოცემული სამართლის წიგნი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ახლად მიკვლეული ნუსხები ასწორებენ **Sd** ფონდის № 493 ნუსხის ტექსტის საერთო სათაურსა და შინაარსს შორის არსებულ შეუსაბამობას (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), ნათელი გახდება ძველის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემის აუცილებლობა.

ნაშრომის I თავში დადგენილია არაგვის საუფლისწულოს მმართველების, მათ შორის, სამართლის წიგნის ავტორების ვინაობა და მმართველობის დრო. სამეფო ხელისუფლებამ ისარგებლა იმ დროის ერთ-ერთ უძლიერეს, განდგომილ პოლიტიკურ ერთეულში — არაგვის საფეოდალოში შექმნილი მდგომარეობით (არაგველების 1743 წლის აჯანყება და ბეჟან ერისთავის მკვლელობა), გააუქმა საერისთავო და საუფლისწულოდ აქცია იგი.

ნაშრომის II თავში განვიხილავთ ძველის სისტემას, გაკრიტიკებულია სამართლის წიგნის ავტორობის საკითხისა და სტრუქტურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, წარმოდგენილია ერთიანი საკანონმდებლო ძველის შექმნის ცალკეული ეტაპები. ავტორი აქვე ასწორებს **Sd** ფონდის № 493 ხელნაწერის შერყენილ ტექსტს. საქმე ისაა, რომ ძველი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან — არაგვის საუფლისწულოს მოსა და ბარში ცალკეულად მოქმედი კანონებისაგან. აღნიშნული ნუსხის მიხედვით კი ისე გამოდგება, რომ მთელი საკანონმდებლო ძველი არაგვის საუფლისწულოს მხოლოდ ბარის მოსახლეობისათვის იყო შედგენილი.

ნაშრომის III თავში დადგენილია კანონების მოქმედების დრო და ტერიტორია.

ნარკვევის IV თავი მიძღვნილია სამართლის წიგნის შინაარსის ანალიზისადმი. სარეცენზიო ნაშრომის ამ თავში გაშუქებულია საკითხები სამართალწარმოების, რელიგიური და საქორწინო წეს-ჩვეულებების, საადგილმამულო ურთიერთობებისა და სოფლის თემის შესახებ. ამ საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ავტორი არკვევს კანონთა შედგენის მიზეზებსა და წყაროებს, გვიხატავს გამწვავებულ კლასობრივ

ურთიერთობათა მკვეთრ სურათს და აჩვენებს მართლის წიგნის საფუძვლიანი ანალიზის ნათლად ჩანს, რომ ამ ძველს დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად საქართველოს სამართლის ისტორიისთვისაც: კანონმდებელი ცდილობდა ხელი შეეწყო ფეოდალიზმის დამკვიდრება-განმტკიცებებისათვის და აღმოეფხვრა ან თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად გარდაეკმნა თემურ-გვაროვნული საზოგადოების ისეთი გადმონაშთები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ გაბატონებული კლასის ინტერესებს; მთიანეთისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან ერთად ძველში განვითარებული ქართული ფეოდალური სამართლის ინსტიტუტებიცაა ასახული.

სარეცენზიო ნაშრომს მნიშვნელობა აქვს საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონის გასარკვევადაც. სამართლის წიგნი ძირითადად სწორად ასახავს საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. გვიხსენით კ. მარქსის ცნობილი დებულება: „კანონმდებლობა, როგორც პოლიტიკური ისე სამოქალაქო, მხოლოდ გამოსთქვამს, ოქმში შეიტანს ეკონომიურ ურთიერთობათა სურვილს“¹. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ სამართლის წიგნში ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობებია ასახული, რომ მასში შეტანილია ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან შესაბამისი თემური საზოგადოებრივი წყობილების ინსტიტუტებიც. სამართლის წიგნისა და მთიანეთის სინამდვილის ამსახველი დოკუმენტური მასალის ავტორისეული ანალიზი აშკარად ადასტურებს ასეთი დასკვნის სისწორეს. სარეცენზიო ნაშრომი საქართველოს მთიანეთში „მარადი გვაროვნული წყობილების“² არსებობის თეორიის მცდელობის კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა. ზემოაღნიშნული, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გავათანაბროთ საქართველოს მთა და ბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფეოდალიზმის პირობებში ყმური მდგომარეობის „ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს...“² სწორედ ამგვარადაც დასმულია და გადაწყვეტილი ავტორის მიერ მთიელების საზოგადოებრივი ეკონომიკური ყოფის სხვადასხვა საკითხები.

სარეცენზიო ნაშრომში წარმოდგენილია სამართლის წიგნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, რომელიც დადგენილია ყველა არსებული ნუსხის სათანადოდ შესწავლის საფუძველზე.

1 კ. მარქსი, ფილოსოფიის სილატაკე, თბ., 1938, გვ. 77.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გამოც. IV, გვ. 208.

ტექსტს ერთვის ძველის ტერმინთა, პირთა, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია (გვ. 120-126).

ასე წარმოგვიდგება ზოგად საზეზში ი. ფუტყარაძის საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი. სარეცენზიო წიგნი სწორი, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზეა აგებული. წიგნი გამართული ენითაა დაწერილი. მას ინტერესით გაეცნობიან როგორც სამართლის ისტორიკოსები, ისე სხვა დარგის სპეციალისტები, მკითხველთა ფართო წრეები.

ჩვენი შენიშვნები, რომლებიც წიგნის არაარსებით ნაკლოვანებებზე მიუთითებს, შემდეგია:

1. ავტორს მეტი ყურადღება უნდა დაეთმო ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი წყობილების რაობისათვის. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დაღების“ და XVIII საუკუნის „განჩინების“ შედარებით-ისტორიული შესწავლის გზით, ვფიქრობთ, შესაძლებელი იყო იმის საკმაოდ დამაჯერებელი სურათის მოცემა, თუ რა სოციალური პროგრესი განიცადა ოთხი საუკუნის განმავლობაში მთიელთა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა წყობილებამ. საჭირო იყო პასუხის გაცემა კითხვაზე: რა ისტორიული სიმაღლეა ასახული გიორგი ბრწყინვალის სახელით შედგენილ სამართლის წიგნში და რა „ბარისა და მთიურთა ადგილთა განჩინებაში“. ამ საკითხის გარკვევა გავვიადვილებდა პასუხის გაცემას კითხვაზე, თუ მთიელთა საზოგადოებაში გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაში როგორ აისახა ის დინამიკის პროცესი, რომელზედაც სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ლაპარაკობს ბარის საქართველოში.

2. ავტორი იმოწმებს მეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ „თავისი ხასიათის სისრულით ყიდვა-

გაყიდვის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრება ქართულ სამართალში რომის საკუთრებას უფლებას მოგვავიწყებს“ (გვ. 79). ამავე დროს ავტორს მოაქვს ადგილი ვახტანგ VI სამართლის წიგნიდან, რომლის მიხედვითაც „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას, — მამული, სოფელი, საქონელი თუ პირტყვი, — დიად ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის“ (მუხლი 160). „ბატონი“ ვახტანგის სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილ მუხლში მეფეს ნიშნავს. მეფეს აქვს უფლება მოშალოს ნასყიდობაც კი. ჩვენი აზრით, „ნასყიდობა“ კლასიკური ეპოქის რომში არსებულ საკუთრების უფლებას კი არ მოგვავიწყებს, არამედ აღმოსავლეთში არსებულ ე. წ. პრეკარულ ნასყიდობას, რომელზე ხელის ამართვაც მეფეს ყოველთვის შეეძლო.

3. ავტორი ხშირად სარგებლობს რუსული ენის მეშვეობით შემოსული ტერმინით „ყიდვა-გაყიდვა“. აჯობებდა, რა თქმა უნდა, „ნასყიდობა“. ეს უკანასკნელი დიდი ხანია — ათასზე მეტი წელია, რაც დამკვიდრებულია ქართულ ენაში და ქართულ იურიდიულ პრაქტიკაში.

4. საჭირო იყო ტერმინთა საძიებლის გვერდით ავტორს ნაშრომისათვის ლექსიკონიც დაერთო და არასპეციალისტი მკითხველისათვის განმარტა ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორცაა მუნასიბი, სანუქფო, სახასო, რიგი და სხვა.

ჩვენი შენიშვნები არ ამცირებენ ი. ფუტყარაძის ორიგინალური მეცნიერული ნაშრომის ღირებულებას. იგი ქართული იურიდიული და ისტორიული მეცნიერებისათვის კარგ შენაძინად უნდა ჩაითვალოს.

3. ნაღარმიჯილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1. ქსოვილის ტომრების დროზე დაუბრუნებლობისათვის ჯარიმის თანხის ჩამოწერის გაპროტესტების ათდღიანი ვადის დარღვევა უფლებას არ უქარგავს მყიდველს შეედავოს ძიებითი წესით ჯარიმის შეფარდების სისწორეზე

„საქბაკალეის“ შექრით საბითუმო ვაჭრობის ბაზამ 1963 წლის 7 მარტს ჩამოაწერა კვიისის ტყეის მალაროების სასურსათო მომარაგებას სანოტარო წარწერის წესით ჯარიმა ქსოვილის ტომრების დროზე დაუბრუნებლობისათვის. მყიდველმა ჩათვალა ასეთი დაჯარიმება არასწორად და აღძრა სახელმწიფო არბიტრაჟში სარჩელი ჯარიმის გადახდის თანხის უკან ამოღების შესახებ. სარჩელი დაკმაყოფილებული იქნა. „საქბაკალეის“ შექრით საბითუმო ვაჭრობის ბაზამ გაასაჩივრა არბიტრის გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით. საჩივარში მიმწოდებელი მიუთითებდა, რომ ქსოვილის ტომრების გამოყენების წესის ინსტრუქციის 35-ე მუხლით დადგენილია, რომ პრეტენზია ჯარიმის არასწორად გადახდევინების შესახებ შეიძლება აღიძრას მის (მყიდველის) ანგარიშზე ჯარიმის მოხდენიდან არა უგვიანეს 10 დღეში. ამ ვადის დაუცველობით მყიდველი კარგავს ზემოთ აღნიშნული ჯარიმის ამოღების უფლებას. მოცემულ შემთხვევაში ჯარიმის თანხა ჩამოწერილი იყო 1963 წლის 7 მარტს, ხოლო ძიება აღძრულია 27 აპრილს, რის გამოც მისი დაკმაყოფილება არბიტრის მიერ არ იყო სწორი.

ზედამხედველობის წესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. მომჩივანს განეშარტა, რომ მას არასწორად ესმის ინსტრუქცია ქსოვილის ტომრების გამოყენების წესის შესახებ, ვინაიდან ნაჩვენები 35-ე მუხლი ითვალისწინებს მყიდველის უფლებას გადახდევინოს მიმწოდებელს ჯარიმა უდავო წესით ჯარიმის თანხის არასწორი გადახდევინებისათვის მთელი არასწორად გადახდევინებული თანხის 1 პროცენტი დღეში, ანგარიშსწორების ანგარიშიდან საჯარიმო თანხის მოხსნის დღიდან მყიდველის ანგარიშსწორების ანგარიშზე მათ დაბრუნებამდე, მაგრამ გადახდევინებული ჯარიმის თანხიდან არა უმეტეს 25 პროცენტისა. მყიდველის მხრივ პრეტენზია ჯარიმის არასწორად გადახდევინების შესახებ შეიძლება აღიძრას მის ანგარიშზე ჯარიმის მოხსნიდან არა უგვიანეს 10 დღეში. ამ ვადის დაუცველობის შემთხვევაში მყიდველი უფლებას კარგავს ზემოთ აღნიშნული ჯარიმის ამოღებაზე. მოცემულ დავაში მყიდველი არც ეძიებდა რაიმე ჯარიმის მიმწოდებლისგან, არამედ ითხოვდა მხოლოდ მისგან ჩამოწერილი თანხის დაბრუნებას, რაც საესებით სწორი იყო ამავე ინსტრუქციის 34-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად ძიება ნოტარიალური წარწერით ჯარიმის უკან ამოღების შესახებ განიხილება არბიტრაჟის ორგანოებში.

2. კომერციულ აქტში შეტანილი მითითება, რომ ტვირთის დაკლებული ნაწილი ყუთებში ვერ ჩაეტეოდა, არ არის თავისთავად საკმარისი ტვირთის დანაკლისისათვის პასუხისმგებლობიდან რკინიგზის ვათავისუფლებისათვის

აიკოაბის უნივერსალურმა ბაზამ აღძრა სახელმწიფო არბიტრაჟში სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და „ცენტროსოიუზის“ საგარეო ვაჭრობის სამმართველოს მიმართ ტვირთის დახაკლისის თანხის ანაზღაურებაზე. კომერციულ და ვადმოტორთვის საკომისიო წესით შედგენილ აქტში აღნიშნული იყო, რომ მიღებული ყუთები იყო დანჯღრეული, ეტყობოდა ლურსმნით დაჭედების ნიშნები, ხოლო სამ ყუთში აღმოჩნდა დანაკლისი. ზარალის თანხა არბიტრმა დააკისრა ამიერკავკასიის რკინიგზას. ზედამხედველობის წესით შემოტანილ საჩივარში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო უთითებდა, რომ კომერციული აქტის თანახმად, იმ სამი ყუთიდან, რომლებშიც აღმოჩნდა დანაკლისი, მხოლოდ ერთის შესახებ არის ნაჩვენები, რომ სამართებლის პირების დაკლებული ნაწილი მასში მოთავსდებოდა, ხოლო დანარჩენ ორზე ნათქვამია, რომ დაკლებული ტვირთი ყუთებში ვერ ჩაეტეოდა. ზედამხედველობის წესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიეთითა, რომ დანიშნულების სადგურზე ყუთები მოვიდა არაწესიერ მდგომარეობაში. გავზავნის სადგურს არ უნდა მიეღო გადასაზიდად ტვირთი იმ სახით, როგორც იგი აღმოჩნდა დანიშნულების სადგურზე ან უნდა სათანადო წარწერა მოეზდინა რკინიგზის ზედდებულში. ვინაიდან ასეთი წარწერა

არ არის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გადასაზიდად ჩაბარების მომენტში ტვირთის ტარა—კუთები იყო წესიერ მდგომარეობაში და, მისაღებზე, არ არის გამოჩენილი, რომ გადაზიდვის დროს ადგილი ჰქონდა ტვირთის ხელის ხლებას, რისთვისაც პასუხისმგებელია გადაზიდველი, მოცემულ შემთხვევაში — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო.

3. ჯარიმა არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის უნდა გადახდეს მიმწოდებელს სრული თანხით

„კომპოსიტორის“ ტაშკენტის ბაზამ აღძრა სახელმწიფო არბიტრაჟში ძიება თბილისის „კულტსაგალანტერიო“ ნაწარმის ფაბრიკისაგან 8.635 მანეთისა და 53 კაპიკის გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა არასათანადო ხარისხის სამკერვალო ნაწარმის ღირებულებას და არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის ჯარიმის თანხებს.

არბიტრმა იცნო დადასტურებულად არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდების ფაქტი თბილისის „კულტსაგალანტერიო“ ნაწარმის ფაბრიკის მხრივ. ამავე დროს, არბიტრმა აღნიშნა, რომ თვით მაძიებელმა უხეშად დაარღვია მიღებული საქონლის ხარისხის შემოწმების დადგენილი ვადები, შეადგინა რა აქტი საქონლის არასათანადო ხარისხის შესახებ მისი მიღების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, რისთვისაც დაკმაყოფილა სარჩელი საქონლის ძირითადი ღირებულების ნაწილში და, გარდა ამისა, მოპასუხეს გადახდევინა კუთვნილი ჯარიმის თანხის 70 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სახელმწიფო არბიტრის ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეიცვალა. არბიტრის გადაწყვეტილების შინაარსის მიხედვით არასათანადო ხარისხის საქონლის მიმწოდებელი ნაწილობრივად — 30 პროცენტით გათავისუფლდა კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან, რაც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის № 70-ე ინსტრუქციის 27-ე მუხლს, რომლის თანახმად, ჯარიმა უდავო საწარმოო დეფექტებით საქონლის მიწოდებისათვის უნდა გადახდეს მიმწოდებელს სრული თანხით, ხოლო მყიდველის მხრივ საქონლის არასათანადო ხარისხის დადგენის წესების ან ვადების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის 75 პროცენტამდე შეიძლება მიქცეულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აქედან გამომდინარე, არბიტრის მიერ დაკლებული ჯარიმის 30 პროცენტი ზედამხედველობის წესის დადგენილებით დამატებით გადახდა მიმწოდებელს მყიდველის სასარგებლოდ.

4. მოპასუხის შეგვებითი პრეტენზია შეიძლება ჩათვლიდეს იქნას მისჯილ თანხაში, მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთი ვაფორმებულია შეგვებითი სარჩელის სახით

ბათუმის შემფუთავმა ქარხანამ სამი ანგარიშით მიაწოდა „რუსთავეაკრობას“ ციტრუსები. „რუსთავეაკრობამ“ მოახდინა ანგარიშების ნაწილობრივი აქცეპტი, რის შედეგად სახელმწიფო არბიტრაჟში აღძრა სარჩელი დაკლებული თანხის გადახდევინებაზე. ძიების საწინააღმდეგოდ მოპასუხემ წარადგინა განმარტება და სხვადასხვა საბუთები, რომლებითაც ამტკიცებდა, რომ მიღებული ციტრუსების ნაწილი აღმოჩნდა დამპალი და, გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა რაოდენობრივ დანაკლისს, რაც მისი ვანგარიშებით უდრიდა სადავო ანგარიშების თანხის გადაუხდელ ნაწილს. საქმის გარჩევის პროცესში არბიტრმა იცნო, რომ მიმწოდებელმა უსაფუძვლოდ შეიტანა ანგარიშებში დარიცხვა ხარისხიანობაზე, რაც მას არ ეკუთვნოდა; ამასთან ერთად საბოლოოდ არბიტრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ორი ანგარიშით ბათუმის შემფუთავი ქარხანა პირიქით დავალიანებულია „რუსთავეაკრობის“ წინაშე, ხოლო ერთი ანგარიშით კი ძიება ნაწილობრივად დასაკმაყოფილებელია. ვინაიდან „რუსთავეაკრობას“ შეგვებითი სარჩელი არ აღუძრავს ძიება დაკმაყოფილებული იქნა ნაწილობრივად. „რუსთავეაკრობამ“ გასაჩივრა ეს გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით. საჩივარში მოითხოვა მაძიებლის სასარგებლოდ მიკუთვნებულ თანხაში იმ თანხების ჩათვლა, რაც თვით არბიტრმა იცნო დადასტურებულად მის ე. ი. „რუსთავეაკრობის“ კუთვნილად. ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ, ხოლო „რუსთავეაკრობას“ მიეთითა, რომ რამდენადაც მან არ აღძრა შეგვებითი სარჩელი მის კუთვნილ თანხებზე, არბიტრს არ შეეძლო მოეხდინა არავითარი ჩათვლა ურთიერთანგარიშებში, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ანგარიშსწორების დადგენილ წესს. „რუსთავეაკრობას“ განემარტა, რომ მას აქვს უფლება ამოიღოს თავისი კუთვნილი თანხა დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრის გზით.

5. არბიტრის მიერ ექსპერტიზის აქტი უნდა შეფასებული იქნეს ყველაზე უფრო ხელის მოწინააღმდეგეების მხედველობაში მიღებით

ერთ-ერთმა ორგანიზაციამ აღძრა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, „როს-ბაკალეის“ კრასნოდარის კანტორისა და ადიგენის შაქრის ქარხნის მიმართ. დავის ერთ-ერთი ნაწილი ეხებოდა შაქრის ტომრების კატეგორიის არასწორ განსაზღვრას, რის დასამტკიცებლად წარმოდგინილი იყო სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს აქტი. საქმის გარჩევის პროცესში საქონლის მწარმოებელი — ადიგენის შაქრის ქარხანა შეედავა ექსპერტის დასკვნას სადავო ტომრების ფაქტიური კატეგორიის ნაწილში, უთითებდა, რა რომ კატეგორიის განსაზღვრა მოხდენილია ექსპერტის მიერ არასწორი მეთოდით. სახელმწიფო არბიტრმა უარყო ადიგენის შაქრის ქარხნის განმარტება და ძიება დააკმაყოფილა. არბიტრი თავის გადაწყვეტილებაში ეყრდნობოდა იმას, რომ თუ შაქრის მიწოდებელი არ ეთანხმებოდა ექსპერტის დასკვნას, მას უნდა გაესაჩივრებინა ასეთი დადგენილი წესით, რაც მან თავის დროზე არ მოახდინა. ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივრის განხილვის დროს დადგინდა, რომ ექსპერტმა, სადავო პერიოდში მოქმედი ქსოვილის ტომრების გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ, მიაკუთვნა ტომრები V კატეგორიის მათი დასველების და დალაქიანების მიზნით, მაშინ, როდესაც ზემოთ ნაჩვენები ინსტრუქციით დადგენილი იყო, რომ ტომრების კატეგორია განისაზღვრება არსებული ან საქონლს საკერებლის რაოდენობით. ამგვარად, ექსპერტის დასკვნა არ იყო სწორი, რამდენადაც ეწინააღმდეგებოდა ნორმატიულ აქტს და ამიტომ არბიტრი არ უნდა დაყრდნობოდა, მას თავის გადაწყვეტილებაში. სახარბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილება.

6. სადავო საქონელზე ფასების შემდგომი შეცვლის შემთხვევაში ანგარიშსწორება მხარეებს შორის მოხდენილი უნდა იქნეს არსებული ფასების მიხედვით.

ამიერკავკასიის სავაჭრო შემსყიდველმა ბაზამ მიიღო რკინიგზით, თავისივე სისტემის ცენტრალური ბაზისაგან, სხვადასხვა ავეჯი და საკერავი მანქანები. დანიშნულების სადგურზე ტვირთის მიღების დროს აღმოჩნდა, რომ თექვსმეტი საკერავი მანქანა დაზიანებულია; ამასთან დაკავშირებით აღძრა სარჩელი მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ძიების საწინააღმდეგოდ წარმოდგენილ განმარტებაში საქონლის გამომგზავნი ცენტრალური ბაზა აცხადებდა, რომ ტვირთის დაზიანება მოხდა თვით ნაწარმის მომეტებული მტრეველობის გამო და მიუთითა მასზე, რომ საქონლის მიწოდების შემდეგ სადავო საკერავი მანქანების ფასმა დაიკლო, ხოლო ძიებითი თანხა გაანგარიშებულია ანგარიშის განაღდების მომენტში მოქმედი ფასებით, რაც იძლეოდა 303 მანეთისა და 77 კაპიკის სხვაობას. არბიტრმა მოპასუხის ეს განმარტება არ გაიზიარა და ძიება სრულად დააკმაყოფილა. ზედამხედველობის წესით საჩივრის განხილვის შედეგად არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიცვალა, ვინაიდან საქმის მასალებით დადგინდა, რომ სადავო საქონელი მიწოდებული და განაღდებული იყო 1962 წლის აგვისტოს თვეში, ფასი შეიცვალა 1963 წლის 15 იანვრიდან, ხოლო ძიება აღძრა 1963 წლის 14 თებერვალს, ვინაიდან საქონლის გადაფასება და ანგარიშსწორება ბიუჯეტიდან უნდა მოეხდინა მაძიებელს, ძიებითი თანხა უნდა ყოფილიყო გაანგარიშებული ახლად დაშტატებული, დაკლებული ფასებით. აქედან გამომდინარე ძიების სათანადო ნაწილში მაძიებელს ეთქვა უარი.

7. განრიგი, პროდუქციის მიწოდებაზე, ითვლება შესასრულებლად მიღებულად თუ დაინტერესებული მხარე განრიგის მიღებიდან ათი დღის ვადაში არ განაცხადებს უთანხმოებას დაშვებულ განრიგთან.

ტამბოვის აზბესტის და რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხანამ აღძრა სარჩელი თბილისის ელშავალმშენებელი ქარხნისაგან 8.410 მანეთის გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა 1962 წლის დეკემბრის თვეში მიწოდებული რეზინის ტექნიკური ნაწარმის ღირებულებას, რომლის განაღდებაზე მოპასუხემ განაცხადა უარი შეკვეთის არ არსებობის მოტივით. არბიტრაჟში საქმის გარჩევის დროს მოპასუხემ განაცხადა, რომ მაძიებლის მიერ მიწოდებული რეზინის ნაწარმი მისი წარმოებისათვის უვარგისია, რის შესახებ მან თავის დროზე აცნობა მაძიებელს. არბიტრმა გაიზიარა მოპასუხის განმარტება და მაძიებელს ძიებაში უთხრა უარი.

ზედამხედველობის წესით შემოტანილ საჩივარში ტამბოვის ქარხანა აცხადებდა, რომ არბიტრის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს № 648 დადგენილებას, რომლის თანახმად სათანადო ორგანოს მიერ დაშვებული განრიგი პროდუქციის მიწოდებაზე სა-

ვალდებულთა მზარეებისათვის ხელშეკრულების გარეშე, ხოლო სადავო მიწოდება მოხდენილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს მიერ ტელეგრაფით დაშვებული განრიგის საფუძველზე.

ზედამხედველობის წესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ, ხოლო მომჩივანს განემარტა, რომ მომარაგება-გასაღების სამმართველოს დეპეშა, რომელსაც ეყრდნობა მაძიებელი, გამოგზავნილი იყო 1962 წლის 11 დეკემბერს. 18 დეკემბერს ე. ი. შვიდი დღის შემდეგ, თბილისის ელმავალშენებელმა ქარხანამ დეპეშით აცნობა საქონლის გამოგზავნას, რომ იგი უარს აცხადებს გამოყოფილი პროდუქციის მღებზე მისთვის გამოუსადეგობის გამო. 19 დეკემბერს კი თვით განრიგის დამშვებმა — მომარაგება-გასაღების მთავარმა სამმართველომ აცნობა მაძიებელს წინათ დაშვებული განრიგის გაუქმების შესახებ. ამგვარად, განრიგის დაშვებიდან ათდღიანი ვადის ფარგლებში საკითხი სავსებით გარკვეული იყო, მაძიებელმა კი გამოგზავნა პროდუქცია 18 დეკემბერს, რის საფუძველიც მას არ ჰქონდა, ვინაიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს № 648 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, განრიგი ითვლება შესასრულებლად მიღებულად, თუ დაინტერესებული მხარე ათი დღის ვადაში მისი მიღების დღიდან არ განაცხადებს უთანხმოების დაშვებულ განრიგთან. მაშასადამე, რამდენადაც ტამბოვის ქარხანამ არ დაიცვა ეს ათდღიანი ვადა, მისი მოთხოვნა მიწოდებული პროდუქციის ღირებულების განაღების შესახებ უსაფუძველოა.

8. მიღებული ლითონის დანაკლისზე შედგენილ აქტში შეტანილი იქნა ისეთი მონაცემები, რომლებიც არ იყო ცნობილი აქტის შედგენის მომენტში

აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების სამმართველომ აღძრა ძიება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიმართ ამ უკანასკნელისაგან მიღებული ალუმინის დანაკლისის ღირებულების განაღდებაზე. სარჩელის დასამტკიცებლად წარმოდგენილი იყო აქტი 1962 წლის 27 ნოემბრით დათარიღებული, რაც ემთხვეოდა საქონლის რკინიგზიდან მიღების თარიღს, ხოლო ამავე აქტში შეტანილი იყო მიმწოდებლის ანგარიშის ნომერი და თარიღი 29 ნოემბერი, ე. ი. ანგარიში გამოწერილი იქნა თბილისში ორი დღით გვიან, ვიდრე შედგენილ იყო აქტი. ამის გამო, მაძიებელს ძიებაზე უარი ეთქვა.

მაძიებელმა შემოიტანა ზედწესით საჩივარი, რომელშიც უთითებდა, რომ აქტი შედგენილი იყო თავის დროზე, ხოლო მიმწოდებლის ანგარიშის ნომერი და თარიღი ჩამატებულია უფრო გვიან იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო საქონლის რაოდენობრივად მიღების ინსტრუქციის შესახებ მოთხოვნა.

ზედწესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ, ხოლო მაძიებელს განემარტა, რომ აქტი დგება მოცემულ მომენტში ამა თუ იმ ფაქტიური მდგომარეობის ფიქსაციისათვის და, ამიტომ არავითარი შემდგომი ჩანაწერი მასში არ უნდა იქნეს შეტანილი. ის განმარტება, რომელიც წარმოადგინა მაძიებელმა მასზედ, თუ რატომ აღმოაჩნდა 27 ნოემბრის აქტში შეტანილი ისეთი ცნობები, რომლებიც აქტის შემდგენისათვის არ იყო ცნობილი, არამცთუ ამაგრებს, არამედ სრულიად უკარგავს ამ აქტს დამამტკიცებელი საბუთის ძალას. ამის გამო საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

სასამართლო პრაქტიკა

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. როცა ორივე მხარე არ უარყოფს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს და ქორწინების მოწმობის არქივი მოსპობილია სასამართლომ განქორწინების საქმე უნდა განიხილოს

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 15 ივლისის დადგენილებით საქმე ივანე ეფიშვილის ძე სერგიენკოს სარჩელისა გამო ევდოკია ქსენოფანტეს ასული სერგიენკოსთან განქორწინების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ წარმოებით შეწყვიტა.

ამავე დადგენილებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 9 მაისის სამსჯავრო სხდომის დადგენილება საქმის წარმოებით დამთავრების შესახებ და საქმე დაუბრუნდა იმავე სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შევიდა პროტესტით და მოითხოვა უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის აღნიშნული დადგენილების გაუქმება, საქმის იმავე

კოლეგიის სხვა შემადგენლობაზე გადაცემა არსებითი განხილვისათვის.

სახალხო სასამართლოში საქმის დაბრუნებას საფუძვლად დაედო მხოლოდ ის გარემოება, რომ მხარეებს არ წარმოუდგენიათ ქორწინების მოწმობა, მაგრამ როგორც საქმეში დართული ცნობიდან ჩანს მხარეების ქორწინების არქივი შენახული არ არის, განადგურდა სამამულო ომში. ასეთ პირობებში, იმ დროს როცა ორივე მხარე არ უარყოფს, რომ ისინი გატარებული იყვნენ ქორწინების რეგისტრაციაში, უმაღლესი სასამართლო კოლეგიას საქმე არსებითად უნდა განეხილა.

პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 15 ივლისის დადგენილება მოცემულ საქმეზე გაუქმდა და საქმე არსებითად განხილვისათვის გადაეცა იმავე კოლეგიის მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას.

2. მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება მოხდეს მხოლოდ შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის საფუძველზე

თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს. ი. შულცის უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენის სარჩელზე.

ს. ი. შულცი მუშაობდა თბილისის კალინინის სახელობის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში კოსმეტოლოგად. 1962 წლის 25 ივლისს გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან აკრძალული და უფაქტურო ქიმიკატების სამსახურში მიტანისათვის. ს. შულცმა სარჩელით მიმართა სახალხო სასამართლოს და მოითხოვა სამსახურში აღდგენა. შულცის სამსახურიდან გათავისუფლებას თაობაზე არსებობდა ადგილკომის დასკვნა.


საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე დატოვებული იქნა ძალაში.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე პროტესტით შევიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა როგორც სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების, ისე უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინების გაუქმება და საქმის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

პროტესტში მითითებული იყო, რომ ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების გაუქმებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქმის განხილვისას სასამართლომ მიერ გამოკვეთილი არ არის ძირითადი საკითხი — სახელდობრ, რომელი კანონის საფუძველზე გამოიცა ბრძანება შულცის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ.

საქმის მასალების მიხედვით მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლებას საფუძველად დაედო



ის ვარემოება, რომ სათანადო კომისიის მიერ შემოწმების დროს ს. შულცს აღმოაჩნდა 400 გრამი პრეპარატი და 7 კოლოფი, მაგრამ რა იყო ამ კოლოფებში საქმიდან არ ჩანს. ზემოხსენებულმა კომისიამ კი გამოიტანა დასკვნა, თითქოს შულცი მუშაობის დროს იყენებდა აკრძალულ ქიმიკატებს. აკრძალული ქიმიკატების გამოყენების შემთხვევაში ადმინისტრაციის უფლება ჰქონდა შრომის შეწყვეტის კოდექსის 41 მუხლის 8-ე პუნქტის შესაბამისად გაეთავისუფლებინა შულცი სამუშაოდან, მაგრამ ფაქტიურად ეს ვარემოება საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

საქმეში არ არის მასალა, მოსარჩელისათვის აღმოჩენილი პრეპარატების ქიმიური ანალიზის შესახებ და არაფრით არ არის უარყოფილი შულცის მტკიცება იმის შესახებ, რომ აღმოჩენილი კრემი 400 გრამის რაოდენობით მოსარჩელემ მიიღო საწყობიდან, 7 ცალი ცარიელი კოლოფის შესახებ კი მან განმარტა, რომ მათ იყენებდა გასაცემ ქიმიკატებისა და მედიკამენტების შენაერთების დასამზადებლად.

ს. შულცმა თავისი განცხადების დასამტკიცებლად წარმოადგინა უწყისები 1962 წლის იანვარ-თებერვალში საწყობიდან გაცემული კრემებისა და მედიკამენტების შესახებ, აგრეთვე კომბინატის დირექტორის ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ 1962 წლის 9 მაისს, ე. ი. შემოწმების მომენტიდან რამდენიმე ხნით ადრე, შულცს საწყობიდან მიღებული ჰქონდა საკმაო რა-

ოდენობის კრემი და პრეპარატები. საქმის დოკუმენტების ბრძანებით აღმოჩენილი კომიტეტის ოქმის ამონაწერი, აგრეთვე დახასიათება რომლიდანაც ჩანს, რომ შულცი მოპასუხესთან მუშაობდა 1939 წლიდან, ჰქონდა კარგი საწარმოო მაჩვენებლები, იყო აქტიური საზოგადოებრივი მუშაი და კოლექტივში სარგებლობდა ავტორიტეტით.

მისივე განმარტებით — მუშაობის მთელ პერიოდში არ ჰქონია მიღებული რაიმე სასჯელი და ხასიათდებოდა მხოლოდ დადებითად.

ასეთ ვითარებაში სასამართლოს გულდასმით უნდა შეემოწმებინა ყველა ის ვარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო შულცის განთავისუფლებას, რის შემდეგ დამატებით შეგროვებული მასალების გათვალისწინებით სასამართლოს შეეძლო გამოეტანა სათანადო გადაწყვეტილება.

პრეზიდენტის დადგენილებით თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება სოფიო იოსების ასული შულცის სარჩელისა გამო ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატთან სამუშაოზე აღდგენის შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 13 ოქტომბრის განჩინება მოცემულ საქმეზე გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისათვის გაეგზავნა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

8. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სახალხო სასამართლოს არ ექვემდებარება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 23 აპრილის განჩინებით გაუქმებული იქნა ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 15 აპრილის რეზოლუცია სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის ოქმის შესახებ და ვიქტორ იოსების ძე გელოვანის სასარჩელო განცხადების არსებითად განხილვისათვის დაუბრუნდა ამავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე პროტესტით შევიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინების გაუქმება და სახალხო მოსამართლის რეზოლუციის ძალაში დატოვება.

საქმის შინაარსი: კალინინის რაიონის №51 სახლმმართველობასთან არსებულ ამხანაგურ სასამართლოს განცხადებით მიმართა ალექსანდრე არაქელის ძე ჰაირაპეტოვმა იმის შესახებ,

რომ ძერჟინსკის ქ. №3-ში მდებარე საერთო სამზარეულო მიითვისა ვიქტორ იოსების ძე გელოვანმა და ითხოვა სამზარეულოს საერთო სარგებლობაში დატოვება.

ამხანაგური სასამართლოს 1963 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აღნიშნული სამზარეულო დატოვებულ იქნა მხარეთა საერთო სარგებლობაში, ხოლო გელოვანს დაევა სამზარეულოს ნახევარი ფართის გათავისუფლება.

მოქ. ვ. გელოვანმა კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს მიმართა სასარჩელო განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სამზარეულოს დამოუკიდებელ სარგებლობაში დატოვება.

კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის 1964 წლის 15 აპრილის რეზოლუციით გელოვანს სწორად ეთქვა უარი სასარჩელო განცხადების მიღებაზე. მხარეთა დაე ეხება დამხმ-

რე სათავსოს სარგებლობის საკითხს, რომლის განხილვა ამხანაგური სასამართლოს დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე ექვემდებარება ამხანაგურ სასამართლოს.

გარდა აღნიშნულისა ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სახალხო სასამართლოს არ ექვემდებარება. გელოვანი თუ ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილებას უსწოროდ თვლიდა, ამხანაგური სასამართლოს დებულების მე-18 მუხლის თანახმად უფლება ჰქონდა მიემართა მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტისათვის.

ამ პირობებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არ ჰქონდა სახალხო მოსამართლის ზემოთ აღნიშნული რეზოლუციის გაუქმების და საქმის სასამართლოზე დაბრუნების კანონიერი საფუძველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 23 აპრილის განჩინება გაუქმდა. ძალაში იქნა დატოვებული ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 15 აპრილის რეზოლუცია.

სისხლის სამართლის საქმეებზე

1. ქმედობა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილად, როდესაც დაზარალებული რეალურ საფრთხეს უქმნის მსჯავრდებულის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 5 ივნისის განჩინებით ივანე გელას ძე ონიანი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 113-ე მუხლით და მიესაჯა წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 21 ივლისის განჩინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე პროტესტით შევიდა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა განაჩენის და განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა თანახმად სსკ მე-15 მუხლისა.

სახალხო სასამართლოს განაჩენით ონიანს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1964 წლის 20 მარტს საღამოთი თავის ამხანაგებთან ერთად იმყოფებოდა რა ქ. ქუთაისის კინოთეატრში, კინო სურათის დამთავრების შემდეგ, 23 საათსა და 30 წუთზე, მათ შეუერთდა დაზარალებული ზაური ჟღენტი და ისინი წავიდნენ ვეზით სახლებში ავტოქარხნის ქუჩის მიმართულებით.

მიუხალოდ იქნა რა მათივე ამხანაგის დავითულიანის სახლს, დაზარალებულმა ჟღენტმა წამოაყენა წინადადება, რომ ყველას ერთხმად დაეყვარა დავითულიანის სახელი, მაგრამ ონიანმა უარი განაცხადა ასეთ წინადადებაზე და ურჩია ამხანაგებს, რომ გვიან იყო და არ ეყვირათ დავითულიანის სახელი, მოსახლეობა არ შეეწუხებინათ.

მსჯავრდებულ ონიანის ეს რჩევა-დარიგება


მოიწონეს მისმა ამხანაგებმა, რითაც განაწყენდა დაზარალებული ჟღენტი და ამ ნიადაგზე ონიანს და ჟღენტს მოუხდათ შეკამათება, რაც შეწყვეტილი იქნა მათივე ამხანაგების ჩარევით.

ამის შემდეგ, ონიანს და ჟღენტს ჩამოსცილდნენ ამხანაგები და წავიდნენ თავიანთი სახლების მიმართულებით, ხოლო ონიანი კი შევიდა იმ შენობაში, სადაც იგი ცხოვრობდა და აღიოდა მესამე სართულზე კიბით. ამ მომენტში ონიანს წამოეწია ჟღენტი და მისცა წინადადება, რომ გაჩერებულიყო და ურთიერთშორის გასწორებულიყვნენ, თანაც დაუწყო გინება.

მსჯავრდებულმა ონიანმა მისცა წინადადება დაზარალებულ ჟღენტს, რომ ჩამოსცილებოდა და წასულიყო თავის სახლში, მაგრამ ჟღენტი არ ჩამოსცილდა და ონიანი იძულებული გახდა, რომ ფეხის მოქნევით მოეცილებინა იგი, ამ დროს ჟღენტმა ჯიბიდან ამოიღო დანა და რამდენჯერმე მოუქნია მსჯავრდებულ ონიანს დასარტყმელად, რაც ონიანმა აიცილია. ამ მომენტში თვით ონიანმაც შესძლო ჯიბიდან დანის ამოღება და დანის დარტყმით ჟღენტს მიაყენა სხეულის მიმე კატეგორიის დაზიანება.

აღნიშნული გარემოება დადგენილია საქმის მასალებით და სასამართლომაც ასეთივე შინაარსით სცნო დადასტურებულად ონიანის ქმედობა.

ასეთ პირობებში, როდესაც თავდაპირველად ჩხუბის წამომწყები იყო ჟღენტი, იგი დაეხსნა თავს ონიანს და რეალურად ჩააყენა მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეში, ონიანის ქმედობა უნდა ჩაითვალოს კანონზომიერად და მისი ქმედობა არ სცილდება აუცილებელი



მოგერიების ფარგლებს, რის გამოც თანხმად სსკ მე-15 მუხლისა ონიანის ქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის წესით დასასჯელად.

პრეზიდიუმის დადგენილებით ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 5 ივნისის

განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1964 წლის 21 ივლისის განჩინება ივანე გელას ძე ონიანის მიმართ გაუქმდა და საქმე წარმოებით შეწყდა ი. გ. ონიანის ქმედობაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო.

2. სახალხო სასამართლოს განჩინება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სწორად, როდესაც იგი სცილდება კანონის მოთხოვნას

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სვეტნიცკის უარი ეთქვა სასჯელის მოხდისაგან ვადაძლე პირობით გათავისუფლებასა და სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე სამუშაოდ გაგზავნაზე.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა საქმე ნ. ნ. სვეტნიცკის მიმართ და ცნო, რომ სასამართლოს განჩინება სცილდება კანონის მოთხოვნას და იგი არ შეიძლება ძალაში იქნეს დატოვებული.

სასამართლოს განაჩენით ნ. ნ. სვეტნიცკი მსჯავრდებული იყო სსკ 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მისჯილი ჰქონდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იმის გამო, რომ ნ. ნ. სვეტნიცკი სასჯელის მოხდის დროს მყარად დაადგა გამოსწორების გზას, არა ჰქონდა საბატიმრო ადგილის რეჟიმის დარღვევები, არის შრომისუნარიანი და სურვილი გამოთქვა სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე წასულიყო, ამავე დროს მოხდელი ჰქონდა შეფარდებული სასჯელიდან ორ წელიწადზე მეტი დრო, აღმინისტრაციამ სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმებით აღძრა შუამდგომლობა სახალხო სასამართლოში მსჯავრდებულ ნ. ნ. სვეტნიცკის სასჯელის მოხდისაგან ვადაძლე პირობით გათავისუფლებასა და მისი სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე გაგზავნის შესახებ.

სახალხო სასამართლომ ეს შუამდგომლობა

არ დააკმაყოფილა და უარის თქმა დაასაბუთა ორი გარემოებით: პირველი ის, რომ სვეტნიცკის ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული და მეორე, რომ მას შეფარდებული სასჯელიდან მოხდელი აქვს ცივრე დრო.

სასამართლოს განჩინება არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული, რადგან იგი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 მარტის ბრძანებულებით მოთხოვნებს. ხსენებული ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ მსჯავრდებულს მისჯილი აქვს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და მოქმედი კანონმდებლობით ეხება სასჯელის მოხდისაგან ვადაძლე პირობით გათავისუფლება, შეიძლება წარადგენილი იქნას სასამართლოზე სასჯელის მოხდისაგან ვადაძლე პირობით გათავისუფლებისა და სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე გაგზავნად, თუ მას მოხდელი აქვს არანაკლებ ორი წლისა. საქმის მასალების მიხედვით ნ. ნ. სვეტნიცკის მოხდელი ჰქონდა ორ წელიწადზე მეტი დრო.

ასევე უსწორია მართლოდენ იმაზე დაყრდნობა, რომ ნ. ნ. სვეტნიცკის მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, რადგან ხსენებული ბრძანებულება მოითხოვს, რომ სასამართლომ მხედველობაში მიიღოს მსჯავრდებულის პიროვნება და მისი გამოსწორების საკითხიც.

კოლეგიის დადგენილებით ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 17 სექტემბრის განჩინება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სვეტნიცკის მიმართ გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცა იმავე სასამართლოს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას.

გაიოზ ივანეს ძე მაიკუაძე

47 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლე გაიოზ ივანეს ძე მაისურაძე.

გ. მაისურაძეს სახით სასამართლოს ორგანოებმა დაკარგა მაღალკვალიფიციური მუშაკი, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მართლმსაჯულების სამსახურში გაატარა.


გ. მაისურაძე დაიბადა 1917 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 13 წლიდან მან შრომითი ცხოვრება დაიწყო. 1930 წელს შევიდა თბილისის ავტოსაქარხნო სკოლაში მუშა-მოსწავლედ, ხოლო 1932 წლიდან 1938 წლამდე ზუსტ ხელსაწყოთა ქარხანაში ხარატად მუშაობდა.

1940 წელს, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ—გ. მაისურაძე შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1944 წელს. იმავე წელს მას თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლედ ირჩევენ, სადაც 1951 წლამდე მუშაობდა.

ახალგაზრდა იურისტი თავიდანვე დიდი სიყვარულით მოეყიდა მოსამართლის საპატიო მოვალეობას.

1951 წელს გ. მაისურაძეს აწინაურებენ თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად, სადაც ჩვეული კეთილსინდისიერებით მუშაობს 1953 წლამდე. ოლქის გაუქმების შემდეგ გ. მაისურაძეს კვლავ ირჩევენ ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლედ, ხოლო 1960 წლის დეკემბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლეა.

ამხ. გ. მაისურაძე 20 წელი მუშაობდა მოსამართლედ. მან იუსტიციის მუშაკთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. რამდენაჭერმე იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიონული კომიტეტის წევრად.




თეორიულად ღრმად მომზადებული და გამოცდილი მუშაკი მუშაობის ყველა უბანზე კარგ ორგანიზატორულ ნიჭსა და სიახლის გრძნობას ამჟღავნებდა.

ქართველ იურისტთა რიგებს გამოაქვდა მაღალკვალიფიციური, პრინციპული მუშაკი, გულისხმიერი, თავმდაბალი და კეთილი მეგობარი.

გაიოზ მაისურაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

იუსუზ ხუსეინის ძე ცივაძე



დღგ ი. ცივაძე 1926 წ. დაინიშნა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ, 1928 წლიდან მუშაობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო 1930 წლიდან კვლავ აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა. მუშაობდა რა იურისკონსულტად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას უწევდა რესპუბლიკის მთელ რიგ მსხვილ წარმოება-დაწესებულებებს.

1926-31 წლებში იგი არჩეული იყო აჭარის ასსრ ცაკის წევრად. დაჯილდოებული იყო მედლით „1941-45 წლების დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“.

1931 წლიდან ი. ხ. ცივაძე აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრია და ამავე დროს ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ბათუმის სუბტროპიკულ მუშაკში, საფინანსო ტექნიკუმში, სავაჭრო ტექნიკუმსა და საბუღალტრო კომბინატში.

ამხ. ი. ცივაძე მუშაობდა აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და არა ერთხელ იყო არჩეული პრეზიდიუმის წევრად.

მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი იყო გულისხმიერი მუშაკი, თავდაბალი მოქალაქე, შრომის მოყვარე და განსწავლული იურისტი. მზრუნველობით ეკიდებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას, დიდი სიყვარულით სარგებლობდა სამართლის დარგის პრაქტიკულ მოღვაწეთა შორის.

ი. ხ. ცივაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფში.

სანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის უხუცესი წევრი, ნიჭიერი იურისტი იუსუფ ხუსეინის ძე ცივაძე.

ი. ცივაძე დაიბადა 1904 წ. ქობულეთის რაიონში, გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, შევიდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1919 წელს იგი გადმოვიდა ქ. ბათუმის გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1923 წ. რის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შე-



8260 50 828.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР